საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 ივლისი **ოთხშაბათი** 2010
№ 163(13 151) ფასი 60 თეთრი

## შარშანდელივით: ლელო-ლოკომოტივი



რაგბი. თასის ფინალის წინათქმა » გვერდი 13

# თუ კაკას სურს, ახალ კონტრაქტს გაუფორმებენ

### რა უთხრეს ბერლუსკონიმ და გალიანიმ კალაძეს...

» გვერდი 3 ინტერვიუ რევაზ ჭოხონელიძესთან




რევაზ ჭოხონელიძე (შუაში) კლარენს ზეედორფთან და კაკასთან ერთად



კახა კალაძე სტუმრად ლელოს რედაქციაში

## ლელო-კალაძე: კონფლიქტი ამოწურულია

» გვერდი 2



## სამივემ მოიგო

ივლისის ბაზო

» გვერდი 11



## გერმანიაში ლაურეატები დაასახელეს

საუკეთესო რობენია

» გვერდი 8




## ერთი ტიტული არ მეყოფა

ინტერვიუ ლებრონ ჯეიმსთან

» გვერდი 16

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი.
დღეს 20:00. აქტობე-ოლიმპი

### თემურ მახარაძე:

## უიმედოდ მტერი იყოს, მაგრამ...

» გვერდი 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. საკვალიფიკაციო ეტაპი — აქტობე (ყაზახეთი)–ოლიმპი (საქართველო) — პირველი მატჩი

# თემურ მახარაძე: უიმედოდ მტერი იყოს, მაგრამ...

**დღეს, 14 ივლისს, თბილისის დროით 20:00 საათზე აქტობეში ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი იმართება – ყაზახეთის ჩემპიონი „აქტობე“ საქართველოს ოქროსმედალოსან რუსთავის „ოლიმპს“ უმასპინძლებს.**

**ყაზახეთში გამგზავრებამდე ქართველ ფეხბურთელებს გამოველაპარაკეთ.**



თემურ მახარაძე

**გიორგი ჭედია:** ჩვენ გვჭირდება თავდაჯერებულობა. ვიცით, რომ შემდეგ წრეში “ოლიმპის“გასვლის შანსებს საკმაოდ სკეპტიკურად აფასებენ. ალბათ, ეს ლოგიკურიცაა, რადგან დიდი ხანია ქართული გუნდები პირველ ეტაპს ვერ ცდებიან და გულშემატკივარმა ჩვენი გუნდების იმედი დაკარგა. არადა, ასე არ უნდა ვფიქრობდეთ და მოედანზე თავდაჯერებულები უნდა გავიდეთ, რადგან მეტოქეზე არანაკლები გუნდი გვყავს. ვფიქრობ, „აქტობეს“ დამარცხება მართლა შეგვიძლია. ვნახოთ, აქედან რა გამოვა, ბიჭები კი საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

ლიგის თამაში თავისთავად ისეთი სტიმულია, მოედანზე ყველა სხვაგვარი ჟინით განსაკუთრებული მონდომებით გადის, რათა გამოჩნდეს და გუნდს დაეხმაროს.

სხვათა შორის, მახარაძემ „ოლიმპში“ საკმაოდ კარგი შემადგენლობა და პიროვნებები შეკრიბა, რომლებიც ერთმანეთს იოლად ვუგებთ. დიდი ხანია, ფეხბურთშია და ეს არ ეშლება. თანაგუნდელთან თამაში უნდა გიხაროდეს და ეს ფაქტორიც მაიმედებს. მთავარია, ჩვენი სულისკვეთება მოედანზე გადავიტანოთ. ყაზახები ზომაზე მეტად თავდაჯერებულები არიან და ძალიან მინდა, ტრაბახი არ შევარჩინოთ.

“აქტობე“ ათლეტური და სწრაფი გუნდია. ასეთ ტექნიკით და სისხარტით უნდა ვაჯობოთ, რაც „ოლიმპს“ უდავოდ გააჩნია. ფეხბურთში წინასწარ ლაპარაკი თუ ვინ ვის აჯობებს, სისულელეა. არგენტინა-გერმანიის მატჩიც კი მოულოდნელი შედეგით დასრულდა. ყაზახები კი ისეთი თავდაჯერებულები არიან, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი კი არა, თვითონ გახდნენ, ასეთი კი უნდა „დაისაჯოს“.

**დათო ბოლქვაძე:** "ყაზახებს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ, მაგრამ არა მგონია, ასეთი მაგრები იყვნენ. საერთოდ მათი რატომ უნდა გვეშინოდეს, რომელი გრანდი “აქტობეა”? რა თქმა უნდა, კარგი გუნდია, მაგრამ უნდა ვითამაშოთ, მოგებაც შეიძლება. ჩვენ თუ მათი ათლეტურობა გვაფიქრებს, ყაზახებს ქართველების ტექნიკური ფეხბურთი აფრთხობს. ამიტომაც არა მგონია, რომ ფავორიტები იყვნენ. თანაც, ჩვენ საკმაოდ კარგი შემადგენლობა გვყავს, კარგი მოსამზადებელი ეტაპი გავიარეთ და ნელ-ნელა ფორმაში შევდივართ. თუმცა წინასწარ ბაქიბუქს მოედანზე ბრძოლა ჯობია, გუნდების რეალური ძალა იქ გამოჩნდება”.

**ლუკა რაზმაძე** ზამთარში ყაზახეთის „ტობოლში“ ისინჯებოდა და ამ ქვეყნის პირველობის დონეზე წარმოადგენა გააჩნია: *“ყაზახეთში ვერ დავრჩი და უკმაყოფილების განცდა დამრჩა. ახლა მეძლევა შანსი, რომ დავუმტკიცო – მე მაგათი დასაწუნი ფეხბურთელი არ ვარ. „ტობოლი“ კარგი გუნდი იყო, მაგრამ გასაოცარი და გამორჩეული ნაღდად არაა. თავისუფლად შემეძლო დარჩენა და ძირითადში დამკვიდრება. მისი დონიდან კი „აქტობეს“ შესაძლებლობაზეც გარკვეული წარმოდგენა მექმნება. ჩვენ შორიდან ვიცით, რომ მდიდარი კლუბია და ბევრი ლეგიონერი გამოდის, მაგრამ შიგნიდან ყაზახური კლუბი ასეთივე შთამბეჭდავი არ ჩანს, შეიძლება ითქვას, რომ უმთავრესად, მეორეხარისხოვან რუს ვეტერანებს ეყრდნობიან და და ამ ეტაპის გავლა და მეორე ეტაპზე გაღწევა შესაძლებელი მგონია. მჯერა, ასეც იქნება“.*

**ლექსო კვახაძე:** “ვიტ ჯორჯიაში” დიდი ხანი ვთამაშობდი და ვიცი, რას ნიშნავს, გუნდის ერთსულოვნება. ამიტომ მიკვირს, მცირე პერიოდში “ოლიმპი” ასე რომ შეიკრა და ერთსულოვნება გაჩნდა. ბიჭები ერთმანეთს იოლად შევეწყვეთ. ოთხი ვიტჯორჯიელი ერთად რომ გადმოვედით, ადაპტაცია ამანაც გაგვიადვილა, შვიდი წელი გვერდი-გვერდ ვითამაშეთ და ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ. თუმცა, სხვებსაც მშვენივრად ვიცნობდით და ვმეგობრობდით.

“ოლიმპის” სათამაშო სტილსაც საკმაოდ ადვილად შევეგუე. რა თქმა უნდა, ახალ მწვრთნელთან მუშაობისას სხვა მოთხოვნებია და უნდა გაითვალისწინო. “ვიტ ჯორჯიას” სხვა სტილი ჰქონდა, ახალგაზრდული გუნდია და ტაქტიკაც შესაფერისი აქვს. ჩვენთან კი გამოცდილი და ტექნიკური ბიჭები არიან და სხვა ფეხბურთს ვთამაშობთ.

**- მომავალ მატჩზე რას გვეტყვი?**

- სერიოზული მეტოქეა და მძიმე თამაშები გველის. თუმცა, ბრძოლაა საჭირო და გასვლა შესაძლებელია. მთავარია, აქტობეში არ წავაგოთ, რუსთავში კი მაყურებლის დახმარებით, უნდა დავაჩოქოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ.

**- ვფიქრობ, მდიდარმა მეტოქემ მაინც დაგაფრთხოთ.**

- ჩვენ ვიცით, რომ რთული მეტოქე გვყავს, მაგრამ მოედანზე საომრად უნდა გავიდეთ. ბოლოს და ბოლოს, ყაზახეთის ჩემპიონია და არა იტალიის. შიშით შებოჭილები საუკეთესო თვისებებს ვერ გამოვავლენთ, ამიტომ, მოედანზე თავდაჯერებულები და აგრესიულები უნდა გავიდეთ.

## მახარაძე ყაზახების ტექნიკამ გააოცა

**თემურ მახარაძე,** *„ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი:*

**- ბატონო თემურ, მეტოქის მატჩების ვიდეოჩანაწერები თუ ნახეთ?**

- ორი თვის წინათ სუპერთასისთვის „ატირაუს“ შეხვდნენ, ის ჩანაწერი გადმომცეს და ვნახეთ. „აქტობემ“ მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა.... „ატირაუში“ ხომ გიორგი ფეიქრიშვილი თამაშობს?

**- დიახ, ასეა.**

- „ატირაუ“ „აქტობემ“ საჯარიმომდე არ მიუშვა, ისე დამაჯერებლად ეთამაშა.

**- რა არის “აქტობეს“ დადებითი მხარე?**

- ფიზიკურად ძლიერი და მაღალი ფეხბურთელები ჰყავს, სწრაფად თამაშობენ და, რაც ყველაზე მეტად გამიკვირდა, მაგარ ტექნიკურ ფეხბურთს აჩვენებენ. მოკლედ, საკმაოდ დალაგებული გუნდია. მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ მუხანოვი კი მოსკოვის “სპარტაკში” ნამუშევარი კაცია და გუნდს მწვრთნელის ხელი ეტყობა. ასე რომ, ძალიან რთული თამაშები გველის.

**- ხმაში პესიმისტური ტონი დაგეტყოთ – უიმედოდ ხომ არ ხართ?**

- არა, რატომ, მე მეტოქეს ვაფასებ, მაგრამ ეს უიმედობას არ ნიშნავს. უიმედოდ, ჩემი მტერი იყოს. არ მესმის, როგორ უნდა შევაფასო შანსები, როდესაც მოედანზე ერთმანეთთან არ გვითამაშია? მთავარია, მოედანზე აგრესიულები გავიდეთ.

**- ყაზახებში ვის გამოარჩევდით?**

- მე რგოლებზე ვილაპარაკებ – ძალიან კარგი ნახევარდაცვა ჰყავთ, მოქნილი, ტექნიკური და სწრაფი, მომეწონა მათი კაპიტანი, ცენტრალური მცველი სმაკოვი, თავდამსხმელი ტლეშევი. მეორე ფორვარდი ივან პერიჩი ახლახან დაიმატეს და მართალია, მისი თამაში არ მინახავს, მაგრამ ლამის ორმეტრიანია და თავადაც ხვდებით, რომ ასეთ გიგანტთან თამაში ძალიან რთულია.

**- ყაზახებთან სათამაშოდ მხოლოდ 15 ფეხბურთელის ამარა მიემგზავრებით – ასე რატომ მოხდა?**

- რა თქმა უნდა, გაძლიერება გვსურდა, მაგრამ იყო მიზეზები, რამაც ხელი შეგვიშალა.

# გახდება ოლიმპი აზიელთა ლაკმუსის ქაღალდი?

“აქტობე”-“ოლიმპის” მოახლოებულ მატჩს ყაზახური მედია დიდ ყურადღებას უთმობს. საქმე ისაა, რომ ევროპის ლიგის პირველივე ეტაპიდან სხვა ყაზახური კლუბები უკვე გამოვარდნენ: ყარაღანდის “შახტიორი” პოლონურ ხოჟუვის “რუხთან” დამარცხდა, “ტობოლი” კი - ბოსნიურ “ზრინსკისთან. ყაზახეთში სჯერათ, რომ ფულით ნიჭსა და წარმატებას მოიპოვებენ და ლიგის კვალიფიკაციაზე “აქტობეს” მატჩი მათვის ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდის როლს შეასრულებს – არის თუ არა კანონზომიერი ყაზახური კლუბების წლევანდელი წაგებები?

ყაზახურმა ინტერნეტგაზეთმა “სპორტსმა” რუსთავის “ოლიმპს” სტატია უძღვნა, სადაც საინტერესო ფრაგმენტებს წავაწყდით:

“ქართველი ოლიმპელები მზიური რუსთავიდან”

*... „ოლიმპზე“ ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ იოლ გასეირნებას არ უნდა ველოდოთ.*

*რუსთავი გამწვანებული, ნათელი და ძალიან კომფორტული ქალაქია და თუკი “აქტობეს“ გულშემატკივრები გუნდს გაყვებიან, იოლად იპოვიან გასართობს პატარა, მაგრამ თანამედროვე ქალაქში.*

*... რუსთავის “ოლიმპს” არც მდიდარი ისტორია აქვს და ვერც ტიტულებით მოიწონებს თავს (“აქტობე”, ალბათ, ტიტულებით განებივრებულია). საბჭოთა კავშირის პერიოდში, მეორე ლიგის მეცხრე ზონაში ასპარეზობდა და სახლში თითქმის არ აგებდა. მისი ყველაზე პრინციპული მეტოქე აზერბაიჯანული “ქიაფაზი” გახლდათ. ამ გუნდების შეხვედრები უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობდა და ზოგჯერ საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც მიდიოდა.*

*ეს უნდა გაითვალისწინონ “აქტობეს” მოთამაშეებმა, სამხრეთელები ძალიან ტემპერამენტიანები არიან და მოედანზე ათასგვარ ეშმაკობას მიმართავენ, იქნება ეს მსაჯისთვის შეუმჩნეველი ხელისკვრები, დარტყმები თუ აშკარა სიმულაციები.*

*...რუსთაველებმა მიმდინარე სეზონში პირველობა უპრობლემოდ მოიგეს და ოქროს მედლებს ფინიშამდე სამი ტურით ადრე დაეუფლნენ, მაგრამ ჩავარდნებიც ჰქონდათ – ერთ-ერთ ასეთი მატჩად პირველ ეტაპზე თბილისის “დინამოსთან” 0:4 წაგებას დავასახელებდით.*

*თუმცა, საერთო ჯამში, გუნდმა მშვენიერი სეზონი ჩაატარა, რასაც გუნდის მთავარი მწვრთნელი* ***თემურ მახარაძეც*** *აღნიშნავს...*

საქართველოს ჩემპიონი ძლიერი კოლექტივია, მაგრამ ყაზახეთის ჩემპიონს მისი დამარცხება სავსებით ხელეწიფება და პირველი ეტაპი უნდა გადალახოს, თუკი ევროპაში კარგი შედეგის მიღწევას ფიქრობენ”.

“აქტობეს” მცველი **პიოტრ ბადლო** ამბობს: *”გუნდში სრული (სრულიო!) საბრძოლო განწყობაა და მატჩისთვის მთელი სერიოზულობით ვემზადებით. “ოლიმპზე” ვერაფერს გეტყვით, კლუბზე საერთოდ წარმოდგენაც არ მაქვს. ჩვენი სურვილია, საშინაო მატჩში რაც შეიძლება მეტი გულშემატკივარი მოვიდეს და მხარი დაგვიჭიროს. ჩვენ კი ყველაფერს გავაკეთებთ, მათი იმედები რომ არ გავუცრუოთ”.*

26 წლის ნახევარმცველი **მარატ ხაირულინი** კი, რომელიც “აქტობეში” გამოდიოდა და წლეულს ნიჟნი ნოვგოროდის “ვოლგადან” იჯარით დაიბრუნეს, ყაზახეთში მიბრუნების რეალურ მიზეზებს ასახელებს.

*”გუნდში იმიტომ დავბრუნდი, რომ “ვოლგაში” საქმე ვერ ამეწყო. 26 წლის ვარ და თამაში მსურს და არა სკამზე ჯდომა. სათამაშო პრაქტიკა მაკლდა, ძირითადში მხოლოდ ორი შეხვედრა ჩავატარე, უმთავრესად კი შეცვლაზე შევდიოდი. “‘აქტობეს” გარდა, რუსეთის პირველი ლიგის კლუბში მიწვევდნენ, მაგრამ ვამჯობინე სერიოზული მიზნების მქონე ყაზახურ კლუბში თამაში, პირველ ლიგაში გამოსვლას“,* - ამბობს “აქტობეში” ახლახან დაბრუნებული მარატ ხაირულინი.

ჭაჭო იქა, ფქვილი აქა...

# კალაძისა და ლელოს კონფლიქტი ამოწურულია

ერთი წლის წინათ უსიამოვნო ამბავი მოხდა: „მილანი“-„ინტერის“ მატჩის შემდეგ თამაშზე ერთ-ერთი იტალიური ინტერნეტგამოცემის სტატიაში **კახა კალაძე** საკმაოდ უსიამოვნო კონტექსტში იყო მოხსენიებული. წერილი „ლელოში“ **ნიკოლოზ ნეფარიძემ** თარგმნა, რასაც კალაძის ოჯახის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა.

შედეგად, „ლელოსა“ და კალაძის ოჯახს შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, კონფლიქტი ტელევიზიებმაც გააშუქეს.

თუმცა მერე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ორივე მხარის სურვილი ერთმანეთისას დაემთხვა და კახა კალაძემ რედაქციაში მოსვლისა და შერიგების სურვილი გამოთქვა – როდესაც თბილისში ჩამოვალ, ჟურნალისტს ხელს ჩამოვართმევო.

ბუნებრივია, რედაქციაშიც იგივე გვსურდა - იმიტომაც, რომ „ყოვლისმცოდნეებმა“ მომხდარზე სასაცილო ვერსიები გაავრცელეს: ერთის მიხედვით, ეს იყო კალაძის წინააღმდეგ შეთქმულების ნაწილი, მეორე ვერსია უფრო „აზრიანი“ ჩანდა, მთავრობის დაკვეთა შესრულდა, ამ ყველაფერში ვილაც-ვილაცები კალაძის ცუდ საქციელში გამოჭერას იმედოვნებდნენო და ა.შ. ბუნებრივია, ამ აბსურდის თეატრისთვის წერტილი უნდა დაგვესვა.

კახა ახლა თბილისში იმყოფება, სიტყვა შეასრულა და რედაქციაში გვეწვია:

- კრიტიკა ბევრჯერ მსენია და რეაქცია არ მქონია. სამწუხაროდ, მოხდა გაუგებრობა, მაგრამ ვფიქრობ, უსიამოვნებები უნდა დავასრულოთ. ამის სურვილი მაშინაც მქონდა, მაგრამ თბილისში არ ვიმყოფებოდი.

„კონფლიქტის მხარეებმა“ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ამით ყველაფერი ამოიწურა.

კახას მის ტრანსფერზე გავრცელებული მორიგი ინფორმაციის კომენტარიც ვთხოვეთ, ახლა უკვე „გალათასარაიზე“. კალაძეს გაეცინა: *”აღარ მიკვირს, ასეთ ინფორმაციებს რომ მივრცელებენ. არადა, „მილანში“ 2011 წლამდე ვრჩები“.*

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## კახა კალაძე: დემეტრაძე გაუგებრობაში მოხვდა

## ვეტერანების მიმართვა: გთხოვთ, გაათავისუფლოთ გიორგი

გუშინ ვეტერანმა ქართველმა ფეხბურთელებმა ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მედია მიიწვიეს და გააცნეს განცხადება, რომელიც საქართველოს ნაკრებისა და „მილანის" ფეხბურთელმა **კახა კალაძემ** წაიკითხა.

*საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს*

*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ბაქრაძეს*

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს*

### მიმართვა

*საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ჩვენი ნაკრების ყოფილი წევრის, გამოჩენილი თავდამსხმელის, ჩვენი მეგობრის გიორგი დემეტრაძის დაკავების შესახებ. მას ბრალს სდებენ ქურდულ სამყაროსთან კავშირში, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.*

გიორგი დემეტრაძე 16 წლის ასაკში მოვიდა ქართულ ფეხბურთში და ძალიან მოკლე დროში შეძლო გამხდარიყო პროფესიონალი ფეხბურთელი, ლიდერი და საუკეთესო ბომბარდირი. მან მრავალჯერ ასახელა თავისი ქვეყანა. თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე არაერთი ქვეყნის სტადიონზე გამოირჩეოდა თავდაუზოგავი შრომით, დისციპლინით და პატიოსნებით. იგი ყოველთვის გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას თავისი ქვეყნისა და გულშემატკივრის წინაშე. ამ თვისებებიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევთ მოგმართოთ თხოვნით: ჩვენ ვხედავთ და დადებითად ვაფასებთ კორუფციასთან და შავ სამყაროსთან სახელმწიფოს ბრძოლას და მიგვაჩნია, რომ ეს დადებითად აისახება მომავალი თაობის სწორად ფორმირებაში, მაგრამ, ამასთან ერთად, უმორჩილესად გთხოვთ, გაითვალისწინოთ გიორგი დემეტრაძის ღვაწლი და თავდადება ქართულ ფეხბურთში და კანონის ფარგლებში მიიღოთ გადაწყვეტილება, რომელიც საშუალებას მისცემს გიორგი დემეტრაძეს, კვლავაც ემსახუროს ქართულ ფეხბურთს.

ულრმესი პატივისცემით, კახა კალაძე და ქართული ფეხბურთის ვეტერანები.

განცხადების გაცნობის შემდეგ კახა კალაძემ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა:

**- განცხადება თქვენს პოლიტიკურ შეხედულებებთან რა კავშირშია?**

- საერთოდ, აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია, რადგან ეს ვეტერანი ფეხბურთელების ერთობლივი წერილია და ჩემი თხოვნა იქნება, პოლიტიკასთან ნუ დააკავშირებთ.

**- თქვენი აზრით, არის თუ არა დემეტრაძე დამნაშავე?**

- ჩემი აზრით, გიორგი გაუგებრობაში მოხვდა.

**- მას კრიმინალურ სამყაროსთან კავშირი ჰქონდა?**

- ის ფეხბურთელია, სერიოზულ გუნდებსა და ნაკრებში თამაშობდა და არა მგონია, საამისოდ დრო დარჩენოდა.

**- თქვენი სურვილია, გირაოთი გამოიხსნათ?**

- თუკი ეს შესაძლებელი იქნება, ამ საქმეს მე და ჩემი ოჯახი ჩავუდგებით სათავეში. გიორგი კარიერის გაგრძელებას უცხოეთში აპირებდა და ცოდოა, რომ ამის საშუალება არ მიეცეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ რევაზ ჭოხონელიძესთან

# თუ კახას სურს, ახალ კონტრაქტს გაუფორმებენ

## რა უთხრეს ბერლუსკონიმ და გალიანიმ კალაძეს...

**რევაზ ჭოხონელიძე არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ევროპულ ფეხბურთში ცნობილი სახეა. წლების განმავლობაში „მილანში" მუშაობდა და ამ კლუბში კალაძის, შევჩენკოსა და სხვა ფეხბურთელების ტრანსფერისას აზრს სწორედ მას დაეკითხნენ. დღეს იგი კიევის „დინამოს" გენერალური დირექტორია. ფეხბურთში კი ქუთაისის „ტორპედოდან" გამოჩნდა. ამ საინტერესო პიროვნებასთან საუბარი წარსულით დავიწყეთ, მერე კი სხვა საინტერესო თემებსაც შევეხეთ.**

- 1970 წლიდან, 6 წელი ქუთაისის „ტორპედოში" ვთამაშობდი. მარცხენა მცველი, გუნდის კაპიტანი ვიყავი. კარგი პერიოდი იყო, ძლიერი გუნდი გვყავდა. წლების განმავლობაში, თბილისის „დინამო" რეგიონებიდან ძლიერდებოდა და ყველაზე დიდ შევსებას სწორედ „ტორპედოდან" იღებდა. დღესაც ტკბილად მახსენდება ქუთაისში გატარებული წლები. ისევე როგორც თბილისის „დინამოს" დუბლებში. „დინამოს" ბავშვთა სკოლაში ჩემი მწვრთნელები გრიგოლ გაგუა და ომარ უშვერიძე იყვნენ. ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში მათ უდიდესი წვლილი მიუძღვით...

**- ქუთაისიდან ლენინგრადის „დინამოში" როგორ აღმოჩნდით?**

- ლენინგრადის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ვასილიევი მოსკოვში შემხვდა. მითხრა, თქვენზე ბევრი რამ ვიცით, მარცხენა მცველი გვჭირდება და კარგი იქნება თუ ჩამოხვალო. მაშინ ქუთაისის „ტორპედოში" გაურკვეველი სიტუაცია იყო და მეც ლენინგრადში გადასვლა გადავწყვიტე, კლუბი შევიცვალე. „დინამოს" სასტარტო შემადგენლობაში მალე დავმკვიდრდი და კაპიტნადაც ამირჩიეს.

**- „ზენიტი" მთავარ შევსებას სწორედ ლენინგრადის „დინამოდან" იღებდა. თქვენც გქონდათ „ზენიტში" გადასვლის შესაძლებლობა, მაგრამ „დინამოს" ბოლომდე უერთგულეთ...**

- ერთი ხანობა „ზენიტს" გერმან ზონინი წვრთნიდა. ინფარქტი მიიღო და კლუბის მესვეურები შორს არ წასულან - ლენინგრადის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა, იური მოროზოვმა ჩაიბარა „ზენიტი". ახალ კლუბში გადასვლამდე, მოროზოვმა მითხრა, შენ და კიდევ 5 ფეხბურთელი „ზენიტში" უნდა გადაგიყვანოთო. ტრანსფერს ჩემი თანხმობის გარდა წინ არაფერი ედგა. ნაჩქარევად არ მჩვევია სერიოზული ნაბიჯის გადადგმა და დავფიქრდი. თან „დინამოს" ხელმძღვანელობასაც ვუთხარი ამ წინადადების შესახებ. „ზენიტში" 20-30 მანეთით მეტი მექნებოდა ანაზღაურება. ლენინგრადის „დინამომ" შემომთავაზა, ჩვენთან დარჩი და მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ჩვენს კლუბში დარჩენისა და მუშაობის გარანტიას გაძლევთო. ყველაფერი ავწონ-დავწონე და დარჩენა ვამჯობინე.

**- არც შემცდარხართ. საფეხბურთო მოღვაწეობა სწორედ ლენინგრადის „დინამოში" დაიწყეთ...**

- 1983 წელს, 31 წლისამ დავამთავრე მოთამაშის კარიერა. ბევრმა მითხრა, ადრეა, ნუ ჩქარობო, მაგრამ ეს გადაწყვეტილებაც ფიქრის შედეგად მივიღე. ფეხბურთელის ამპლუაში ყველაფერი დამტკიცებული მქონდა და მინდოდა მწვრთნელის რანგში მომესინჯა ძალები. იმ დროისათვის, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში თითო კანდიდატს წარადგენდა. კარგად მახსოვს, სომხეთმა 5 კანდიდატურა წარადგინა და თან იქვე დაამატეს, ფეხბურთში ჩავარდნა გვაქვს და დახმარებას გთხოვთო. მე რუსეთის ფედერაციამ და ლენინგრადის „დინამომ" წარმადგინა. ლოვჩევთან, ნიკოლოვთან, იურინთან და სხვებთან ერთად დავამთავრე მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა და ლენინგრადის „დინამოში" დავიწყე მუშაობა. გუნდის მთავარი მწვრთნელი 60 წელს გადაცილებული ბონდარენკო იყო. ახალგაზრდა დამწყებ მწვრთნელისთვის ძნელია 60-ს გადაცილებული სპეციალისტის თანაშემწედ მუშაობა - უმეტეს შემთხვევაში, ასაკოვანი მწვრთნელი ეგოისტი ხდება, მისგან ბევრს ვერ ისწავლი... როგორც იტყვიან, „ხეზე ასვლა შესაძლოა არც გასწავლოს". წელიწადნახევარი ბონდარენკოსთან ვიმუშავე. მისგანაც ბევრი რამ ავითვისე, მაგრამ მწვრთნელობამ დამაინტერესა და გადავწყვიტე, უფრო საფუძვლიანად დავუფლებოდი ამ საქმეს...

**- ...და გულმა კოვერჩანოსკენ გაგიწიათ...**

- ჯერ კიდევ მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სწავლისას დავინტერესდი იტალიური ფეხბურთით. კოვარჩანოს მწვრთნელთა სკოლა არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოში, დღესაც გამორჩეულია. საბჭოთა კავშირი ყოველთვის ცდილობდა უცხოეთისთვის არ მიებაძა, თუნდაც ფეხბურთში. ტენდენცია ასეთი იყო, ჩვენ საბჭოთა საფეხბურთო სკოლა გვაქვს და სხვა ქვეყნების სკოლებისგან არაფერი გვესწავლებაო. მე კი მინდოდა იტალიური, ჰოლანდიური, ინგლისური, ესპანური სხვა ქვეყნების ფეხბურთისგან ამეთვისებინა ის, რაც მომწონდა და რასაც საჭირო ვთვლიდი. ერთი სიტყვით, მოვახერხე და მოვხვდი კოვერჩანოში, სადაც სრულიად ახალი სამყარო დამხვდა. კოვერჩანოში სხვადასხვა ქვეყნის მწვრთნელთა შეკრება პერიოდულად ტარდებოდა. ამ შეკრებების ერთ-ერთი ორგანიზატორი ლუიჯი ვანტაჯატო იყო. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს წინსვლაში. იტალიაში თავიდან ძალზე გამიჭირდა, ძნელია უცხო ქვეყანაში დამკვიდრება, მაგრამ ეს შევძელი და ჩანაფიქრი ავისრულე - იტალიურ ფეხბურთს ჩავწვდი.

**- თავდაპირველად მილანის „ინტერში" დაიწყეთ საქმიანობა...**

- დიახ, ვანტაჯატოს დახმარებით იტალიურ ფეხბურთში ცნობილი ფიგურები გავიცანი და დავუახლოვდი. ხედავდნენ, რომ სწავლას მოწყურებული ვიყავი და ჩემს მონდომებას და აფასებდნენ. ისეთი ფიგურების გვერდით აღმოვჩნდი, როგორებიც არიან სანდრო მაცოლა, ჯან პიერო მარინი და სხვები. „ინტერში" მცირე ხანს ვიყავი, 1995 წლიდან კი „მილანში" გადავედი.

**- „მილანში" რას საქმიანობდით?**

- ამ კლუბის ერთ-ერთი პრიორიტეტია, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახალგაზრდა ტალანტების მოძიება, მათზე დაკვირვება, შესწავლა და საბოლოო გადაწყვეტა, რა სარგებელი შეიძლება მოუტანონ მათ „მილანს". ამ მიმართულებით ვმუშაობდი, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი ჩამაბარეს... შესაბამისად, ჯერ კიდევ მაშინ დავამყარე ახლო კონტაქტები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საფეხბურთო წრეებთან. იმ პერიოდიდან მოყოლებული გამორჩეული კავშირები მქონდა კიევის „დინამოსა" და საერთოდ უკრაინულ საფეხბურთო წრეებთან. ეს ურთიერთობა დღემდე გრძელდება.

**- სწორედ მაშინ თქვენი ყურადღება მიიქციეს კახა კალაძემ და ანდრე შევჩენკომ, რომლებიც „მილანმა" კიევიდან დაიმატა...**

- კიევის „დინამოს" ყოფილ თავკაც ვალერი ლობანოვსკის სურდა გუნდში კალაძე-რებროვი-შევჩენკოს სამეულით ისეთივე ტრიო შეექმნა, როგორიც თავის დროზე ჰოლანდიის ნაკრებში იყო - რაიკაარდი-გულიტი-ვან ბასტენის შემადგენლობით. თუმცა რებროვს გაუჭირდა დამკვიდრება, რადგან მის პოზიციაზე ძლიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ. კალაძე და შევჩენკო კი იოლად დამკვიდრდნენ გუნდში და მოკლე ხანში საკვანძო ფიგურებად ჩამოყალიბდნენ. მათი პროგრესი ჩემპიონთა ლიგაზეც თვალში საცემი იყო, ეს „მილანის" მესვეურებსაც არ გამორჩენიათ და მათი ტრანსფერებიც შედგა. „მილანში" გადასვლისას ბერლუსკონიმ და გალიანიმ კახას უთხრეს - ეს ლეგენდარული გუნდია და აქ ყოველთვის ლეგენდარული ფეხბურთელები თამაშობდნენ. შეგიძლია მათ დონეზე ითამაშო, საამისოდ საკმარისი მონაცემები გაქვს და გამორჩეული უნდა იყოო. კახამ გაამართლა კიდეც ეს იმედები. ამიტომაც ორჯერ გაუხანგრძლივეს კონტრაქტი და უკვე ათი წელია, რაც კალაძე „მილანშია".



მარცხნიდან: პაოლო მალდინი, რევაზ ჭოხონელიძე, ანდრეი შევჩენკო, კლარენს ზეედორფი

**- საინტერესოა, შევჩენკოს რა უთხრეს „მილანის" მესვეურებმა?**

- ანდრეის უთხრეს, შენ „მილანის" მაისურით „ოქროს ბურთს" მოიგებო და ასეც მოხდა. შევჩენკოს გარდა „მილანიდან" „ოქროს ბურთის" მფლობელები გახდნენ ვან ბასტენი, ვეა, კაკა... თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მილანის" მეპატრონედ სილვიო ბერლუსკონის 21-წლიანი პერიოდი წარმატებულია. „როსონერიმ" მისი ხელმძღვანელობით ჩემპიონთა ლიგა რამდენჯერმე მოიგო, მოიპოვა იტალიის თასი, საკონტინენთაშორისო თასი, არაერთხელ მოიგო სკუდეტო, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი გახდა... ბერლუსკონიმ ფეხბურთსა და პოლიტიკაში ევოლუცია მოიტანა და სხვა ქვეყნების პრემიერ-მინისტრებს დაანახვა, რომ წარმატებული, მისაბაძი პიროვნებაა.

**- „მილანს" ბოლოსაც შეეძლო სკუდეტოს მოპოვება, მაგრამ ბოლო მომენტში დაკარგა ტიტული, ალბათ ამიტომაც გაუშვეს ლეონარდო...**

- ბერლუსკონიმ და გალიანიმ ყველას დაანახეს, რომ ახალგაზრდა წარმატებული სპეციალისტითაც შეუძლიათ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა. „იუვენტუსს" ჩირო ფერარა წვრთნიდა, მაგრამ ლეონარდოსგან განსხვავებით მას წარმატებები არ ჰქონია. „მილანი" ყოველთვის მაქსიმუმისთვის იბრძვის. ამ კლუბში მეორე ან მესამე ადგილის დაკავებისთვის პრემია არ არის დაწესებული. ლეონარდოს შეეძლო გუნდი ჩემპიონი გაეხადა, მაგრამ მცირედი დააკლდა, საბოლოოდ კი ბრინჯაოს მედლები და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოაპოვებინა. ახლა გუნდს მასიმო ალეგრი წვრთნის. ახალგაზრდა, მაგრამ ჭკვიანი მწვრთნელი. „მილანამდე" „კალიარიში" წარმატებულად მუშაობდა. „კალიარის" პრეზიდენტი ბოლო მომენტამდე ვერ ელეოდა ალეგრის, ბოლოს დათანხმდა და „მილანმა" „კალიარის" საჯაროდ გადაუხადა მადლობა.

**- გასულ სეზონში კალაძეს „მილანში" თამაში არ უწევდა, რაზეც სხვადასხვა მიზეზი დასახელდა. რეალურად რა მოხდა?**

- „მილანი" ერთი დიდი ოჯახია და მის ყველა წევრს, ყველა ფეხბურთელს დიდ პატივს სცემენ. ამბროზინი 3 წლის განმავლობაში დატანჯა ტრავმებმა, მაგრამ მას ყველა მხარში დაუდგა. ასე იყო კალაძის შემთხვევაშიც, კახას 7-8 თვე გაუცდა ტრავმის გამო. მართალია, გამოჯანმრთელდა, მაგრამ ისევ ტრავმამ შეუშალა ხელი, თორემ მას სრული მხარდაჭერა ჰქონდა კლუბის ხელმძღვანელობისგან. ასე რომ, კახას უთამაშებლობის მიზეზი მხოლოდ ტრავმა იყო. კალაძე უკვე სრულად გამოჯანმრთელდა, ის „მილანისთვის" საკვანძო ფიგურაა და ახალ სეზონშიც დიდ სარგებლობას მოუტანს გუნდს. მას გაისად, ივნისში ეწურება კონტრაქტის ვადა. კახას „მილანში" დიდად აფასებენ და თუ თავად კახას უნდა, კიდევ ერთხელ გაუხანგრძლივებენ კონტრაქტს.

**- ამჟამად კიევის „დინამოს" გენერალური დირექტორი ხართ და ამ კლუბში თანამედროვე სისტემის დამკვიდრებაზე მუშაობთ...**

- „მილანის" მესვეურებთან დღემდე ახლო ურთიერთობა და კონტაქტები მაკავშირებს. როცა იტალიაში ჩავდივარ, მათ ყოველთვის ვნახულობ. ახლა კიევის „დინამოში" ვსაქმიანობ და პარალელურად მინდა თანამედროვე სტრუქტურა დავნერგო. ამ ახალ სისტემაში, ყველა რგოლის მოთამაშეს, ცალ-ცალკე ჰყავს ფიზმომზადების მწვრთნელი. თანამედროვე ფეხბურთში ფიზიკური კონდიციები, გამძლეობა, ფეხბურთელის აგებულება, მუსკულატურის სისტემა გადამწყვეტია. ამ მიმართულებით უკვე საგრძნობი პროგრესი გვაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

**- ვიცით, რომ ფედერაციის პრეზიდენტად მუშაობისას მერაბ ჟორდანიასთან გქონდათ შეხვედრა. საინტერესოა, ქართულ ფეხბურთზე რა წარმოდგენს გაქვთ?**

- სხვათა შორის, ფედერაციის თავკაცობისას ჟორდანია საკმაოდ აქტიურობდა, უნდოდა თანამედროვე ფეხბურთის სტრუქტურები საქართველოშიც დაენერგა. მასთან ადრე არაერთხელ მისაუბრია... რაც შეეხება ქართულ ფეხბურთს, აქ ძალზე ბევრია სამუშაო. მისახედია საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, კლუბები, ეროვნული ჩემპიონატი, ბავშვთა ფეხბურთი, სამწვრთნელო განათლება. ამ პრობლემების მოგვარებას მხოლოდ ფედერაცია ვერ გასწვდება და სახელმწიფო მხარში უნდა დაუდგეს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ევროპის ლიგა — ვიტ ჯორჯია-ბანიკი



# ბრძოლა ბაროშისა და გალაშეკის გუნდთან

ხვალ უეფას ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო მატჩები დაიწყება. ერთი შეხედვით, ქართული კლუბებიდან ყველაზე რთული მეტოქე "ვიტ ჯორჯიას" შეხვდა. შვედურ "გეფლესა" და სლოვაკურ "დუკლასთან" შედარებით, ჩეხური "ბანიკი" გაცილებით მდიდარი წარსულის მქონე კლუბია და გარკვეულ წარმატებებს ბოლო პერიოდშიც მიაღწია.

"ბანიკი" 1922 წელს დაარსდა და სამჯერ გახდა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი (1976, 1980 და 1981 წლებში). ოსტრაველებმა ასევე სამჯერ მოიპოვეს ჩეხოსლოვაკიის თასი, ჩეხეთის ჩემპიონობა კი ერთხელ, 2004 წელს იზეიმეს. ბოლო ტიტული, ჩეხეთის თასი, "ბანიკმა" 2005 წელს მოიპოვა. გუნდი შიდა ასპარეზზე თითქმის ყოველთვის ახერხებდა საპრიზო ადგილებზე გასვლას. ჩეხეთის ბოლო ჩემპიონატში "ბანიკმა" მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონ "სპარტას" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა, მეორადგილოსან "იაბლონეცს" კი – ერთით.

"ბანიკს" ევროთასი არასოდეს მოუპოვებია, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის არსებობისას საერთაშორისო ასპარეზზე მაინც ანგარიშგასაწევი ძალა იყო. 1975 წელს წელს ოსტრაველები უეფას თასის მეოთხედფინალამდე მივიდნენ, 1979 წელს თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში ითამაშეს, 1981 წელს კი ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალამდე მიაღწიეს.

ყველაზე დიდი ვარსკვლავი, ვინც ბოლო წლებში "ბანიკს" გაუზრდია, ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელი **მილან ბაროშია**, რომელმაც "ლივერპულის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ასევე "ბანიკში" დაიწყო კარიერა **ტომაშ გალაშეკმა**, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით იცავდა ჩეხეთის ეროვნული გუნდისა და ამსტერდამის "აიაქსის" ღირსებას.

"ბანიკს" ამჟამად 58 წლის **მიროსლავ კუბეკი** წვრთნის, რომელსაც მთელი კარიერა სამშობლოში აქვს გატარებული და "კლადნოში", "პლზენში" და მათი გაქანების სხვა კლუბებში უმუშავია.

"ბანიკი" საშინაო მატჩებს 17-ათასიან "ბაზალიზე" ატარებს და სტადიონი თითქმის ყოველთვის პირთამდე ივსება.

გუნდის წევრთა უმრავლესობას ჩეხები შეადგენენ. "ბანიკს" ხუთი ლეგიონერი ჰყავს – პოლონელი მეკარე **დავიდ პიტრკიევიჩი**, კაპოვერდელი მცველი **ფერნანდო ნევესი**, სამხრეთკორეელი ნახევარმცველი **ლი ჰუნგ-სანგი**, სლოვაკი შუახაზელი **იან გრეგუში** და ასევე სლოვაკი თავდამსხმელი **რობერტ ზეჰერი**.

"ბანიკს" დღესდღეობით საერთაშორისო მასშტაბებით მეტნაკლებად ცნობილი მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ჰყავს – 36 წლის მცველი **რენე ბოლფი**, რომელსაც თავის დროზე ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია და პრაღის "სპარტასა" და ფრანგული "ოსერის" ღირსებაც დაუცავს.

ისიც საინტერესოა, რომ რამდენიმე დღის წინ ერთმანეთს ამხანაგურად "ბანიკი" და "ზესტაფონის" მომავალი მოწინააღმდეგე "დუკლა" შეხვდნენ და ის მატჩი ჩეხებმა 2:1 მოიგეს. სლოვაკების კარში გოლები **ფრაილახმა** და **ნევესმა** გაიტანეს. კუბეკმა ამ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ თავისი გუნდის მომზადების დონით კმაყოფილია და ქართული ბარიერის გადალახვის დიდი იმედი აქვს.

აქვე "ბანიკის" მთლიან შემადგენლობასაც გადავავლოთ თვალი.

მეკარეები: **16. იან ბარანეკი (35 წლის), 21. მიხალ დანეკი (27), 30. დავიდ პიტრკიევიჩი (22, პოლონეთი);**

მცველები: **2. ფერნანდო ნევესი (32, კაპო ვერდე), 3. რადიმ რეზნიკი (21), 5. რენე ბოლფი (36), 12. იან ზავადა (22), 22. ზდენეკ შმეიკალი (22), 23. ალეშ ნოივირტი (25), 26. მიხალ ფრიდრიხი (20);**

ნახევარმცველები: **4. მარტინ ლუკეში (31), 7. იოჟეფ ჰუშბაუერი (20), 11. იან გრეგუსი (19, სლოვაკეთი), 15. ანტონინ ფანტიში (18), 18. ტომაშ მარეკი (29), 20. ტომაშ ფრაილახი (24), 21. ლი ჰუნგ-სანგი (25, ს. კორეა), 25. ტომაშ პილიკი (21), 27. ზდენეკ კუკალი (26), 29. პეტრ ვოინარი (21);**

თავდამსხმელები: **6. ზდენეკ სენკერიკი (29), 8. პატრიკ ბოჰაცი (18), 10. რობერტ ზეჰერი (25, სლოვაკეთი), 13. დომინიკ კრაუტი (20), 14. ადამ ვარადი (25), 28. მილოსლავ შტრანდი (28).**

რაც შეეხება "ვიტ ჯორჯიას" მზადებას: გუშინწინ და გუშინ **გელა გომელაურის** გუნდმა "ამერზე" ივარჯიშა, დღეს კი 19 საათზე ეროვნული სტადიონის საფარს მოსინჯავს. საქართველოს თასის მფლობელთა რიგებში ოპტიმისტური განწყობაა და ვნახოთ, როგორ წინააღმდეგობას გაუწევს ჩეხებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დარჩენილი "ვიტ ჯორჯია".

"ვიტ ჯორჯიამდე" ეროვნულ სტადიონზე "ბანიკი" გავა, რომლის ვარჯიშიც 17 საათსა და 45 წუთზე დაიწყება. მანამდე კი მიროსლავ კუბეკის პრესკონფერენცია გაიმართება. ჩეხების თბილისში ჩამოფრენა დღეს დილისთვის იყო დაგეგმილი, "ბანიკი" სასტუმრო "რედისონში" დაბინავდება.

მატჩი "ბორის პაიჭაძეზე" ხვალ 18 საათზე დაიწყება, გულშემატკივრებს თამაშის ცოცხლად ხილვა 3 ლარად შეეძლებათ.

შეხვედრას გერმანელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება **ბაბაქ რაფატის** ხელმძღვანელობით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბაია

# პირველი ტესტი ჩაბარებულია

"ბაიამ", რომელმაც მომავალი სეზონისთვის მზადება რამდენიმე დღის წინ დაიწყო, პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ზუგდიდელთა მეტოქე ხობის "კოლხეთი" იყო. მოლოდინისამებრ, უმაღლესლიგელებს პირველლიგელის დაჯაბნა არ გასჭირვებიათ. **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდმა საკუთარ მოედანზე სოლიდურად, 6:0 გაიმარჯვა.

"ბაიამ" "კოლხეთის" წინააღმდეგ ორი განსხვავებული შემადგენლობით ითამაშა.

პირველ ტაიმში: **სომხიშვილი, კვეკვესკირი, კვესეიშვილი, რ. ონიანი, აკობია, გოგობერიშვილი, გ. ქირია, სიხარულია, გუგუჩია, კ. ჩხეტიანი, გ. ნოდ. ჭელიძე.**

მეორე ტაიმში: **ზარქუა, რიგვავა, კანდელაკი, შონია, აფაქიძე, ვართაგავა, ჩანგელია, მალიჩავა, ლომია, სამადაშვილი, მეგრელაძე.**



ელგუჯა ქომეთიანი

ანგარიში 21-ე წუთზე გუნდის ახალწვეულმა **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ** გახსნა, 32-ე წუთზე "კოლხეთის" კარში გოლი **ნიკა კვეკვესკირმა** გაიტანა, 34-ეზე თავი **ზვიად სიხარულიამ** გამოიჩინა, 45-ეზე კვეკვესკირმა დუბლი გაიფორმა, შესაბამისად 83-ე და 87-ე წუთებზე კი მეტოქის კარი **მურთაზ ჩანგელიამ** და "ბაიას" კიდევ ერთმა ახალმა წევრმა **გიორგი მეგრელაძემ** დალაშქრეს.

"ბაია" ვარჯიშს საკუთარ ბაზაზე განაგრძობს და მორიგ საკონტროლო შეხვედრას 16 ივლისს, "სამტრედიას" წინააღმდეგ ჩაატარებს. ეს მატჩიც ზუგდიდში გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი

# მარცვალაძემ ნალჩიკი დაიფრინა

რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალში I დივიზიონის „ვოლგამ" 5:0 გაანადგურა ნალჩიკის „სპარტაკი" და შემდეგ ეტაპზე გავიდა. თავიდანვე შევნიშნავთ, რომ პრემიერლიგურმა კლუბმა მეორე შემადგენლობით ითამაშა და დაისაჯა კიდეც. სტუმართა შემადგენლობაში არ ყოფილან არც **გოგიტა გოგუა** და არც **დავით სირაძე**. **ომარ თეთრაძემ** კი **ედიკ საჯაია** და **ოთარ მარცვალაძე** სასტარტო შემადგენლობაში დააყენა. 38-ე წუთისთვის, როცა საჯაია შეცვალეს, უკვე 4:0 იყო. მარცვალაძემ გუნდის მესამე გოლი გაიტანა 23-ე წუთზე. ქართველი ფორვარდი 73-ე წუთზე შეცვალეს.

სხვათა შორის, „ვოლგას" ოფიციალური საიტი წერს, რომ მარცვალაძის, საჯაიას და თეთრაძის გამოჩენამ „ვოლგას" გულშემატკივარი შემატა. დასავლეთ ტრიბუნაზე ადგილობრივ ქართველთა გუნდი ქართული დროშებით მხურვალედ გულშემატკივრობს „ვოლგას". „სპორტ ექსპრესთან" ინტერვიუში ოთარ მარცვალაძემ I წრე შეაჯამა: *„ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა გუნდმა ჩემპიონატში ცუდი სტარტი აიღო. საბედნიეროდ, შევძელით ჩარხის შემოტრიალება და ახლა გუნდი ლიდერთა შორისაა. პირველი წრე დიდებულად დავასრულეთ და გულშემატკივარი გავახარეთ".*

**ჯანო ანანიძის** „სპარტაკმა" ლიპეცკში ადგილობრივ „მეტალურგთან" მინიმალური სხვაობით იმარჯვა - 1:0. ქართველი ნახევარმცველი, ისევე როგორც ძირითადი შემადგენლობის ბევრი მოთამაშე, არ გაჰყვა გუნდს. რუსეთის ჩემპიონი „რუბინი" კი გათამაშებიდან ასტრახანში „ვოლგარ-გაზპრომმა" გამოთიშა - 0:1. **ლაშა სალუქვაძე** არ იყო რუბინელთა განაცხადში. გროზნოს „ტერეკმაც" მეორე შემადგენლობა მიავლინა „ლუჩ ენერგიასთან" და 0:4 განადგურდა. **ლევან გვაზავას** არ უთამაშია. დღეს სათასო ბატალიებში **მალხაზ ასათიანის** „ლოკომოტივი" (სტუმრად „გორნიაკთან") და რუსეთის ყველაზე „ქართული" გუნდი „ანჟი" (სტუმრად „ფსკოვთან") ჩაერთვებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვოლგას ქართველი გულშემატკივრები

# აღგა და ნავიდა...

2010-11 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპი ბაქოში დაიწყო, სადაც **კახა ცხადაძის** „ინტერმა" პოლონურ „ლეხთან" მინიმალური სხვაობით წააგო - 0:1 და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი შეიმცირა. ქართველმა მწვრთნელმა სასტარტო შემადგენლობაში ოთხი თანამემამულე ათამაშა: **გიორგი ლომაია, ილია კანდელაკი, კახაბერ მჟავანაძე** და **დავით ოდიკაძე**. კანდელაკს „ინტერში" ოფიციალური დებიუტი ჰქონდა, ოდიკაძის გარდა ყველა ჩვენებურმა 90-90 წუთი ითამაშა (ოდიკაძე 82-ე წუთზე შეცვალეს), სათადარიგოთა სკამზე **ვალერი აბრამიძე** იჯდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი ლომაია იყო, რომელმაც „ინტერის" დაცვის რამდენიმე შეცდომა გამოასწორა. ლომაიამ მხოლოდ ერთხელ ვერ უშველა გუნდს, როცა 47-ე წუთზე მცველებს **არტურ ვიხნიარეკი** გაეპარათ. „არმინიაში" და „ჰერტაში" ნათამაშები ვიხნიარეკი 1997 წლის შემდეგ პირველ მატჩს ატარებდა მშობლიურ „ლეხში" და გამარჯვების გოლით აღნიშნა დაბრუნება.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციას ბოლომდე არ დაესწრო ცხადაძე. აი, რას წერს „აზერისპორტი": *„ქართველმა უპასუხა რამდენიმე კითხვას. შემდეგ, როცა დაინახა, რომ დაძაბულობა მატულობდა, დატოვა დარბაზი". მანამდე კი მან შემდეგი განაცხადა: „დაუმსახურებლად წავაგეთ. სამწუხაროდ, შექმნილი მომენტები ვერ გამოვიყენეთ. გოლი კი დაცვის კონცენტრაციის დაკარგვის ბრალია. როცა აგებს გუნდი, მწვრთნელი დამნაშავეა, მაგრამ მე ვერ გამიგია, რატომ ხართ ასეთი აგრესიულები, ჩვენ ხომ სოფლის გუნდთან არ დავმარცხებულვართ".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მსაჯობა

# რა დააშავა ჰოვარდ ვებმა?



მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის მსაჯს **ჰოვარდ ვებს** ჯოჯოხეთის ყველა კარის შეღება მოუხდა - ესპანელებისა და ჰოლანდიელების შეხვედრაში, რომელშიც მან ცამეტჯერ ყვითელი, ხოლო ერთხელ წითელი ბარათი ამოიღო, ინგლისური გაზეთების მტკიცებით, არბიტრის თითქმის ყველა გადაწყვეტილება სწორი იყო, მაგრამ ნარინჯისფერთა რისხვას მაინც ვერ გადარჩა. ჰოლანდიელებს რამდენიმე ეპიზოდთან დაკავშირებით აქვთ პრეტენზია, ყველაზე მეტად კი **ელჯერო ელიას** მიერ შესრულებული საჯარიმოს შემდეგ კუთხურის ვერდანახვით არიან აღშფოთებულნი. გეხსომებათ, ელიას დარტყმული ბურთი ესპანელთა „ცოცხალ კედელს“ მოხვდა და კუთხურზე გადავარდა, რაც ვებმა და მისმა ასისტენტებმა ვერ შეამჩნიეს. შესაბამისად, ინგლისელმა არბიტრმა კარიდან დარტყმა დანიშნა, საიდანაც ბურთმა სულ ცოტა ხანში ჰოლანდიელების კარის ბადეში ამოჰყო თავი - კუთხური რომ დანიშნულიყო...

*„საერთოდ, ნაგებაში სხვისი დადანაშაულება არ მიყვარს, მაგრამ მსაჯი ესპანეთს ეხმარებოდა“* - თქვა „ლივერპულის“ ვარსკვლავმა **დირკ კუიტმა**.

გაზეთი „სანი“ კი ამტკიცებს, რომ მართალია, კუთხურთან დაკავშირებით ჰოლანდიელები მართლები არიან, მაგრამ მათ თანამემამულეს ჯეროვანი სიმტკიცე რომ გამოეჩინა, მაგ დროისთვის უკვე ორი ჰოლანდიელი უნდა ყოფილიყო გაძევებული. ისინი გასახდელის გზას ჯერ კიდევ პირველ ტაიმში უნდა გაჰყოლოდნენო, წერს ყველაზე მაღალტირაჟიანი ინგლისური გაზეთი. „სანმა“, რასაკვირველია, აზრის გამოთქმა ავტორიტეტულ ადამიანებს სთხოვა, რომელთაგან ერთი პრემიერლიგის შეფი **რიჩარდ სკუდემორი** იყო:

*„მსაჯისთვის ურთულესი მატჩი იყო. მადლობა ღმერთს, ამ შეხვედრას სწორედ ჰოვარდი უძღვებოდა, თორემ კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა“.*

ინგლისურმა პრესამ ჰოლანდიურშიც ჩაიხედა და ნახა, რომ იქ, ვები ლამის ქვეყნის მტრად არის გამოცხადებული. AD Sportwereld წერდა: *„ჩვენი გუნდი მეტწილად მსაჯის სისულელეების გამო დამარცხდა“.*

ხოლო **არიენ რობენმა** სხვა ეპიზოდი გაიხსენა - კერძოდ ის, როდესაც მას, საჯარიმო მოედანში **კარლეს პუიოლმა**, როგორც თავად ამბობს, წესის დარღვევით არ მისცა გოლის გატანის საშუალება, რის გამოც ვებს ესპანელთა მცველი უნდა გაეძევებინა.

*„რად უნდა ლაპარაკი, რომ პუიოლი გასაძევებელი იყო. არ წავიქეცი და სწორედ ამის გულისთვის დავისაჯე. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მსოფლიო დონის მსაჯია საჭირო. ძალიან მეეჭვება, რომ ამ დღეს მსაჯმა საქმეს თავი უმაღლეს დონეზე გაართვა“.*

ნერვიულობით გადაღლილმა და დაზაფრულმა ვებმა თამაშის მეორე დღე პრეტორიაში ფიფას ბაზაზე გაატარა, დაისვენა, მისმა მეგობარმა კი „დეილი მეილს“ უამბო 38 წლის არბიტრის მოსაზრებებისა და განცდების ამბავი.

*„ჰოვარდმა მითხრა, რომ კვირა საღამო მის კარიერაში ყველაზე რთული იყო. ამ დღეს მან ორი უმძიმესი საათი გაატარა. მისივე სიტყვებით, ის ემოციურად და ფიზიკურად გამოფიტულია, თუმცა დიდ მადლობას უხდის ფიფა-ს, რომელმაც მხარდაჭერა აგრძნობინა. ჰოვარდმა მითხრა, რომ ფიფა მარტო მას კი არ ამოუდგა მხარში და ეს მარტო ფინალის შემდეგ კი არ მოხდა, არამედ ზოგადად, ამ ორგანიზაციამ მსაჯებისადმი მთელი ტურნირის განმავლობაში დიდი მხარდაჭერა გამოამჟღავნა“.*

ხოლო, რაც შეეხება ეპიზოდს, როდესაც **ნაიჯელ დე იონგმა ჩაბი ალონსოს** მკერდში წიხლი აძგერა, ამაზე ინგლისურმა პრესამ ორივე ფეხბურთელის კომენტარი მოიძია. ყოფილი ლივერპულელის, ახლა მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველ ალონსოს კომენტარს კომენტარი არც კი ჰქვია: *„ისე დამარტყა, რომ კვლავ მტკივა“* - აი, სულ ეს იყო, რაც თქვა. რაც შეეხება „მანჩესტერ სიტის“ შუახაზელს, მან ასე თქვა:

*„ვებმა ყვითელი ბარათი მაჩვენა, რაც რასაკვირველია, იმას ნიშნავდა, რომ იღბლიანად გამოვძვერი“.*

ბოლოს კი, მოდი, მსაჯთა საქმეების ცნობილი ექსპერტის, 2006 წლის მუნდიალის ერთ-ერთი არბიტრის **გრემ პოლის** მოსაზრებებს გავეცნოთ. პოლმა თავის ტრადიციულ სვეტში დაწერა:

„პირველივე წუთზე, როდესაც **რობინ ვან პერსიმ** მოწინააღმდეგეს კოჭში ჩაარტყა, ნათელი გახდა, რომ ეს შეხვედრა „ჩვენი მშვენიერი სახეობის“ საუკეთესო ნიმუში ვერ იქნებოდა. შემდეგ იყო და ამ ჩემპიონატის „ბოროტმა ძალამ“ **მარკ ვან ბომელმა** ესპანეთის ნაკრების გამთამაშებელ **ანდრეს ინიესტას** ზურგსუკნიდან ისე შეუტია, რომ წითელ ბარათს იმსახურებდა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: უნდა დავდოთ თამაშის გაფუჭებაში ბრალი ინგლისელ მსაჯს ჰოვარდ ვებს, როგორც ეს უკვე ბევრმა გააკეთა? რასაკვირველია, არა. სჯობს, განვიხილოთ ასეთი საკითხი: რატომ იხევენ უკან დიდ, გადამწყვეტ შეხვედრებში (მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) ფეხბურთელების პირდაპირ გაძევებისა და შეუბრალებლად დასჯისგან მსაჯები? ფაქტია, საფეხბურთო წესები ვებს სრულიად უხსნიდა ხელ-ფეხს. ამ წესების თანახმად, მას ჰოლანდიელთა ანტიფეხბურთის ალკვეთა პირველივე წუთიდან შეეძლო. იმას, რომ მაგალითად, უკნიდან სასტიკი თავდასხმა მკაცრად უნდა დაისაჯოს, ახალი წესების მოგონება ნამდვილად აღარ სჭირდება, თუმცა არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი: მსაჯებს მენტალიტეტი, გადამწყვეტი შეხვედრებისადმი დამოკიდებულება უნდა შეუცვალონ და ამაში მათ მხარდაჭერა სჭირდებათ.

1. ფეხბურთელთა საქციელზე და ამ საქციელის შედეგებზე პასუხისმგებლობა უნდა დააწვეთ არა მსაჯებს და თუნდაც მწვრთნელებს, არამედ საკუთრივ ფეხბურთელებს.

2. პრესამ მხარი უნდა დაუჭიროს მსაჯებს და არ უნდა აკრიტიკოს ისინი იმისათვის, რომ წესები პირველივე წუთიდან დაიცვა.

3. მწვრთნელებსა და გუნდების სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებს უნდა აეკრძალოთ არბიტრების კრიტიკა.

4. ფეხბურთელებს უნდა აეკრძალოთ მსაჯების გარშემო შემოჯარვა. ინგლისში, მაგალითად, წესი ასეთია: თუ მსაჯს სამ ფეხბურთელზე მეტი შემოერტყმება, ფეხბურთის ასოციაციას გუნდის დასჯის უფლება აქვს, მაგრამ ამ წესით ფაქტობრივად არ სარგებლობენ.

დაგვეთანხმებით, ვებს ვან პერსი პირველსავე წუთზე რომ გაეფრთხილებინა და შემდეგ შესვენებამდე სამივე გასაძევებელი ჰოლანდიელი რომ გაეძევებინა, მეორე დღეს გაზეთები აჭრელდებოდა სათაურებით: „მსოფლიოს ჩემპიონატში მსაჯი გაგიჟდა“. ანდა, წარმოიდგინეთ, როდესაც ფეხბურთელები ვებს მისცვივდებოდნენ – და ისინი ამას საკმაოდ ხშირად აკეთებდნენ – არბიტრს წესების შესაბამისად ყველა რომ გაეფრთხილებინა, რა ამბავი ატყდებოდა. მაშინ დაიცავდა ფიფა ვებს ენერგიულად? დაუდგებოდა ბოლომდე გვერდში?

ხალხი ხშირად გაიძახის, რომ მას ფული მსაჯის ყურებაში არ გადაუხდია. ვებს ჰოლანდიელები შეხვედრის დასაწყისშივე ათი კაცით რომ დაეტოვებინა შეხვედრის გაფუჭებას დააბრალებდნენ. და ხალხი მართალია - ფეხბურთი ნამდვილად არ არის სახეობა, სადაც ყურადღების ცენტრში მსაჯი უნდა იყოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ანტიფეხბურთის ტაქტიკაც აღსაკვეთია. მსაჯებს მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა მათ სრულფასოვნად შეასრულონ თავიანთი ამოცანა“.

**ილია ბაბუნაშვილი**

თბილისი-პრაღა
ახალი მიმართულებები
კვირაში ექვსჯერ

ისარგებლეთ ფრენების გაზრდილი სიხშირით.ახლა შეგიძლიათ იმოგზაუროთ პრაღაში კვირაში ექვსჯერ და ისარგებლოთ ტრანზიტული რეისებით სხვადასხვა მიმართულებით. ავიაბილეთის საფასური ევროპაში — 220 ევროდან. დაგეგმეთ მოგზაურობა დღესვე და ისიამოვნეთ კომფორტული აერობუსით. დაჯავშნეთ თქვენი ბილეთი და ინფორმაციისათვის მიმართეთ 995 32 227941 ან info@czechairlines.ge.

ბილეთის ღირებულებაში მოსაკრებლები არ შედის.

www.czechairlines.com

CSA CZECH AIRLINES
SKYTEAM

# მუნდიალის შუქ-ჩრდილები

## ტაქტიკური სიახლეები

ორი წლის წინათ, ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრების გამარჯვება მნიშვნელოვნად განაპირობა ამ გუნდის გამოცდილი მწვრთნელის, **ლუის არაგონესის** მიერ არჩეულმა ტაქტიკურმა განლაგებამ. 4-1-4-1, — აი, ასე გამოიყურებოდა ესპანელთა ტაქტიკური სქემა, სადაც განსაკუთრებული ფუნქცია ცენტრალური მცველების წინ მოქმედ „საყრდენს" (ამ პოზიციაზე შთამბეჭდავად იასპარეზა **მარკოს სენამ**) ჰქონდა. ეს, ერთგვარი ტაქტიკური სიახლე იყო და ამის შემდეგ, საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე, არაერთ გუნდს გამოუყენებია. თუმცა, იმასაც ვერ ვიტყვით, რომ საფეხბურთო სამყარო სწორედ ამ განლაგებით თამაშობდა; ანუ, ისე არ მოხდა, როგორც ადრე: გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს „მოდაში" „დუბლ-ვე" (3-2-5) შემოვიდა, მერე მსოფლიო ფეხბურთში წლების განმავლობაში 4-2-4 „ბატონობდა"; თუმცა, დროდადრო, ნახევარმცველების ფუნქციები იზრდებოდა და უკვე 70-80-იან წლებში ჯერ 4-3-3 განლაგების ჰეგემონია იყო, მერე კი „კლასიკურად" მონათლული 4-4-2 მივიღეთ. ამასთან, ტაქტიკური სქემების შეცვლამ ზოგიერთი ამპლუის „გადაშენებაც" გამოიწვია: უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ველარსად შეხვდებით ფლანგების გამოკვეთილ თავდამსხმელებს, გამთამაშებლებსა თუ უკანა ცენტრალურ მცველებს („ლიბეროს" რომ ვეძახდით). ამასობაში კი, სასურველი შედეგის მისაღწევად, ძირითადი აქცენტი დაცვისა და ნახევარდაცვის გაძლიერებაზე კეთდებოდა და 90-იანი წლების დასაწყისიდან ახალი განლაგებაც მივიღეთ: 3-5-2; ოღონდ, ეს სახე მაშინ ჰქონდა, როცა გუნდი უტევდა, აი, თავდაცვის დროს კი უკვე 5-3-2 ხდებოდა.

სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე ჩატარებულ შეხვედრებში ტაქტიკური განლაგების თვალსაზრისით, რაიმე განსაკუთრებული სიახლე თითქმის არ ყოფილა; ძირითადად, ორნაირ სქემას ანიჭებდნენ უპირატესობას: 4-2-3-1 და 4-4-2. ანუ, გუნდების უმეტესობას ძირითადი აქცენტი მაინც ნახევარდაცვის გაძლიერებაზე ჰქონდათ აღებული, სადაც განსაკუთრებული როლი „საყრდენებს" ენიჭებოდათ. სხვათა შორის, მუნდიალის სამივე პრიზიორმა (ესპანეთმა, ჰოლანდიამ, გერმანიამ) მთელი ჩემპიონატი, ფაქტობრივად, ერთი და იმავე სქემით (4-2-3-1) ჩაატარა; ოდნავ განსხვავებული განლაგება ჰქონდა ურუგვაის ნაკრებს: მეორე მატჩიდან მოყოლებული **ოსკარ ტაბარესი** თავის გუნდს 4-3-1-2 სქემით ათამაშებდა, სადაც განსაკუთრებული როლი თავდამსხმელების უკან მოქმედ **დიეგო ფორლანს** ჰქონდა დაკისრებული. ამ, მართლაც ბრწყინვალე თავდამსხმელმა ახალ ამპლუაში თავი ჩინებულად წარმოაჩინა და სრულიად დამსახურებულადაც გახდა მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ზოგი მწვრთნელი ლამის ყველა მატჩში ცვლიდა თავისი გუნდის ტაქტიკურ სქემას; განსაკუთრებით კი ეს იტალიის, ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებებზე ითქმის. ოღონდ, იმაზე აღარაფერს ვიტყვით, თუ რა შედეგი მოუტანა ამ გუნდებს **მარჩელო ლიპის, ფაბიო კაპელოსა** და **რაიმონ დომენეკის** ექსპერიმენტებმა. ამას გარდა, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ **დიეგო მარადონაც** ბოლომდე ვერ გაერკვია, თუ რომელი ტაქტიკური განლაგება იქნებოდა უფრო ეფექტიანი თავისი გუნდისთვის. ყოველ შემთხვევაში, ეს მუნდიალი **„ლეო მესის** ჩემპიონატად" რომ ვერ იქცა, ალბათ, მარადონას ექსპერიმენტების ბრალიც იყო.

ზემოთ ურუგვაი ვახსენეთ და კიდევ ორი ლათინურამერიკული გუნდის ტაქტიკურ განლაგებაზეც გვინდა ვისაუბროთ. ბევრისთვის მოულოდნელად, საკმაოდ შემტევ ფეხბურთს ანიჭებდა უპირატესობას მექსიკის ნაკრების თავკაცი **ხავიერ აგირე**; აღარაფერს ვამბობთ ამ მუნდიალის, ალბათ, ყველაზე საინტერესო და ყველაზე სანახაობრივი ფეხბურთის მიმდევარ ჩილეს ნაკრებზე. ამ გუნდის მთავარ მწვრთნელს (**მარსელო ბიელსას**), სადაც კი უმუშავია, ძირითად აქცენტს მუდამ შეტევაზე აკეთებდა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაინც სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ჩილეს ნაკრების სათამაშო სტილი: დაცვიდან მაქსიმალურად სწრაფად ბურთის „ამოტანა" და შემდეგ უკვე, ფლანგების ასევე მაქსიმალურად გამოყენებით მეტოქეზე ზეწოლის განხორციელება. არანაკლებ საინტერესო იყო ბიელსას, ფაქტობრივად, „რევოლუციური" ტაქტიკური განლაგებაც, მეტად უცნაური სახე რომ ჰქონდა: 3-1-3-3! თანაც, ბიელსამ ჰონდურასთანაც ამ მეტად თამამი და აშკარად შეტევაზე ორიენტირებული განლაგებით ათამაშა თავისი გუნდი, ბრაზილიასთანაც და ესპანეთთანაც!..



კარლეს პუიოლი (მარცხნივ) და ხერარდ პიკე

## ტრადიცია გრძელდება

1930 წლიდან მოყოლებული, ყველა მუნდიალის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებენ. თუმცა, 1982 წლამდე არაოფიციალური სტატუსი ჰქონდა და მხოლოდ ესპანეთში ჩატარებულ მუნდიალზე გამოვლენილ საუკეთესო ფეხბურთელს (**პაოლო როსი**) გადაეცა კიდეც ფიფას მიერ დაწესებული „ოქროს ბურთი". თუმცა, მანამდეც და მას მერეც, ძალიან ხშირი იყო შემთხვევა, როცა ამ მართლაც საპატიო პრიზის მოსაპოვებლად მუნდიალის... მოგებაც არ ყოფილა საკმარისი; ანუ, ამა თუ იმ მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად ხშირად მიუჩნევიათ მეორე ან მესამე ადგილზე გასული გუნდის წარმომადგენელი. ეგ კი არა, ამ მუნდიალამდე ზედიზედ სამჯერ „ოქროს ბურთს" მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში დამარცხებული გუნდის ფეხბურთელები იღებდნენ: 1998 წელს - **რონალდო** (ბრაზილია), 2002 წელს - **ოლივერ კანი** (გერმანია), 2006 წელს - **ზინედინ ზიდანი** (საფრანგეთი). ტრადიცია არც ახლა დაირღვა და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად, ამ მუნდიალზე... მეოთხე ადგილზე გასული ურუგვაის ნაკრების წარმომადგენელი, დიეგო ფორლანი დასახელდა! ოღონდ, ისიც ვაღიაროთ, რომ ჩვენი აზრით, ფიფამ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ყოველ შემთხვევაში, ამ პრიზის ერთ-ერთმა უმთავრესმა კანდიდატებმა, **ვესლი სნეიდერმა** (ჰოლანდია) და **დავიდ ვილიამ** (ესპანეთი) ფინალური მატჩი, სხვა შეხვედრებისგან განსხვავებით, ჩვეულ, მაღალ დონეზე ვერ ჩაატარეს.

ტრადიცია არ დაირღვა სხვა ნომინაციაშიც: ისე როგორც წინა ჩემპიონატში, საუკეთესო ბომბარდირობისათვის ახლაც ხუთი გოლის გატანა საკმარისი აღმოჩნდა. თუმცა, ოთხი წლის წინათ, გერმანელი **მიროსლავ კლოზე** ამ ნომინაციაში თუ ერთპიროვნული გამარჯვებული იყო, ამჯერად ხუთ-ხუთი გოლი ერთდროულად ოთხმა ფეხბურთელმა გაიტანა: დიეგო ფორლანმა, ვესლი სნეიდერმა, დავიდ ვილიამ და **ტომას მიულერმა**. თანაც, ამ შემთხვევაში წლეულს სიახლე გველოდა: 2010 წლის მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირად გერმანიის ნაკრების ახალგაზრდა შემტევი ტომას მიულერი იმიტომ დასახელდა, რომ დანარჩენ სამ კონკურენტთან შედარებით ნაკლები მატჩიც ჩაატარა და, რაც მთავარია, იმათზე მეტი საგოლე პასი ჰქონდა გაკეთებული. არადა, საუკეთესო ბომბარდირის გამოსავლენად ეს წესი (გოლი+პასი) ადრეც რომ ამოქმედებულიყო, ბევრი რამე თუ... ვინმე შეიცვლებოდა! ყოველ შემთხვევაში, ბრაზილიელ **ზიკოს** (1982 წელს), არგენტინელ დიეგო მარადონას (1986 წელს), გერმანელ **ლოთარ მათეუსს** (1990 წელს) და იტალიელ **რობერტო ბაჯოს** (1994 წელს) საუკეთესო ბომბარდირობაზე ნამდვილად სამართლიანი პრეტენზიები ექნებოდათ...

## ახალი სახე(ლ)ები

მუნდიალების 80-წლიან ისტორიაში თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე ახალი ვარსკვლავი არ გამოჩენილიყო. გამონაკლისი, რაღა თქმა უნდა, არც უკანასკნელი მუნდიალი იყო, სადაც ბევრმა ისეთმა ფეხბურთელმა გაიბრწყინა, ყოველივე ამას... თავიანთ სამშობლოშიც რომ არ ელოდნენ! ტომას მიულერი, **სამი ხედირა, მესუთ იოზილი, არნე ფრიდრიხი** (ყველა — გერმანია), **მარტენ სტეკელენბურგი, გრეგორი ვან დერ ვილი** (ორივე — ჰოლანდია), **ლუის სუარესი** (ურუგვაი), — ყველა ამ ფეხბურთელის თამაში მსოფლიოს XIX ჩემპიონატის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, აღარაფერს ვამბობთ ესპანეთის ნაკრების ორ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გუნდისთვის შეუცვლელ მოთამაშეზე: **ხერარდ პიკესა** და **სერხიო ბუსკეტსზე**. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ზემოთ დასახელებულ ფეხბურთელებზე მეტ-ნაკლები წარმოდგენა ყველას გვქონდა - თავიანთი ქვეყნების ჩემპიონატებიდან თუ ევროტურნირებიდან. თანაც, როგორც შეამჩნევდით, ჩამონათვალში მხოლოდ ნახევარფინალში გასული გუნდების ფეხბურთელები არიან; არადა, ამ მუნდიალზე ბევრი ისეთი ფეხბურთელიც „ალმოვაჩინეთ", სპეციალისტთა ვიწრო წრე თუ იცნობდა. სწორედ ამათგან შევადგინეთ კიდეც „ახლების სიმბოლური ნაკრები" და ნიშანდობლივია, რომ აქ მოხვედრილმა ზოგმა ფეხბურთელმა უკვე „მოასწრო" და ბევრად პრესტიჟულ გუნდში გადავიდა, ზოგიც ამას უახლოეს მომავალში გააკეთებს. აი, „ლელოს" რჩეულნიც: **ედუარდო** (პორტუგალია) — **ალკარასი** (პარაგვაი), **პონსე, მედელი** (ორივე — ჩილე) — **კ. ბოატენგი** (განა), **ჰონდა** (იაპონია) — **სანჩესი** (ჩილე), **დოს სანტოსი** (მექსიკა), **კოენტრაო** (პორტუგალია) — **ასამოა გიანი** (განა), **ხავიერ ერნანდესი** (მექსიკა). ამ „უცნაური" განლაგებით (3-2-3-2) მოასპარეზე გუნდის მთავარ მწვრთნელად კი განის ნაკრების სერბი დამრიგებელი, **მილოვან რაიევაცი** „დავნიშნეთ"!..

აქვე, ბარემ, სხვა მანამდე მეტ-ნაკლებად უცნობი ფეხბურთელებიც ვახსენოთ, ამ მუნდიალზე თავი სასიკეთოდ რომ წარმოაჩინეს: **სიფივე ჩაბალალა, კატლეგო მფელა** (ორივე — სამხრეთ აფრიკა), **ხორხე ფუსილე, მაქსი პერეირა, დიეგო ლუგანო** (სამივე — ურუგვაი), **რაის მბოლი, ნადირ ბელხაჯი** (ორივე — ალჟირი), **სამირ ჰანდანოვიჩი, ვალტერ ბირსა** (ორივე — სლოვენია), **ვლადიმერ ვაისი, რობერტ ვიტეკი** (ორივე — სლოვაკეთი), **დიეგო ბენალიო** (შვეიცარია) და სხვები.

## მუნდიალის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსია




## იმედგაცრუება

აი, ამ თემაზე კი, მართლაც, დაუსრულებლად შეიძლება საუბარი... ჰო, ადრეც ხშირად ყოფილა, როცა ამა თუ იმ მუნდიალზე კონკრეტულ ფეხბურთელს უნდა გაებრწყინა, მაგრამ, მიზეზთა გამო, ასე არ მომხდარა; აი, როგორც 1982 წელს ელოდა ყველა, რომ დიეგო მარადონასა და **მიშელ პლატინის** მუნდიალი იქნებოდა, ან, როგორც ბრაზილიელი ზიკოსგან ელოდნენ... სამ მუნდიალზე (1978, 1982, 1986 წლებში) გაბრწყინებას; ანდა, სხვადასხვა წლებში — **რონალდოსგან, რაულისგან, ბატისტუტასგან** და ასე შემდეგ. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირი მეტად სპეციფიკური გათამაშებაა და ხშირად, სხვადასხვა ობიექტური (გადატვირთული საკლუბო სეზონი, ხშირი ტრავმები თუ სატრანსფერო გაურკვევლობა) თუ სუბიექტური (მწვრთნელის მიერ ამპლუის არასწორად შერჩევა) მიზეზის გამო არაერთ ვარსკვლავს მუნდიალზე საკუთარი შესაძლებლობები ვერ უჩვენებია; კონკრეტულად ამ მუნდიალის წინ, ყველა ელოდა, რომ სამხრეთ აფრიკაში **ლეო მესის, კრიშტიანო რონალდოს, უეინ რუნისა** თუ კაკას უნდა გაებრწყინათ; მაგრამ, რა და როგორ მოხდა, ყველამ კარგად იცის. ან, რა, მხოლოდ ამ ვარსკვლავების ასპარეზობას ეთქმოდა იმედგაცრუება? **რობინ ვან პერსი, ფერნანდო ტორესი, ფრანკ რიბერი, ფაბიო კანავარო, ნემანია ვიდიჩი, ლუიშ ფაბიანუ, რობინიო, ეშლი კოული, პატრის ევრა, ნიკოლა ანელკა**, — ფეხბურთის გულშემატკივარი ამათგან ნამდვილად უფრო მეტს ელოდა. არანაკლები იმედგაცრუება იყო მწვრთნელებისგანაც; ოღონდ, **რაიმონ დომენეკის** უაზრო ახირებები, ბოლოს და ბოლოს კრახით რომ უნდა დამთავრებულიყო, ამას ბევრი ელოდა.; ისე როგორც მოსალოდნელი იყო **სვენ-გორან ერიქსონის** მორიგი სამწვრთნელო წარუმატებლობა თუ **კარლოს დუნგას** ფიასკო. აი, ორი გამოცდილი იტალიელი სპეციალისტის, ფაბიო კაპელოსა და **მარჩელო ლიპის** წარუმატებლობაზე საუბარი კი ნამდვილად შორს წაგვიყვანს; თუმცა, იმას კი ვიტყვით, რომ ინგლისელების და იტალიელების ასეთი სუსტი ასპარეზობა გარკვეულწილად, მაინც კანონზომიერება უფრო იყო, ვიდრე — სენსაცია...



უეინ რუნი

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუნდიალი ციფრებში

რა არის საჭირო, რომ გახდე მსოფლიოს ჩემპიონი? უნდა გაირბინო 767 კილომეტრზე მეტი, გადააწოდო 3803 ზუსტი პასი, საჯარიმოში ჩააწოდო 178-ჯერ, კარისკენ დაარტყა 121-ჯერ, 107-ჯერ შეუტიო მეტოქის კარს, მოიგო 17 საჰაერო ორთაბრძოლა, ჩამოაწოდო 56 კუთხური... ოღონდ ეს ყველაფერი სასურველია ნაკრებში **ჩავის, ვილიას, ინიესტას, პუიოლის, კასილიასის, რამოსისა** და **ჩაბი ალონსოს** წყალობით გააკეთო და მთელი მსოფლიო შენს ფერხთაა...

„კასტროლ ინდექსმა“ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად (სტატისტიკურად) ესპანეთის ნაკრების მარჯვენა მცველი სერხიო რამოსი დაასახელა - 9,79 ბალი. რამოსი ფინალამდეც პირველი მივიდა, იქ კი „კასტროლ ინდექსის“ მიხედვით მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. რამოსმა საიმედოდ ჩაკეტა თავისი ფლანგი, მთლიანად გამოთიშა თამაშიდან **დირკ კუიტი** და ჩვეულად შეუტია ჰოლანდიელებს. რამოსის შემტევი პოტენციალი გასაკვირი სულაც არ არის, ფეხბურთელის კარიერას „რეალის“ ვარსკვლავი ხომ თავდამსხმელად იწყებდა.

## მუნდიალის საბოლოო სტატისტიკა

### საინტერესო ფაქტები

სულ მუნდიალის 64 მატჩში გავიდა 145 გოლი, 101 ჯგუფურ ეტაპზე, 44 პლეი ოფში. მატჩში საშუალო შედეგიანობა 2,27 გოლია. მუნდიალზე მხოლოდ ერთი ჰეთ თრიკი დაფიქსირდა (**გონსალო იგუაინი**). სულ 15 პენალტი დაინიშნა, რომელთაგანაც 9 გოლად გარდაისახა. ოთხმა ფეხბურთელმა შეძლო 5-5 გოლის გატანა: **თომას მიულერმა** (გერმანია), დავიდ ვილიამ (ესპანეთი), **ვესლი სნეიდერმა** (ჰოლანდია), **დიეგო ფორლანმა** (ურუგვაი). ყველაზე მეტი გოლი მეტოქეთა კარში გაიტანა გერმანიამ - 16. 3-3 საგოლე პასი მიითვალეს: **კაკამ** (ბრაზილია), მიულერმა, **მესუთ ოზილმა, ბასტიან შვაინშტაიგერმა** (ყველა გერმანია), დირკ კუიტმა (ჰოლანდია). გოლი პლუს პასი ფორმულით საუკეთესო თომას მიულერი გახდა (8). გოლის გაუტანლად შინ დაბრუნდნენ ალჟირი და ჰონდურასი. ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვეს შვეიცარიისა და პორტუგალიის ნაკრებებმა - 1-1. ბურთების ყველაზე კარგი სხვაობა აღმოაჩნდა გერმანიას: +1, უარესი ჩრდილოეთ კორეას: - 11. ყველაზე მეტჯერ კარი მშრალად შეინახა ესპანეთის ნაკრებმა - 5. ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა თომას მიულერმა - არგენტინელთა კარში 2:38 წუთში.

მატჩებს ჯამში დაესწრო 3 მილიონ 178 856 მაყურებელი, საშუალოდ 49 670 კაცი თამაშზე. ყველაზე მეტი მატჩი მოიგეს ჰოლანდიამ და ესპანეთმა - 6-6. 8 ნაკრები შინ მოგების გარეშე გაბრუნდა. არ წაუგია მხოლოდ ახალი ზელანდიის ნაკრებს.

მუნდიალს 18 449 მოხალისე ემსახურებოდა, რომელთაგანაც უხუცესი 80 წლის იყო. მუნდიალზე მსაჯებმა 261 დარღვევა დააფიქსირეს. ანდრეს ინიესტამ 117-ე წუთზე გაიტანა და ისტორიაში შევიდა, როგორც ფინალში გამარჯვების გოლის ყველაზე ბოლოს გამტანი ფეხბურთელი. 39 წლისა და 330 დღის **დევიდ ჯეიმსი** (ინგლისი) მუნდიალის ყველაზე ხანდაზმული მონაწილე იყო. ყველაზე მეტი გოლი კეიპტაუნის „გრინ პოინტზე“ გავიდა - 22. ყველაზე მეტი ფეხბურთელი გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** გამოიყენა - 22 (ყველა მეკარე **ვიზეს** გარდა). ყველაზე მეტი გოლი მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა გაიტანეს - 12, შემდეგ მოდის „ინტერი“ (9 გოლი) და მადრიდის „ატლეტიკო“ (8). ესპანური პრიმერას წარმომადგენლებმა 29 გოლი გაიტანეს, ბუნდესლიგელებმა - 21, სერია ა - 16.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## ინდივიდუალური

### გოლი

| | | |
|---|---|---|
| 5 | მიულერი | გერმანია |
| 5 | ვილია | ესპანეთი |
| 5 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 5 | ფორლანი | ურუგვაი |
| 4 | იგუაინი | არგენტინა |
| 4 | ვიტეკი | სლოვაკეთი |
| 4 | კლოზე | გერმანია |

### საგოლე პასი

| | | |
|---|---|---|
| 3 | კაკა | ბრაზილია |
| 3 | მიულერი | გერმანია |
| 3 | შვაინშტაიგერი | გერმანია |
| 3 | ოზილი | გერმანია |
| 3 | კუიტი | ჰოლანდია |

### კარისკენ დარტყმა

| | | |
|---|---|---|
| 33 | ა. გიანი | განა |
| 32 | ფორლანი | ურუგვაი |
| 32 | ვილია | ესპანეთი |
| 30 | მესი | არგენტინა |
| 27 | სნეიდერი | ჰოლანდია |

### კარში დარტყმა

| | | |
|---|---|---|
| 17 | ვილია | ესპანეთი |
| 15 | ა. გიანი | განა |
| 15 | ფორლანი | ურუგვაი |
| 15 | სუარესი | ურუგვაი |
| 15 | მესი | არგენტინა |

### ხარიხას მოარტყეს

| | | |
|---|---|---|
| 2 | ლამპარდი | ინგლისი |
| 1 | ხედირა | გერმანია |
| 1 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 1 | რონალდო | პორტუგალია |
| 1 | ვილია | ესპანეთი |

*(კიდევ 14-მა ფეხბურთელმა გაარტყა ბურთი ხარიხას)*

### ძელს მოარტყეს

| | | |
|---|---|---|
| 2 | ა. გიანი | განა |
| 2 | მფელა | ს. აფრიკა |
| 2 | მესი | არგენტინა |
| 1 | რონალდო | პორტუგალია |
| 1 | ოკაზაკი | იაპონია |

*(კიდევ 15-მა ფეხბურთელმა გაარტყა ბურთი ძელს)*

### საჯარიმო დარტყმა

| | | |
|---|---|---|
| 10 | ფორლანი | ურუგვაი |
| 9 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 8 | პარკ ჩუ იუნი | ს. კორეა |
| 6 | ლამპარდი | ინგლისი |
| 6 | რონალდო | პორტუგალია |

### დარტყმის სიზუსტე %-ში

(10 და მეტი დარტყმის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 73% | ბირსა | სლოვენია |
| 73% | იგუაინი | არგენტინა |
| 67% | კლოზე | გერმანია |
| 64% | მფელა | ს. აფრიკა |
| 60% | სუარესი | ურუგვაი |

### ზუსტი დარტყმა (საჯარიმოდან)

| | | |
|---|---|---|
| 9 | ვილია | ესპანეთი |
| 9 | სუარესი | ურუგვაი |
| 8 | ა. გიანი | განა |
| 8 | იგუაინი | არგენტინა |
| 8 | კლოზე | გერმანია |

### ზუსტი დარტყმა (საჯარიმოს გარედან)

| | | |
|---|---|---|
| 11 | მესი | არგენტინა |
| 9 | ფორლანი | ურუგვაი |
| 8 | ბირსა | სლოვენია |
| 8 | ვილია | ესპანეთი |
| 8 | რონალდო | პორტუგალია |

### სოლო რეიდი

| | | |
|---|---|---|
| 31 | ს. რამოსი | ესპანეთი |
| 27 | პოდოლსკი | გერმანია |
| 26 | ინიესტა | ესპანეთი |
| 25 | ვილია | ესპანეთი |
| 24 | რობენი | ჰოლანდია |
| 24 | მესი | არგენტინა |

### ზუსტი პასი მეტოქის საჯარიმოში

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჩავი | ესპანეთი |
| 10 | მაიკონი | ბრაზილია |
| 10 | ასამოა | განა |
| 9 | ფუსილე | ურუგვაი |
| 8 | ფორლანი | ურუგვაი |
| 8 | მესი | არგენტინა |
| 8 | ინიესტა | ესპანეთი |
| 8 | ვალდივია | ჩილე |

### თამაშგარე

| | | |
|---|---|---|
| 11 | ვან პერსი | ჰოლანდია |
| 9 | სუარესი | ურუგვაი |
| 7 | ოზილი | გერმანია |
| 7 | ვილია | ესპანეთი |
| 6 | იგუაინი | არგენტინა |

### ბურთის დაკარგვა

(მეკარეთა გარდა)

| | | |
|---|---|---|
| 20 | მიულერი | გერმანია |
| 20 | ს. რამოსი | ესპანეთი |
| 20 | კაპდევილა | ესპანეთი |
| 16 | მაიკონი | ბრაზილია |
| 13 | ჯონსონი | ინგლისი |
| 13 | ლამი | გერმანია |
| 13 | ისლა | ჩილე |

### წაგებული ორთაბრძოლა

| | | |
|---|---|---|
| 12 | ვილია | ესპანეთი |
| 11 | რონალდო | პორტუგალია |
| 10 | კაკა | ბრაზილია |
| 9 | რუნი | ინგლისი |
| 9 | მატმური | ალჟირი |

### მოგერიება

| | | |
|---|---|---|
| 15 | სისარი | სლოვენია |
| 15 | ჯეიმსი | ინგლისი |
| 15 | მატისენი | ჰოლანდია |
| 13 | ჩო იონ ჰიუნი | ს. კორეა |
| 13 | ლუგანო | ურუგვაი |

### ართმევა

(გუნდისთვის დაბრუნებული ბურთი)

| | | |
|---|---|---|
| 10 | ბუღერა | ალჟირი |
| 9 | მატისენი | ჰოლანდია |
| 8 | ჟუანი | ბრაზილია |
| 8 | გრიხტინგი | შვეიცარია |
| 7 | ჩო იონ ჰიუნი | ს. კორეა |



სერხიო რამოსი საუკეთესოა

### მოგებული ორთაბრძოლა

| | | |
|---|---|---|
| 6 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 6 | ფუსილე | ურუგვაი |
| 5 | ბუღერა | ალჟირი |
| 5 | გრიხტინგი | შვეიცარია |
| 5 | ფუსილე | ურუგვაი |
| 5 | მასკერანო | არგენტინა |

### სეივი

| | | |
|---|---|---|
| 24 | კინგსონი | განა |
| 22 | მუსლერა | ურუგვაი |
| 22 | ნოიერი | გერმანია |
| 21 | რი მიონ გუკი | ჩ. კორეა |
| 20 | ენიეამა | ნიგერია |

### გაძევება

| | | |
|---|---|---|
| 1 | კეუილი | ავსტრალია |
| 1 | ხუნე | ს. აფრიკა |
| 1 | კიუელი | ავსტრალია |
| 1 | ბეჰრამი | შვეიცარია |
| 1 | კაიტა | ნიგერია |
| 1 | გურკუფი | საფრანგეთი |
| 1 | რ. კოსტა | პორტუგალია |
| 1 | სუარესი | ურუგვაი |
| 1 | ფ. მელო | ბრაზილია |

### ორი ყვითელი ბარათი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ლეზალი | ალჟირი |
| 1 | ლუკოვიჩი | სერბეთი |
| 1 | ლოდეირო | ურუგვაი |
| 1 | კაკა | ბრაზილია |
| 1 | კლოზე | გერმანია |
| 1 | იაჰია | ალჟირი |
| 1 | ესტრადა | ჩილე |
| 1 | ჰეიტინგა | ჰოლანდია |

### დაჯარიმდა

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჰონდა | იაპონია |
| 17 | ვან ბომელი | ჰოლანდია |
| 17 | ს. რამოსი | ესპანეთი |
| 16 | პერესი | ურუგვაი |
| 15 | სუარესი | ურუგვაი |

### მასზე დაჯარიმდნენ

| | | |
|---|---|---|
| 26 | ინიესტა | ესპანეთი |
| 23 | ჰონდა | იაპონია |
| 22 | ბუსკეტსი | ესპანეთი |
| 22 | ვან ბომელი | ჰოლანდია |
| 22 | სუარესი | ურუგვაი |

### ხელით თამაში

(მეკარეების გარდა)

| | | |
|---|---|---|
| 3 | ვიდალი | ჩილე |
| 3 | სუასო | ჰონდურასი |
| 3 | იაკინი | შვეიცარია |
| 3 | ალტიდორი | აშშ |
| 3 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 3 | კავანი | ურუგვაი |

### პასი

| | | |
|---|---|---|
| 669 | ჩავი | ესპანეთი |
| 565 | შვაინშტაიგერი | გერმანია |
| 555 | ბუსკეტსი | ესპანეთი |
| 544 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 506 | პიკე | ესპანეთი |

### ზუსტი პასი

| | | |
|---|---|---|
| 544 | ჩავი | ესპანეთი |
| 490 | ბუსკეტსი | ესპანეთი |
| 440 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 429 | პიკე | ესპანეთი |
| 428 | შვაინშტაიგერი | გერმანია |

### პასის სიზუსტე (%)

(300 და მეტი პასის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 88% | ბუსკეტსი | ესპანეთი |
| 88% | პუიოლი | ესპანეთი |
| 86% | ჟილბერტო სილვა | ბრაზილია |
| 85% | პიკე | ესპანეთი |
| 84% | მერტეზაკერი | გერმანია |

### ჩაწოდება

| | | |
|---|---|---|
| 50 | ფორლანი | ურუგვაი |
| 42 | ჩავი | ესპანეთი |
| 31 | ოზილი | გერმანია |
| 29 | დონოვანი | აშშ |
| 26 | მორელი | პარაგვაი |

### ზუსტი ჩაწოდება

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჩავი | ესპანეთი |
| 13 | ფორლანი | ურუგვაი |
| 11 | დონოვანი | აშშ |
| 11 | ოზილი | გერმანია |
| 9 | მორელი | პარაგვაი |

### აუტი

| | | |
|---|---|---|
| 80 | ს. რამოსი | ესპანეთი |
| 66 | პანტსილი | განა |
| 64 | ვან ბრონკჰორსტი | ჰოლანდია |
| 63 | კაპდევილა | ესპანეთი |
| 57 | მორელი | პარაგვაი |

### კუთხური

| | | |
|---|---|---|
| 47 | ჩავი | ესპანეთი |
| 35 | ფორლანი | ურუგვაი |
| 23 | ოზილი | გერმანია |
| 17 | მესი | არგენტინა |
| 16 | დონოვანი | აშშ |
| 16 | შვაინშტაიგერი | გერმანია |
| 16 | დ. ალვესი | ბრაზილია |

### ზუსტი კუთხური

(ბურთი მიიღო თანაგუნდელმა)

| | | |
|---|---|---|
| 26 | ჩავი | ესპანეთი |
| 11 | ოზილი | გერმანია |
| 9 | დონოვანი | აშშ |
| 8 | მესი | არგენტინა |
| 8 | ლამპარდი | ინგლისი |
| 8 | ფორლანი | ურუგვაი |

### კუთხურის სიზუსტე

(10 და მეტი კუთხურის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 67% | ლამპარდი | ინგლისი |
| 60% | ჯერემი | კამერუნი |
| 56% | დონოვანი | აშშ |
| 55% | ჩავი | ესპანეთი |
| 50% | ენდო | იაპონია |

### მოკლე პასის სიზუსტე

(100 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 88% | ბუსკეტსი | ესპანეთი |
| 86% | ჩავი | ესპანეთი |
| 84% | მესი | არგენტინა |
| 84% | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 83% | კაპდევილა | ესპანეთი |

### საშუალო პასების სიზუსტე

(100 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 93% | ბურდისო | არგენტინა |
| 92% | ფ. მელო | ბრაზილია |
| 91% | რ. კარვალიო | პორტუგალია |
| 91% | ლუსიო | ბრაზილია |
| 91% | პუიოლი | ესპანეთი |

### გრძელი პასების სიზუსტე

(100 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 72% | შვაინშტაიგერი | გერმანია |
| 69% | პიკე | ესპანეთი |
| 59% | ჩავი | ესპანეთი |

### გაირბინა

| | | |
|---|---|---|
| 80,20 | ჩავი | ესპანეთი |
| 79,80 | შვაინშტაიგერი | გერმანია |
| 78,60 | მ. პერეირა | ურუგვაი |
| 78,57 | ხედირა | გერმანია |
| 74,80 | არევალო | ურუგვაი |

### მაქსიმალური სისწრაფე (კმ/სთ)

| | | |
|---|---|---|
| 32,15 | ერნანდესი | მექსიკა |
| 31,57 | პაპადოპულოსი | საბერძნეთი |
| 31,50 | კაცურანისი | საბერძნეთი |
| 31,50 | პოდოლსკი | გერმანია |
| 31,50 | ნავასი | ესპანეთი |

### აქტიური ფაზა

| | | |
|---|---|---|
| 58 | ხედირა | გერმანია |
| 57 | ჩავი | ესპანეთი |
| 56 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 54 | შვაინშტაიგერი | გერმანია |
| 51 | მ. პერეირა | ურუგვაი |

## გუნდური

### გოლი

| | |
|---|---|
| 16 | გერმანია |
| 12 | ჰოლანდია |
| 11 | ურუგვაი |
| 10 | არგენტინა |
| 9 | ბრაზილია |

### დარტყმა

| | |
|---|---|
| 121 | ესპანეთი |
| 102 | ურუგვაი |
| 102 | გერმანია |
| 101 | განა |
| 95 | არგენტინა |

### კარში დარტყმა

| | |
|---|---|
| 46 | ჰოლანდია |
| 46 | ესპანეთი |
| 46 | ურუგვაი |
| 43 | არგენტინა |
| 42 | გერმანია |

### დარტყმის სიზუსტე

| | |
|---|---|
| 59% | იაპონია |
| 52% | სლოვენია |
| 49% | ჰოლანდია |
| 48% | ინგლისი |
| 47% | კოტ დივუარი |

### შეტევა

| | |
|---|---|
| 107 | ესპანეთი |
| 91 | გერმანია |
| 72 | ბრაზილია |
| 70 | არგენტინა |
| 69 | ჰოლანდია |
| 69 | ურუგვაი |

### შეტევა მარცხენა ფლანგიდან

| | |
|---|---|
| 31 | ესპანეთი |
| 29 | გერმანია |
| 28 | ურუგვაი |
| 23 | ჰოლანდია |
| 20 | ბრაზილია |
| 20 | არგენტინა |
| 20 | ს. კორეა |

### შეტევა ცენტრიდან

| | |
|---|---|
| 38 | ესპანეთი |
| 28 | არგენტინა |
| 26 | ჰოლანდია |
| 24 | განა |
| 24 | გერმანია |

### შეტევა მარჯვენა ფლანგიდან

| | |
|---|---|
| 38 | გერმანია |
| 38 | ესპანეთი |
| 29 | ბრაზილია |
| 28 | ურუგვაი |
| 22 | არგენტინა |

### თამაშგარე

| | |
|---|---|
| 29 | ჰოლანდია |
| 23 | გერმანია |
| 20 | ურუგვაი |
| 18 | ჰონდურასი |
| 17 | ჩილე |

### სოლო რეიდები

| | |
|---|---|
| 178 | ესპანეთი |
| 136 | გერმანია |
| 113 | არგენტინა |
| 97 | ბრაზილია |
| 92 | ჰოლანდია |

### ზუსტი პასი საჯარიმოში

| | |
|---|---|
| 61 | ესპანეთი |
| 40 | გერმანია |
| 38 | ჩილე |
| 36 | განა |
| 36 | ურუგვაი |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| 81 | ურუგვაი |
| 65 | ჰოლანდია |
| 56 | ინგლისი |
| 51 | ალჟირი |
| 50 | ს. კორეა |

### მოგებული ორთაბრძოლა

| | |
|---|---|
| 17 | ურუგვაი |
| 17 | ალჟირი |
| 17 | ესპანეთი |
| 16 | ჩილე |
| 15 | იტალია |
| 15 | პორტუგალია |

### გაძევება

| | |
|---|---|
| 2 | ავსტრალია |
| 1 | ს. აფრიკა |
| 1 | საფრანგეთი |
| 1 | შვეიცარია |
| 1 | პორტუგალია |
| 1 | ნიგერია |
| 1 | ურუგვაი |
| 1 | ბრაზილია |

### 2 გაფრთხილება

| | |
|---|---|
| 2 | ალჟირი |
| 1 | გერმანია |
| 1 | ჩილე |
| 1 | ურუგვაი |
| 1 | სერბეთი |
| 1 | ბრაზილია |
| 1 | ჰოლანდია |

### გაფრთხილება

| | |
|---|---|
| 22 | ჰოლანდია |
| 13 | ჩილე |
| 11 | სლოვაკეთი |
| 11 | განა |
| 11 | გერმანია |

### დაჯარიმდა

| | |
|---|---|
| 126 | ჰოლანდია |
| 99 | ურუგვაი |
| 97 | პარაგვაი |
| 90 | განა |
| 84 | მექსიკა |

### ხელით თამაში

| | |
|---|---|
| 10 | ჰოლანდია |
| 9 | აშშ |
| 9 | პარაგვაი |
| 8 | ჩილე |
| 7 | იაპონია |
| 7 | განა |
| 7 | ურუგვაი |

### ზუსტი პასი

| | |
|---|---|
| 3803 | ესპანეთი |
| 2865 | გერმანია |
| 2665 | ჰოლანდია |
| 2294 | არგენტინა |
| 2254 | ბრაზილია |

### პასის სიზუსტე

| | |
|---|---|
| 80% | ესპანეთი |
| 79% | ბრაზილია |
| 76% | არგენტინა |
| 76% | კოტ დივუარი |
| 76% | მექსიკა |

### ჩაწოდება

| | |
|---|---|
| 162 | ესპანეთი |
| 134 | გერმანია |
| 94 | ჰოლანდია |
| 90 | ურუგვაი |
| 82 | ბრაზილია |

### კუთხური

| | |
|---|---|
| 56 | ესპანეთი |
| 44 | გერმანია |
| 36 | ურუგვაი |
| 35 | ინგლისი |
| 34 | ბრაზილია |

### დისტანცია

| | |
|---|---|
| 767,4 | ესპანეთი |
| 763,2 | ურუგვაი |
| 758,8 | გერმანია |
| 751,8 | ჰოლანდია |
| 577,0 | განა |

## მატჩები

### ყველაზე მეტი დარტყმა

| | |
|---|---|
| 49 | ურუგვაი-განა |
| 41 | აშშ-ალჟირი |
| 41 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 40 | ავსტრალია-სერბეთი |
| 38 | არგენტინა-გერმანია |

### ყველაზე მეტი დარტყმა კარში

| | |
|---|---|
| 23 | ურუგვაი-განა |
| 20 | პარაგვაი-იაპონია |
| 19 | ჩ. კორეა-კოტ დივუარი |
| 17 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 17 | დანია-იაპონია |

### ყველაზე მეტი შეტევა

| | |
|---|---|
| 34 | დანია-იაპონია |
| 33 | აშშ-ალჟირი |
| 33 | ნიგერია-ს. კორეა |
| 33 | ავსტრალია-სერბეთი |
| 33 | საბერძნეთი-ნიგერია |

### სოლო რეიდები

| | |
|---|---|
| 62 | არგენტინა-გერმანია |
| 54 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 53 | ესპანეთი-პორტუგალია |
| 50 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 49 | გერმანია-სერბეთი |
| 49 | არგენტინა-მექსიკა |

### ორთაბრძოლა

| | |
|---|---|
| 32 | ინგლისი-ალჟირი |
| 29 | სლოვაკეთი-იტალია |
| 27 | ჩილე-ესპანეთი |
| 27 | პორტუგალია-ბრაზილია |
| 25 | კამერუნი-დანია |

### ყველაზე უხეში თამაში

| | |
|---|---|
| 55 | პარაგვაი-იაპონია |
| 49 | იაპონია-კამერუნი |
| 48 | საფრანგეთი-მექსიკა |
| 47 | ჰოლანდია-ესპანეთი |
| 46 | ურუგვაი-განა |

### დისტანცია

| | |
|---|---|
| 288,5 | აშშ-განა |
| 270,6 | ჰოლანდია-ესპანეთი |
| 267,6 | პარაგვაი-იაპონია |
| 266,9 | ურუგვაი-განა |
| 238,6 | ავსტრალია-სერბეთი |

## კასტროლ ინდექსი

### 5 საუკეთესო მეკარე

| | | |
|---|---|---|
| 9.48 | ნოიერი | გერმანია |
| 9.21 | კასილიასი | ესპანეთი |
| 8.90 | კავაშიმა | იაპონია |
| 8.83 | სტეკელენბურგი | ჰოლანდია |
| 8.78 | ედუარდო | პორტუგალია |

### 5 საუკეთესო მცველი

| | | |
|---|---|---|
| 9.79 | ს. რამოსი | ესპანეთი |
| 9,74 | კაპდევილა | ესპანეთი |
| 9.70 | პუიოლი | ესპანეთი |
| 9.66 | ლამი | გერმანია |
| 9.62 | პიკე | ესპანეთი |

### 5 საუკეთესო ნახევარმცველი

| | | |
|---|---|---|
| 9.56 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 9.51 | მიულერი | გერმანია |
| 9.46 | ბუსკეტსი | ესპანეთი |
| 9.41 | ვან ბომელი | ჰოლანდია |
| 9.39 | შვაინშტაიგერი | გერმანია |

### 5 საუკეთესო ფორვარდი

| | | |
|---|---|---|
| 9.59 | ვილია | ესპანეთი |
| 9.53 | სუარესი | ურუგვაი |
| 9.12 | კუიტი | ჰოლანდია |
| 9.07 | კლოზე | გერმანია |
| 8.92 | პოდოლსკი | გერმანია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# ისე არ წვიმს?



სერიოზულია
ფერნანდო ტორესის ტრავმა?

„ლივერპული" იმედოვნებს, რომ **ფერნანდო ტორესის** ტრავმა, რომელიც ესპანელმა ფორვარდმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მიიღო, ისეთი სერიოზული არ არის, როგორიც ერთი შეხედვით გამოჩნდა. მოგეხსენებათ, 26 წლის თავდამსხმელმა მუხლის მეორე ოპერაციის გამო (პირველი ოპერაცია იანვარში გაიკეთა) გასული სეზონის ბოლო მონაკვეთი, კერძოდ კი პრემიერლიგის ოთხი ტური გამოტოვა. საბოლოოდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში მოედანზე დაბრუნებამდე „ლივერპულის" ფორვარდს ექვსი უმოქმედო კვირა დაუგროვდა. ტორესმა ვერც ევროლიგის ნახევარფინალში, თავისი ყოფილი გუნდის, მადრიდის „ატლეტიკოს" წინააღმდეგ ითამაშა, ხოლო 11 ივლისს, კვირას, ჰოლანდიის ნაკრებთან ფინალში, თავდამსხმელმა საზარდულიც იტკინა. ცნობისთვის: საზარდული ტორესს შობამდეც აწუხებდა. თუმცა, მერსისაიდელი ფანების დასაწყნარებლად კლუბის ექიმმა **პიტერ ბრუკნერმა** განაცხადა:

*„სანამ ყველაფერს დაწვრილებით არ შევისწავლით, ვერ ვიტყვით, რამდენად სერიოზულია ტრავმა. ესპანეთის ნაკრების ექიმები ფიქრობენ, ტორესის საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც გამოჩნდა".*

საინტერესოა, რომ ტრავმებით გაწვალებულმა ტორესმა გასულ სეზონში, „ლივერპულის" შემადგენლობაში მხოლოდ 32 თამაშის ჩატარება მოახერხა, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - ყველა შეჯიბრებაში ერთად, 22-ჯერ დალაშქრა მოწინააღმდეგეთა კარი.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში ხშირად ლაპარაკობენ, რომ ფერნანდო ტორესის შეძენა „ჩელსის" სურს და საამისოდ ფულსაც არ ინანებს. „ელ ნინიოს" შეძენა უნდა „მანჩესტერ სიტისა" და „ბარსელონასაც".

ინგლისური პრესა იუწყება, რომ მსოფლიოს ჩემპიონობა ტორესმა ერთი ხანობა, „ლივერპულის" შარფითაც იზეიმა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ბუნდესლიგა — კორესპონდენტები

# რობენი გერმანიაში დააფასეს

## ბაიერნის ჰოლანდიელი დრიბლიორი კოლეგებმა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს

მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა, „სამაგიეროდ", ჰოლანდიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი **არიენ რობენი** გერმანიაში დააფასეს. ჰოლანდიელი დრიბლიორი, ტრადიციული გამოკითხვის შედეგად, რომელსაც „კიკერი" გერმანიაში მოთამაშე ყველა პროფესიონალ ფეხბურთელს შორის ატარებს ხოლმე, ბუნდესლიგის 2009/2010 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან რობენს რეკორდმაისტერში მართლაც ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა.

რობენმა კონკურენტებს უდიდესი უპირატესობით მოუგო - გამოკითხულთა 72.7-მა პროცენტმა საუკეთესო სწორედ ჰოლანდიელი დაასახელა. სხვათა შორის, მეორე ადგილზეც „ბაიერნის" ფეხბურთელი გავიდა - **ბასტიან შვაინშტაიგერი** (6.2%). მესამე ადგილი კი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირმა **ედინ ჯეკომ** დაიკავა („ვოლფსბურგი", 4.9%).

### ალმოჩენა მიულერი, მწვრთნელი ვან გაალი

პირველი, მეორე და მესამე ბუნდესლიგის, ასევე რეგიონალლიგის ფეხბურთელებმა, წლის ალმოჩენად, როგორც მოსალოდნელი იყო, „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **თომას მიულერი** შერაცხეს (73.1%). მან **მარკო როისს** („გლადბახი", 10.5%) და **ჰოლგერ ბადშტუბერს** (ბაიერნი, 3.6%) აჯობა. სეზონის საუკეთესო მწვრთნელი „ბაიერნის" თავკაცი **ლუის ვან გაალი** გახდა (38.8%), მეორე ადგილზე „შალკეს" დამრიგებელი **ფელიქს მაგათი** გავიდა (38.3%), მესამეზე კი იურგენ კლოპი („დორტმუნდი", 8.6%).

სეზონის ოფიციალური სიმბოლური ნაკრები კი, 4-4-2 განლაგებით, ასე გამოიყურება:

**მანუელ ნოიერი** (შალკე) - **ფილიპ ლამი** (ბაიერნი), **მატს ჰუმლესი** (დორტმუნდი), **სამი ჰიიპია** (ლევერკუზენი), **დენის აოგო** (ჰამბურგი) - **არიენ რობენი** (ბაიერნი), **ბასტიან შვაინშტაიგერი** (ბაიერნი), **თომას მიულერი** (ბაიერნი), **ტონი კროოსი** (ლევერკუზენი/ბაიერნი) - **ედინ ჯეკო**, შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი).

**გოტფრიდ ლენცი**



ბუნდესლიგა 2009/2010-ის საუკეთესო ფეხბურთელი არიენ რობენი გახდა

დორტმუნდის ბორუსია

# იაპონელი ყენია დორტმუნდში

## კლოპმა იმედისმომცემი ახალწვეული წარადგინა

„ურავა რედ დაიმონდსის" მთავარი მწვრთნელი **ფოლკერ ფინკე** ძალიან უკმაყოფილო იყო იმით, რომ მისი კლუბის ხელმძღვანელებმა ამ ფეხბურთელის გადაბირება ვერ შეძლეს. ფაქტია, რომ უნდოდათ და მოლაპარაკებებსაც აწარმოებდნენ, მაგრამ როცა კლუბ „ოსაკას" კონკრეტული წინადადებით თვით დორტმუნდის „ბორუსიამ" მიმართა, ცხადია, 21 წლის **შინჯი კაგავამ** იაპონურ გრანდში გადასვლას, ევროპის საშუალო დონის, მაგრამ ძალიან ამბიციურ, უდიდესი ისტორიისა და ტრადიციების მქონე კლუბში გადასვლა ამჯობინა. აი, ასე გახდა ახალგაზრდა და უაღრესად ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველი „დორტმუნდის" ფეხბურთელი. კაგავა „ბორუსიას" ფანების წინაშე პირველად ორშაბათს წარდგა. ჟურნალისტებს კი ის 23-ნომრიანი მაისურით, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, **იურგენ კლოპმა** წარუდგინა.

ფეხბურთელი, რომელსაც იაპონიის ნაკრებში 13 მატჩი აქვს ჩატარებული, „ოსაკაში" მე-8 ან 26-ე ნომრით თამაშობდა ხოლმე, დორტმუნდში კი მისი უსაყვარლესი ფეხბურთელის, **დევიდ ბექჰემისა** (რეალის დროიდან) და უსაყვარლესი კალათბურთელის, **მაიკლ ჯორდანის** ნომერი აირჩია.

*„დორტმუნდელი სკაუტები მაგრად უნდა შევაქო. მათ იაპონიაში მართლაც უნიჭიერესი ფეხბურთელი აღმოაჩინეს, რომელიც, ზუსტად ვიცი, იდეალურად ჩაჯდება იმ კონცეფციაში, რაც „ბორუსიას" თავკაც კლოპს აქვს შემუშავებული. კაგავა ძალიან სწრაფი, ტექნიკური და ასე ვთქვათ, ინსტინქტებზე დაყრდნობილი ფეხბურთელია. შეუძლია, როგორც დრიბლიორობა, ისე კომბინაციებში მონაწილეობის მიღება და ძალიან კარგად კითხულობს თამაშს. როცა კაგავა ბურთს მიიღებს, მეტოქის საჯარიმოში ან მის სიახლოვეს სრული ქაოსი იწყება ხოლმე,"* - ეს ფინკეს სიტყვებია.

*„დორტმუნდში პირველ რიგში უდიდესმა ეიფორიამ მომხიბლა. ამ კლუბის თამაშები ნანახი მაქვს და ვიცი, რაც ხდება ხოლმე „ვესტფალენშტადიონზე". ჩემი უმთავრესი პლუსები სისწრაფე და ტექნიკაა. სამაგიეროდ, გასაუმჯობესებელი მაქვს ფიზიკური კონდიციები. ორთაბრძოლას ხშირად ვაგებ. მოედანზე ჩემი ადგილი თავდამსხმელების უკანაა, ან ცენტრში, ანაც მარცხნივ. ისე კი, მთავარია, მწვრთნელმა მათამაშოს და ნებისმიერ პოზიციაზე მაქსიმალურად დავიხარჯები,"* - უთხრა კაგავამ „კიკერს".

**გოტფრიდ ლენცი**

ტოტენჰემი — სეზონის წინ

# კარლოს დაბრუნება



კარლო კუდიჩინი ფეხზე დადგა

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" იტალიელი მეკარე, 36 წლის **კარლო კუდიჩინი**, მოგეხსენებათ, 2009 წლის ნოემბერში მოტოციკლით ავარიაში მოყვა და რვა თვე მკურნალობდა, რის გამოც, გასული სეზონი გაუცდა. ახლა, მკურნალობა დასრულებულია, კუდიჩინი მოედანს დაუბრუნდა - „სფურზმა" პირველი ლიგის გუნდ „ბურნმუთთან" ამხანაგური შეხვედრა გამართა, 4:0 მოუგო და ამ შეხვედრაში ლონდონელთა კარს სწორედ იტალიელი ვეტერანი იცავდა. კუდიჩინის დაბრუნებამ ძალიან გაახარა „ტოტენჰემის" მწვრთნელი **ჰარი რედნაპი**, რომელმაც კლუბის ვებსაიტზე ასე დაწერა:

*„ძალიან ბედნიერი ვარ, კარლო საქმეში რომ დაბრუნდა. ნამდვილად მიხარია".*

კუდიჩინი, რომლის მამა **ფაბიო კუდიჩინი** თავის დროზე „მილანის" მეკარე იყო, ხოლო პაპა **გულერმო კუდიჩინი** „ჩირკოლო სპორტივო პონციანას" მცველი გახლდათ, „ტოტენჰემამდე" „ჩელსიში" გამოდიოდა, თუმცა, ახლა „დეზებიანთა" ბანაკში დამკვიდრდა და მაისში 2011 წლამდეც გააფორმა კონტრაქტი. იტალიელმა პრემიერლიგის ფეხბურთი ბოლოს 2009 წლის ოქტომბერში „ბოლტონის" წინააღმდეგ ითამაშა. რედნაპმა დასძინა:

*„მწვრთნელისთვის დიდებულია, როდესაც კუდიჩინი შენს განკარგულებაშია. მან „ბურნმუთთან" საკმაოდ კარგად ითამაშა და ეს ჩინებული ამბავია როგორც მისთვის, ასევე ჩვენთვის, ყველასთვის. კარლო ნამდვილი პროფესიონალი, საუცხოო მეკარე და დიდებული ადამიანია. ავარიის მძიმე შედეგებისგან თავის დასაღწევად მან ყველა ღონე იხმარა. თავს დატეხილი უბედურება ფაქტად მიიღო, სასოწარკვეთას არ მიეცა და ცხრა პირი ოფლი მოიდინა, რათა მდგომარეობა გამოესწორებინა - კვლავ აღედგინა ფორმა. მთელმა გუნდმა ვიცით, თუ რა ძნელი იყო ასეთი მძიმე ტრავმის შემდეგ არა მხოლოდ ფეხზე დადგომა, არამედ მოედანზე დაბრუნება. კარლოს დღე არ გაუცდენია. როგორც კი თავი ჯანმრთელად იგრძნო, ჩვენი გუნდის მეკარეთა მწვრთნელთან ტონი პარკსთან მუშაობას შეუდგა და საწადელს მიაღწია".*

რაც შეეხება „ტოტენჰემისა" და „ბურნმუთის" შეხვედრას, პრემიერლიგელებმა პირველ ტაიმში გახსნეს ანგარიში - გოლი **ჯონათან ობიკამ** გაიტანა, შესვენების შემდეგ კი **რომან პავლიჩენკომ** ერთ წუთში ორჯერ გამოიჩინა თავი, ხოლო, ბოლოს **დენი როუზმაც** დაამატა. კიდევ, აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „სფურზის" შემადგენლობაში დაბრუნდა ირლანდიელი თავდამსხმელი **რობი კინი**, რომელიც გასული სეზონის მეორე ნახევარში „სელტიკში" გახლდათ გაქირავებული. „ბურნმუთთან" შეხვედრაში ლონდონელებმა ორჯერაც ძელს გაარტყეს ბურთი - პირველად ეს **ადელ ტაარბატმა** გააკეთა, ხოლო მეორედ **ენდოს თაუნსენდმა**.

ერთადერთი, რაც ამ შეხვედრაში „ტოტენჰემის" თავკაცს არ ესიამოვნებოდა ის გახლდათ, რომ პირველ ტაიმში მოედანი კოჭლობით **დევიდ ბენტლიმ** დატოვა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ამბები

### ჩელსი დისკვალიფიკაციის გახანგრძლივებას ითხოვს

"ჩელსიმ" ფიფას **ადრიან მუტუს** დისკვალიფიკაციის ვადის გაგრძელება სთხოვა. შეგახსენებთ, რუმინელი ფორვარდი აკრძალული პრეპარატების მოხმარების გამოა დისკვალიფიცირებული, ლონდონური კლუბი კი მისი სასჯელის გამკაცრებას იმიტომ ითხოვს, რომ ფეხბურთელის საქციელია "ჩელსი" ფინანსურად აზარალა. მუტუს "არისტოკრატებისა" 17 მილიონი ევრო მართებს. თუ მუტუმ ვალი დროულად არ გადაიხადა, "ჩელსი" ფიფას მის სამუდამო დისკვალიფიკაციას მოსთხოვს.

### რონალდომ ესპანეთს მიულოცა

**კრიშტიანო რონალდო** ესპანეთის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონობამ გაახარა და არც მილოცვა დავიწყებია. *"ვულოცავ "ფურია როხას" ტრიუმფს. ამ დიდებულმა გუნდმა ასეთი პატივი ნამდვილად დაიმსახურა. ესპანეთის ნაკრებში არაერთი მეგობარი მყავს და მათი გამარჯვება გულით მიხარია"*, - განაცხადა რონალდომ.

შეგახსენებთ, "რეალის" ვარსკვლავი და პორტუგალიის ნაკრები სამხრეთაფრიკულ მუნდიალს მერვედფინალში, სწორედ ესპანეთთან მარცხით გამოეთიშნენ.

### დამნაშავე მარტო მე არ ვარ

**ბრაზილიის** ნაკრების ნახევარმცველმა **ფელიპე მელომ** განაცხადა, რომ არ სურს, მარტო თვითონ იყოს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ჰოლანდიასთან განცდილი მარცხის განტევების ვაცი. შეგახსენებთ, ჰოლანდიელებმა იმ მატჩში ანგარიში მისი უხეში შეცდომის წყალობით გაათანაბრეს, შემდეგ კი მელო მოედნიდან გააძევეს.

*"ეს მარცხი მხოლოდ ჩემი ბრალი არაა. ყველას ავიწყდება კარგი მომენტები და მხოლოდ ცუდი ახსოვთ. არადა, იმავე შეხვედრაში რობინიომ ანგარიში ჩემი მახვილგონივრული გადაცემით გახსნა. პასუხისმგებლობას სულაც არ გავურბივარ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე რამდენიმე კარგი თამაში ჩავატარე"*, - ამბობს მელო.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ბასტიან შვაინშტაიგერი

# ბაიერნზე ჯვარი არ დამიწერია!

## შვაინის სიტყვა: მიხაელ ბალაკი ბუნდესგუნდის განუყოფელი ნაწილია და მისთვის კაპიტნობის ჩამორთმევის მიზეზი არ არსებობს

**გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და იმ დროს, როცა ბუნდესგუნდს უმთავრესი ფიგურა და კაპიტანი მიხაელ ბალაკი აკლდა, ლიდერის როლი ძალიან კარგად შეასრულა ბასტიან შვაინშტაიგერმა, რომელიც იოახიმ ლიოვის გუნდში აშკარად საუკეთესო იყო. შესაბამისად, ლოგიკურია ის, რომ გაზეთმა „ბილდმა" მუნდიალის შეჯამება და სამომავლო პერსპექტივებზე საუბარი პირველ რიგში სწორედ შვაინშტაიგერს სთხოვა.**


ბასტიან შვაინშტაიგერი ბაიერნიდან წასვლას არ გამორიცხავს

**- ჰერ შვაინშტაიგერ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა, მიუხედავად იმისა, რომ ფინალში ვერ გახვედით?**

- ნამდვილად კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ჩემი მიზანი ფინალში გასვლა და ტიტულის მოგება იყო. უკმაყოფილების საფუძველი არა, მაგრამ არც იმის საფუძველი გვაქვს, რომ სიხარულისგან გავგიჟდეთ. ოთხი წლის წინ მესამე ადგილით ძალიან კმაყოფილი ვიყავი, წელს კი მეტი მინდოდა...

**- როგორ ფიქრობთ, დიეგო ფორლანმა საუკეთესო ფეხბურთელის წოდება დაიმსახურა? კანდიდატებს შორის თქვენც იყავით...**

- ფორლანი ულაპარაკოდ საუკეთესო იყო.

**- ვრცელდება ინფორმაციები, რომ თქვენი გადაბირება „ჩელსის", „რეალს" და „იუვენტუსს" სურთ...**

- მარტო ამათ? რამდენადაც ვიცი, კიდევ ორსამ გრანდს ვუნდივარ.

**- სერიოზულად?**

- ვიხუმრე. იცით, როცა წამყვანი კლუბისა და ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი ხარ, ყოველთვის არსებობენ და იარსებებენ კლუბები, რომლებსაც შენი გადაბირება მოუნდებათ. თუმცა „ბაიერნთან" კონტრაქტი 2012 წლამდე მაქვს გაფორმებული. ჩემს ხელშეკრულებას და კლუბს კი დიდ პატივს ვცემ.

**- მაგრამ სხვა კლუბში გადასვლაზეც ფიქრობთ...**

- ყოველ შემთხვევაში, სიტყვა ტრანსფერი ჩემთვის უცხო არ არის. მაგრამ ახლა ამაზე ბევრი ლაპარაკი არ მინდა. ვგრძნობ, რომ „ბაიერნი" გენიალურ გუნდად ყალიბდება. ვგულისხმობ იმას, რომ წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ტყუილად არ გავსულვართ. ჩემი მიზანი კი სწორედ ჩემპიონთა ლიგის მოგებაა.

**- პირდაპირ გკითხავთ: გამორიცხული არ არის, რომ კარიერა სხვაგან გააგრძელოთ?**

- არ შემიძლია და არც მინდა იმის თქმა, რომ მიუნხენის „ბაიერნზე" ჯვარი მაქვს დაწერილი.

**- მაინც რომელ ქვეყანას ანიჭებთ უპირატესობას?**

- ბუნდესლიგა ძალიან მაგარია და ბოლო დროს უდიდესი პროგრესი განიცადა, მაგრამ თუ ოდესმე „ბაიერნს" დავტოვებ, დავტოვებ გერმანიასაც. ცხადია, კარიერას ან იტალიაში გავაგრძელებ, ან ესპანეთში და ანაც ინგლისში.

**- მსოფლიოს ჩემპიონატს დავუბრუნდეთ: ინგლისთან და არგენტინასთან გუნდმა უნაკლო ფეხბურთი ითამაშა. როგორ ფიქრობთ, რა დააკლდა ბუნდესგუნდს ესპანეთთან?**

- ამაზე მეც ძალიან ბევრი ვიფიქრე. ვფიქრობ, 5-6 დღე დაგვაკლდა.

**- რას გულისხმობთ?**

- მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი შეკრება 5-6 დღით ადრე რომ დაგვეწყო, ჩვენს სათამაშო სტილს უკეთესად დავამუშავებდით და ზუსტად ვიცი, რომ ესპანეთთანაც გაცილებით უკეთ ვითამაშებდით. მაგრამ იმის გამო, რომ ბრემენის „ვერდერი" გერმანიის თასის ფინალში გავიდა, ხოლო „ბაიერნი" კი თასის ფინალშიც და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც, გერმანიის ნაკრები სრული შემადგენლობით გვიან შეიკრიბა.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ შეკრება უფრო ხანგრძლივი რომ ყოფილიყო, ესპანეთს მოვუგებდით და ფინალში გავიდოდით?**

- ამის გარანტიას ვერავის მივცემ, მაგრამ ფაქტია, რომ უკეთესად ვითამაშებდით და შანსიც მეტი გვექნებოდა. ჩემი აზრით, გერმანიას წელს მსოფლიოს ჩემპიონობაც შეეძლო.

**- ესპანეთთან მატჩის წინ ფილიპ ლამმა თქვა, მიხაელ ბალაკს კაპიტნის სამკლავურს იოლად არ დავუთმობო...**

- ლამის განცხადება ლეგიტიმურია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ესპანეთთან მატჩის წინ ამის დრო არ იყო. როცა ეს გავიგე, ფილიპისგან ძალიან გამიკვირდა. ლამს ჩემი აზრი გულახდილად ვუთხარი.

**- ჰო, მაგრამ ამ ყველაფერს თამაშზე გავლენა არ მოუხდენია, ხომ ასეა?**

- რა თქმა უნდა, ასეა. უბრალოდ, ესპანეთს ჩვენზე უკეთესი გუნდი ჰყავს. არ ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ ცუდი გუნდი გვყავს. იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ძალიან კარგი კოლექტივი გვყავს, ესპანეთს კი - სრულყოფილი, იდეალური.

**- იქნება თუ არა გერმანიის ნაკრები ევროპის 2012 წლის უპირველესი ფავორიტი?**

- ვფიქრობ, ეს გუნდი მანამდე კიდევ უფრო კარგად შეთამაშდება და ჩვენ შევძლებთ ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე პირველობას. ფაქტია, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და უალრესად ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს. აქედანვე ვიტყვი, რომ ევრო 2012-ზე ჩვენი მიზანი მხოლოდ თასი უნდა იყოს.

**- ბალაკთან ერთად?**

- მიხაელ ბალაკი გერმანიის ნაკრების განუყოფელი ნაწილია და ასე იქნება მანამ, სანამ კარიერას არ დაასრულებს.

**- კაპიტნობა უნდა შეინარჩუნოს?**

- მე არ ვარ მწვრთნელი, მაგრამ ვფიქრობ, რომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც ბალაკს კაპიტნობა უნდა ჩამოვართვათ. რა სისულელეა? ტრავმა რომ არ მიელო, მუნდიალზე ხომ იქნებოდა კაპიტანი? ჰოდა, რაკი დაშავდა, ამის გამო სამკლავურს ვართმევთ? ლამს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ბალაკი შეუცვლელია.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი



მასიმო მორატის სამი თვე უქმად ყოფნა მოუწევს

# მორატი არ დაინდეს!

## სამთვიანი დისკვალიფიკაცია პრეციოზისთან მოლაპარაკებებისთვის

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა **მასიმო მორატის** სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ამ ხნის განმავლობაში, „ინტერის“ პრეზიდენტს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება აეკრძალება. ამასთან, სინიორ მასიმოს 45 ათასი ევროს ოდენობით ჯარიმის გადახდა მოუწევს.

რატომ დასაჯეს ასე მკაცრად მასიმო მორატი? საქმე გასულ ზაფხულს „ინტერისა“ და „ჯენოას“ პრეზიდენტების მოლაპარაკებებს ეხება, რომელიც წარმატებით დასრულდა და „ნერაძურიში“ ორი ფეხბურთელი გადაბარგდა: **დიეგო მილიტო** და **ტიაგო მოტა**. ძაღლის თავი კი იმაშია დამარხული, რომ იმ პერიოდში, „ჯენოას“ პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზი** დისკვალიფიცირებული გახლდათ და აკრძალული ჰქონდა ყველანაირი საქმიანობა. ეს კარგად იცოდა მორატიმაც, მაგრამ მოლაპარაკებების პროცესში მაინც ჩაება. ბუნებრივია, პრეციოზიც დაისაჯა და თანაც, კიდევ უფრო მკაცრად. „ჯენოას“ პრეზიდენტს მთელი ექვსი თვით მოუწევს უქმობა და კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში არავითარ მოლაპარაკებას აღარ გამართავს. რაც შეეხება მორატის, ის არ ეთანხმება ფედერკალჩოს გადაწყვეტილებას და აცხადებს:

*„ჟოზე მოურინიო მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ „ინტერს“ ძალიან ბევრი მტერი ჰყავს. ის, რაც ამ დღეებში ხდებოდა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჩემს დამცველებს ყველანაირი ალიბი ჰქონდათ საიმისოდ, რათა სადისციპლინო კომიტეტს სასჯელი არ დაეწესებინა, მაგრამ არავინ მოგვისმინა. ნათელი გახლდათ, რომ გადაწყვეტილება წინასწარ იყო მიღებული და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ვიღაცას ძალიან არ მოსწონს ჩვენი წარმატებები და ყველანაირად ცდილობს, ხელი შეგვიშალოს, მაგრამ არაფერი გამოუვა - მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ“.*

### სნეიდერი არ იყიდება!

მორატის სატრანსფერო გეგმებზე ჰკითხეს, მათ შორის **ვესლი სნეიდერის** შესაძლო გასხვისების პერსპექტივებზე. აქვეა, მასიმოს პასუხი: *„თუ გვსურს, რომ მწვერვალზე დავრჩეთ, შემადგენლობის გაძლიერებაზე უნდა ვიფიქროთ და არა წამყვანი ფეხბურთელების გასხვისებაზე. სნეიდერი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და ის ჩვენს სამომავლო გეგმებში ზის. მქონდა რაფაელ ბენიტესთან სატრანსფერო საკითხებზე საუბარი და ვიცი, რომ ძირითადი ბირთვის შენარჩუნება სურს. ასე რომ, ვესლის გაყიდვას ნამდვილად არ ვაპირებთ“.*

მორატის ერთი საინტერესო კითხვა დაუსვეს: მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემა ხომ არ აქვს როგორც მას, ისე მთელ გუნდს? აი, მასიმოს პასუხიც: *„კითხვის ქვეტექსტი გასაგებია. მართალია, გასულ სეზონში ყველაფერი მოვიგეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები შეგვექმნება. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ აუცილებლად უნდა მოვიგოთ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ამასთან, ევროპის და იტალიის სუპერთასი, რაც გასული ტრიუმფალური სეზონის ლოგიკური გაგრძელება იქნება. ვუმიზნებთ სკუდეტოს და ჩემპიონთა ლიგას, რადგან „ინტერი“ დიდი გუნდია და ყოველთვის უმაღლეს მიზნებს ისახავს. დამიჯერეთ, ძალიან დიდი მოტივაციაა, როდესაც უმაღლეს მწვერვალზე გსურს დარჩენა“.*

### ბენიტესი: ყველა ტიტული უნდა შევინარჩუნოთ!

ყველას აინტერესებს, როგორ ათამაშებს „ინტერს“ **რაფაელ ბენიტესი**. როგორ ტაქტიკურ მონახაზს აირჩევს და რა შემადგენლობას დაეყრდნობა. რაფა ამბიციური მწვრთნელია და შეეცდება, გუნდში რაღაც სიახლე დანერგოს, რაღაც თვისებრივი შეცვალოს. **ჟოზე მოურინიოს** კოპირება მისი იმიჯისთვის არცთუ სასარგებლო იქნება, ესპანელი კი იმიჯს ყოველთვის უფრთხილდებოდა. აი, რას ამბობს ბენიტესი „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტთან საუბარში: *„ჩვენი მთავარი მიზანი იმ ტიტულების შენარჩუნება იქნება, რომელიც გუნდმა გასულ სეზონში მოიპოვა. მთავარია, გამარჯვებულის მენტალიტეტი გვქონდეს, დამიჯერეთ, ეს ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი ტაქტიკური მოდელი. როდესაც „ლივერპულში“ მივედი, პირველი, რაც გავაკეთე, ფეხბურთელები ერთად შევყარე და კარგა ხანს ვესაუბრე. მათ ვუთხარი, რომ ერთსულოვნების და ერთ მუშტად შეკვრის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. ასე რომ, დღეს ტაქტიკაზე და შემადგენლობაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, ამას დრო გვიჩვენებს“.*

**ლაშა წიკლაური**

მილანი

# რონალდინიო ფლამენგოს მოუნდა

## როსონერი და ჯენოა ბარტერს ამზადებენ

„მილანი“ და „ჯენოა“ მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე ალბათ ნაყოფიერად ითანამშრომლებენ. იტალიელი ჟურნალისტები აქტიურად წერენ რამდენიმე გარიგებაზე, რომელიც ამ კლუბებს შორის შეიძლება შედგეს. პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან, **მარკო ამელია** „როსონერიში“ იასპარეზებს. ხელშეკრულება საიჯარო იქნება და მხოლოდ ერთ სეზონზე გათვლილი. მარკო მთლად კარგად ვერ წარმოჩნდა ლიგურიულ კლუბში და როგორც ჩანს, „ჯენოას“ მთავარ მწვრთნელს მასზე გული აუცრუვდა. რაც შეეხება „მილანს“, გუნდში ორი მაღალი კლასის კიპერია: **ნელსონ დიდა** და **კრისტიან აბიატი** - თუმცა, ეს არ იძლევა დამშვიდების საბაბს და ამელიას იჯარაც ამად გახდა საჭირო. დიდაც და აბიატიც, ძალიან ხშირად იღებენ ტრავმებს და შესაბამისად, არასტაბილურობით გამოირჩევიან. ამიტომ, კიდევ ერთი კიპერის გადაბირება უბრალოდ აუცილებელია. ვნახოთ, წესით, უახლოეს დღეებში ეს საკითხი უნდა გადაწყდეს.

### იანკულოვსკი პაპასტატოპულოსის ნაცვლად?

**ადრიანო გალიანი** უახლოეს დღეებში გენუას ეწვევა და ამელიას გარდა, **სოკრატის პაპასტატოპულოსზე** ჩამოაგდებს სიტყვას. თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, გალიანის მის კოლეგასთან, **ალესანდრო ძარბანოსთან** მოუწევს შეხვედრა, რომელიც არ არის წინააღმდეგი, ბერძენი ფეხბურთელი „მილანში“ გაუშვას - სანაცვლოდ კი ან ექვს მილიონ ევროს მოითხოვს, ანაც მისთვის სასურველ ფეხბურთელს. ეს ფეხბურთელი კი დიდი შანსია **მარეკ იანკულოვსკი** იყოს, რომელიც უკვე დიდი ხანია ველარ ხვდება „როსონერის“ ძირითად შემადგენლობაში. იანკულოვსკის გაშვება „მილანის“ მესვეურებს ჯერ კიდევ იანვარში სურდათ და **ამანტინო მანსინის** სანაცვლოდ, „ინტერსაც“ კი შესთავაზეს, მაგრამ მაშინ ჩეხი თვით **ჟოზე მოურინიომ** დაიწუნა. მოკლედ, მარეკი ვერაფრით მოიშორეს და ვნახოთ, „ჯენოაში“ თუ მაინც უკრავენ თავს.

### გლობო: რონალდინიო ფლამენგოს ელაპარაკება

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც „მილანს“ უკავშირდება, **რონალდინიოს** ეხება. ის, რომ გაუჩო მომდევნო სეზონს „როსონერიში“ დაიწყებს, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, მაგრამ როგორც ჟურნალისტები იუწყებიან, არის შანსი, „მილანისა“ და რონალდინიოს თანამშრომლობა მხოლოდ ექვს თვეს გაგრძელდეს - ანუ, ზამთრის შესვენებისას გაუჩომ კლუბთან ხელშეკრულება გაწყვიტოს. საქმე იმაშია, რომ რონისა და „როსონერის“ შორის გაფორმებულ კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ფეხბურთელს აქვს უფლება, 2011 წლის იანვარში თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღოს. გამომდინარე იქიდან, რომ რონი ძალიან უკმაყოფილოა მილანური ხელფასით, გამორიცხული მართლაც არაფერია. მით უმეტეს, ბრაზილიური „გლობოს“ მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, გაუჩო აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს „ფლამენგოსთან“ და შეიძლება, უახლოეს დღეებში შეთანხმებასაც მიაღწიოს. ამ საკითხზე რონალდინიოს ძმამ და ამავდროულად პირადმა აგენტმა **რობერტო დე ასისმა** ისაუბრა: *„დასამალი არაფერია, „ფლამენგოს“ მესვეურები მართლა დამიკავშირდნენ, მაგრამ მათთან საუბარი არც კი მიცდია. პირდაპირ „მილანის“ მესვეურებთან გადავამისამართე, რადგან სწორედ ისინი წყვეტენ ასეთ საკითხებს. სანამ გაუჩოს „როსონერისთან“ ხელშეკრულება აკავშირებს, მის ბედს კლუბი განაგებს. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რაზე ისაუბრეს „ფლამენგოსა“ და „მილანის“ წარმომადგენლებმა, მაგრამ იმაში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სილვიო ბერლუსკონი გაუჩოს გასხვისებას არ მოისურვებს“.*

**ლაშა წიკლაური**



რონალდინიო იანვარში, შეიძლება, როსონერის ფანებს დაემშვიდობოს

ფიორენტინა

# ბორუცი ფლორენციაში

„ფიორენტინას“ ოფიციალური ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომავალი სეზონიდან, კლუბის ღირსებას **არტურ ბორუცი** დაიცავს. პოლონელი კიპერი წლების განმავლობაში გლაზგოს „სელტიკში“ ასპარეზობდა და როგორც ჩანს, კარიერის უფრო ძლიერ ლიგაში გაგრძელება გადაწყვიტა. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, პირველი მეკარის სტატუსი ექნება, თუ **სებასტიან ფრეის** თადარიგში მოუწევს ყოფნა. ეს იმაზეა დამოკიდებული, გამართლდება თუ არა იტალიელი ჟურნალისტების ვარაუდი ფრეის ინგლისში გადაბარგებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ საკითხზე ჩამოუგდეს სიტყვა ჟურნალისტებმა „ვიოლას“ სპორტულ დირექტორს. მოვუსმინოთ **პანტელეო კორვინოს**:

*„ბორუცის შეძენა ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ ფრეის გასხვისებას ვაპირებთ. თავად ფრეის ფლორენციაში სურს დარჩენა და ეს ძალიან გვახარებს. რაც შეეხება ბორუცს, გამოცდილი კიპერია და გუნდს აუცილებლად გამოადგება. ჩემი აზრით, კლუბს მინიმუმ ორი უმაღლესი კლასის კარის დარაჯი უნდა ჰყავდეს“.*

კიდევ ერთი ცნობა, რომელიც „ფიორენტინასთან“ დაკავშირებით გავრცელდა, ახალგაზრდა სენეგალელ ფეხბურთელ **კუმა ბაბაკარომს** ეხება. ძალიან პერსპექტიული მოთამაშეა და მასზე არაერთი გუნდი ნადირობდა, თუმცა ფლორენციელებმა მოახერხეს კუმას შენარჩუნება და მასთან ახალი, ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს. ვნახოთ, რამდენად გაამართლებს გაცემულ ავანსებს ბაბაკარომი.

**ლაშა წიკლაური**

ამბები

### ტაბარესს დარჩენას სთხოვენ

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **სებასტიან ბაუსამ** განაცხადა, რომ ყველაფერს იღონებს ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე **ოსკარ ტაბარესის** დასატოვებლად. კონტრაქტის გაგრძელებაზე ტაბარესს პრეზიდენტისთვის უკვე ნათქვამი აქვს წინასწარი თანხმობა, ასე რომ, წესით, ფედერაციისა და მწვრთნელის თანამშრომლობის გახანგრძლივებას წინ ვერაფერი უნდა აღუდგეს.

### პალერმო ლეივას ეპატიჟება

„პალერმომ“ "ლივერპულის" 23 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველის, **ლუკას ლეივას** გადაბირების სურვილი გამოთქვა. *"ლივერპულს" ოფიციალური წინადადებით უკვე მივმართეთ, მაგრამ სიმართლეს არ შეესაბამება პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს "ლივერპულს" ლეივას სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა შევთავაზეთ. ჩვენ ამაზე გაცილებით ნაკლები თანხის გადახდას ვაპირებთ"*, - აცხადებს იტალიური კლუბის სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი**.

ლეივა "ლივერპულში" 2007 წელს "გრემიოდან" გადავიდა და მერსისაიდელთა რიგებში ჩატარებულ 119 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა.

### ნანი უკვე ჯანმრთელადაა

პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი **ნანი**, რომელმაც მხრის ტრავმის გამო მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა, თავს კარგად გრძნობს და "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად ჩრდილოამერიკულ ტურნეში მიემგზავრება.

აშშ-ში "მანიუ" ამხანაგურად "სელტიკს", "ფილადელფიასა" და "კანზასს" ეთამაშება, ასევე შეხვდება ჩრდილოამერიკული საფეხბურთო ლიგის ყველა ვარსკვლავის ნაკრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა

თბილისის პირველობა ახალგაზრდებში

# თბილისმა ახალგაზრდები დაასაქმა

გუშინ **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში დამთავრდა დედაქალაქის პირველობა ახალგაზრდებში პნევმატური პისტოლეტით სროლაში. სამწუხაროდ, ამ ასაკის სპორტსმენები შეჯიბრებებს მოკლებულნი არიან და ფედერაციამაც ეს პირველობა მათთვის სატურნირო პრაქტიკის მისაცემად ჩაატარა. შეჯიბრებაში მხოლოდ თბილისელი მოზარდები მონაწილეობდნენ, თუმცა ტურნირმა დანიშნულება მეტნაკლებად მაინც შეასრულა - ახალგაზრდებს სტარტიც მისცა და ახალი კადრებიც წარმოაჩინა. მაგალითად, სალუქვაძის კლუბის წევრი **მარიამ კოლუაშვილი** პირველად გამოდიოდა ოფიციალურ შეჯიბრებაში და ბრინჯაოც მოიპოვა. გოგონებში ჩემპიონი **თეონა იაშვილი** გახდა, ვერცხლი კი **ანა გაგილაძემ** ირგუნა.

ვაჟებში ყველაზე უკეთ **ჯუმბერ ოქრუაშვილმა** ისროლა, მეორეზე **გიორგი ბერიშვილი** გავიდა, მესამეზე - **გიორგი ნანალაშვილი**.

ამასობაში ფერხდება ეროვნული ნაკრების წევრების - თავად ნინო სალუქვაძის, **ლევან ქადაგიძის** და მწვრთნელ **ვახტანგ სალუქვაძის** მოსკოვში, საწვრთნელ შეკრებაზე წასვლა. ჩვენები ივლის-აგვისტოს მიჯნაზე მიუნხენში გასამართი მსოფლიოს პირველობისთვის ემზადებიან, იმ შეკრებაზე კი რუსული ფედერაციის ხელმძღვანელობა იწვევდა. მათი სურვილი ჩვენებისასაც დაემთხვა, ფულიც დროულად გამოიძებნა, მაგრამ საქართველო-რუსეთს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო ვიზების გაცემა ფერხდება. რუსული ფედერაცია ძალიანაა დაინტერესებული ამ პრობლემის მოგვარებით, მაგრამ საქმეს ის აჭიანურებს, რომ გადაწყვეტილება სულ სხვა ინსტანციამ უნდა მიიღოს. თავდაპირველი გეგმით, ჩვენები იქ დღეს უნდა წასულიყვნენ, ახლა კი ზეგისთვის გამგზავრებას იმედოვნებენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



სალომე სირაძე და სოფიო ნიკოლაძე

# პეონა და პეოს მიწვევით

ბოლო დროს ქართველი მოჭადრაკეები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის საკლუბო ჩემპიონატებში და წარმატებითაც. ამას წინათ ჩვენებურთა 12-კაციანი ჯგუფი თურქეთში იმყოფებოდა ორი კვირის განმავლობაში ქვეყნის პირველობაზე. როგორც გაცნობეთ, **ლევან ფანცულაიას** „ისეკმა" მესამე ადგილი დაიკავა და ქართველმა დიდოსტატმაც დიდი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ხოლო მესამე დაფაზე 12 შესაძლებლიდან 11,5 ქულით „ოქროსაც" გამოჰკრა ხელი. თავიანთ დაფებზე, ასევე, პირველ ადგილებზე გავიდნენ **მარიამ დანელია** და **მიხეილ მჭედლიშვილი**, ხოლო **მერაბ გაგუნაშვილსა** და **სოფიო გურამიშვილს** ბრინჯაოს მედლები ხვდათ.

უფრო ხანგრძლივად იმყოფებოდნენ ბარსელონაში საჭადრაკო კლუბ „პეონა და პეოს" მიწვევით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ოსტატი **სოფიო ნიკოლაძე** და ახალგაზრდა ოსტატები — **სალომე სირაძე, ირაკლი ჯანიაშვილი** და **ნიკა ვოლკოვი**.

— კატალონიის ჩემპიონატის I ლიგაში ვითამაშეთ, — მითხრა სოფო ნიკოლაძემ. — თითოეული გუნდის ღირსებას 10-10 მოჭადრაკე იცავდა. ქართველებს რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავილეთ „პეონა და პეოს" უმაღლეს დივიზიონში ასაზევებლად. მე, მაგალითად, 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა შევძინე გუნდს, ნიკამაც — ამდენივე, ირაკლიმ — 6 ქულა. ყველას სალომემ გვაჯობა: მან ერთი პარტია დაამთავრა ყაიმით, დანარჩენი რვა შეხვედრა კი მოიგო. ყოველივეს მიუხედავად, მე-4 ადგილს მაინც ვერ გავცდით. უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ერთი გუნდი გადადიოდა.

კატალონიაში ყოფნისას ორ-ორ საერთაშორისო ტურნირშიც ვიასპარეზეთ ედამსა და საბადელში. ვაჟებში ორივეგან ჯანიაშვილმა გაიმარჯვა, ქალებში კი სირაძემ. ესპანური ტურნეთი კმაყოფილი ვარ, რადგან რეიტინგი 50 პუნქტით გავიმდიდრე.

— კატალონიაში ყოფნა იმითაც იყო საინტერესო, რომ მასპინძელთა დახმარებით ესპანურ და კატალონიურ ენებს ვსწავლობდით, — ჩაერია საუბარში სალომე სირაძე. — სოფიკომ ბარსელონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე გამოცდები ჩააბარა და სერთიფიკატიც კი აიღო. მე და ირაკლიც იმავე უნივერსიტეტში დავდიოდით კალატალონიური ენის შემსწავლელ კურსებზე. ნიკას კი, როგორც მცირეწლოვანს, პერსონალურად ამეცადინებდა მასწავლებელი.

კატალონიაში შთამბეჭდავი ექსკურსიებიც გვქონდა, დავათვალიერეთ იქაური ღირსშესანიშნაობანი. განსაკუთრებით მონსერატის სამონასტრო კომპლექსმა მოგვხიბლა, „კამპ ნოუზე" კი „ბარსელონისა" და „მალაგას" მატჩს დავესწარით. ისეთი მოხიბლული დავრჩით, რომ „პეონა და პეო" გაისადაც თუ მიგვიწვევს, სიამოვნებით ვეწვევით კატალონიას.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

სუმო



ასე აჯობა ტოჩინოშინმა კისენოსატოს

# პირველად ტოჩინოშინი და პირველად გაგამარუ

გუშინ ნაგოიას ბაშოზე „ქართული" დღე იყო - ყველა ჩვენებურმა იმარჯვა. დასავლეთის კომუსუბი **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** ამ რანგში სადებიუტო გამარჯვებას ხარობდა, მან იაპონელთა მთავარი იმედი, 24 წლის სეკივაკე **კისენოსატო** დოჰიოდან გააგდო! ლევანმა იოლად იგდო ხელთ მეტოქის მავაში და ძლიერი მიწოლით დაახევინა უკან. ტოჩინოშინს 1-2 ბალანსი აქვს. შეგახსენებთ, რომ სუმოს იერარქიაში მე-4 ტიტულის შესანარჩუნებლად ქართველმა ფალავანმა, სულ მცირე, 8 შეხვედრა უნდა მოიგოს, მეტის მიღწევის შემთხვევაში კი სეკივაკეს ტიტულზეც შეიძლება ფიქრი, რომელიც სუმოს იერარქიაში მესამე ჯილდოა. დღეს ტოჩინოშინის მეტოქე პირველი მონღოლი პროფესიონალი **კიოკუტენჰოა**, ყოფილი სეკივაკე ახლა მე-3 მაეგაშირაა და ნაგოიას ბაშოზე 2-1 ბალანსი აქვს. ტოჩინოშინი მონღოლ ვეტერანს პირველად ორი წლის წინათ შეხვდა და დამარცხდა, ახლა შურისძიების დროა. შეგახსენებთ, რომ კისენოსატოსთან მოგება ქართველი კომუსუბისთვის 97-ე გამარჯვება იყო ელიტაში, სამიც და ის საიუბილეო ტრიუმფს ჩაიწერს, არადა, ელიტაში ყველაზე ახალგაზრდაა.

გვახარებს **კოკაი (ლევან ცაგურია)**, რომელმაც დაქვეითების საფრთხე იგრძნო და ძველებურად მოყოჩაღდა. ლევანი ჯერჯერობით დაუმარცხებელია აიჩის პრეფექტურაში მიმდინარე სუპერტურნირზე. დასავლეთის მე-12 მაეგაშირა ქართველმა ამჯერად მე-10 მაეგაშირა **ტოსაიუტაკა** დაამარცხა. შედარებით მომცრო ტოსაიუტაკა ჯიქურ ეტაკა „შავ ზღვას", რომელმაც ხერხი იხმარა, იაპონელს გაეცალა და ტოსაიუტაკამაც დოჰიოზე ზღართანი მოადინა. კოკაის შემდეგი მეტოქე **კიმურაიამაა**, რომელიც გუშინ 29 წლისა შესრულდა. კოკაი ურთიერთშეხვედრებში წინ არის: 4:3.

ელიტაში პირველი გამარჯვება იზეიმა დებიუტანტმა და ყველაზე მძიმე სუმოისტმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**. გაგამარუმ ეს ღირსშესანიშნავი გამარჯვება მე-10 მაეგაშირა **მოკონამისთან** რკენაში ჩაიწერა, 202-კილოგრამიანმა ქართველმა მძლავრი ოშიდაშით მოისროლა მონღოლი მეტოქე მაყურებელთა დარბაზში. გაგამარუს 1-2 ბალანსი აქვს და ჰაერივით სჭირდება ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება. დღეს ჩვენებური აქამდე დაუმარცხებელ **ჰოკუტორიკის** ხვდება.

დიდი მონღოლი **ჰაკუჰო**, როგორც ჩანს, არ აპირებს გაჩერებას, მისი სარეკორდო სვლა უკვე ზედიზედ 35-ე მოგებამდე ავიდა. სამწუხაროდ, **ასაშორიუს** სკანდალური წასვლის შემდეგ ჰაკუჰოს ღირსეული მეტოქე არ ჩანს. ჰაკუჰომ თანამემამულე **ასასეკირიუ** დაამარცხა იორიკირის ილეთით. „წითელ ურჩხულს" დაჯახების თავიდან აცილება სურდა, გვერდით გადაიხარა, მაგრამ იოკოძუნას სხარტ ხელებს ვერსად გაექცა, შემდეგ კი უკვე ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო, რაც დიდ მონღოლს საკმარისი აქვს. ბაშოს 3-3 მოგებით 6 რიკიში ლიდერობს, ჰაკუჰოს და კოკაის გარდა, ჯერჯერობით ვერც **კოტოოშუ, კაკურიუ, ჰომაშო** და ჰოკუტორიკი გააკრეს ბეჭებზე.

ივლისის ბაშო. 11-25 ივლისი. ნაგოია (იაპონია)

III დღე: ჰაკუჰო-ასასეკირიუ (იორიკირი), კოტოოშუ-არანი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-კაიო (იორიკირი), ტოჩიოძანი-ბარუტო (იორიკირი), კიოკუტენჰო-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), ტოჩინოშინი-კისენოსატო (იორიკირი), ამინიშიკი-ჰაკუბა (ოშიდაში), ტოკიტენკუ-ვაკანოსატო (იორიკირი), კაკურიუ-კიტატაიკი (ოშიტაოში), ტოკუსეგავა-კაკიძოე (უვატედაშინაგე), იოშიკაძე-შიმოტორი (იორიკირი), გაგამარუ-მოკონამი (ოშიდაში), კოკაი-ტოსაიუტაკა (ჰატაკიკომი), ტაკეკაძე-ტამავაში (ოშიდაში), ტაკამისაკარი-ბუშუიამა (ოშიდაში), ჰომაშო-შოტენრო (იორიკირი), კიმურაიამა-ტამაასუკა (ოკურიდაში), ჰოკუტორიკი-სოკოკურაი (ოკურიდაში).

სატურნირო მდგომარეობა: 3-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტოოშუ (ოძეკი), კაკურიუ (მაეგაშირა 6), კოკაი (მ 12), ჰომაშო (მ 13), ჰოკუტორიკი (მ 15).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# მთავარ ტურნირში სამეული ლიდერობს

ფოთში გრძელდება **ნანა ალექსანდრიას** თასის გათამაშება. მთავარ ტურნირში გუშინდლამდე 9 მოჭადრაკე მეწინავეობდა. მესამე ტურის შემდეგ მათი რაოდენობა სამამდე დავიდა. ლიდერთა ჯგუფიდან საქართველოს ნაკრების წევრმა **ლევან ფანცულაიამ** შავი ფიგურებით ერაყელი **ჰუსეინ ალ-ალი** დაამარცხა, **კონსტანტინე შანავამ ზურაბ ჯავახაძეს** მოუგო, **შოთა აზალაძემ** კი **ნოდარ ლორთქიფანიძე** დაამარცხა. დაზავდნენ: **დავით ზარქუა-გაიოზ ნიგალიძე, დავით ბენიძე-სოფიკო გურამიშვილი, დავით მალალაშვილი-მერი არაბიძე, ჯამბულ მახარაძე-აბდულ ჯაბარ ამარი** (ერაყი). სომეხმა **ტიგრან კოტანჯიანმა** ერაყელ **ლასან ალის** მოუგო და ლიდერებს (ფანცულაია, შანავა, აზალაძე) ნახევარი ქულით ჩამორჩება ისევე, როგორც **დავით ლომსაძე** და აზერბაიჯანელი **ზაურ მამადოვი**.

მოზარდებში გუშინდელი მე-4 ტურის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა:

**8-წლიანებში** ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს მაია ბეჭვაიამ, თიკა ცაგურიამ, დავით კამკიამ და ანტონ ნადირაძემ.

**10-წლიანებში** 4-4 ქულით ისევ გვანცა მარგველაშვილი და ლევან ბაბუხადია ლიდერობენ.

**12-წლიან** გოგონათა გათამაშების ცხრილის სათავეში კვლავ ნინო ხომერიკია, რომელმაც გუშინ აზერბაიჯანელი ნარმინ მამადოვა დაამარცხა. ასევე, უდანაკარგოდ და ერთპიროვნულად დაწინაურდა ვაჟებში გიორგი სიბაშვილი. მე-4 ტურში მან ნიკა ლვამბერიას სძლია.



**14-წლიანი** გოგონების გუშინდელი წრიული პაექრობები ასე დამთავრდა: თათია კოხრეიძე-მარიამ წულაია 1:0, ადა კაკუტია-ნატო იმნაძე 0:1, ანა ხორგუაშვილი-ანა შამათავა 0:1, თეკლა მაჭარაშვილი-ნინო გერგეშელიძე 1:0, მარიამ ჭოლაძე ისვენებდა. 4 ტურის შემდეგ: შამათავა — 4, მაჭარაშვილი, იმნაძე — 3-3, ჭოლაძე, კოხრეიძე — 2-2, გერგეშელიძე, ხორგუაშვილი, კაკუტია — 1-1, წულაია — 0 ქულა.

ამ ასაკის ბიჭებშიც ოთხქულიანი მხოლდო ერთია — თანატოლებში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი ირაკლი ბერაძე, რომელმაც გუშინ ალექსანდრე ებრალიძე დაამარცხა.

ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში დღეს მე-4 ტურის პარტიები გაიმართება. ინტერესს იწვევს შემდეგი ორთაბრძოლები: **ფანცულაია (3)-შანავა (3), აზალაძე (3)-ნიგალიძე (2,5), მამადოვი (2,5)-კოტანჯიანი (2,5), ლომსაძე (2,5)-ზარქუა (2,5), არაბიძე (2)-ბენიძე (2), მალალაშვილი (2)-ლორთქიფანიძე (2), გურამიშვილი (2)-მახარაძე (2), გამზარდია (2)-ალ-ალი (2), ამარი (2)-ლომინეიშვილი (2), შურღულაია (2)-მიქაძე (2), ჯავახაძე (2)-ხმიადაშვილი (2), შალამბერიძე (2)-ხელაია (2), ლასან ალი (2)-გელაზონია (2).**

**ვაჟა დანელია**



მერაბ გაგუნაშვილი

## 3 ქულით შვიდეულში

ტორონტოში კანადის 47-ე ღია ჩემპიონატში **მერაბ გაგუნაშვილმა** ზედიზედ მესამე პარტია მოიგო: ამჯერად მან კანადელი **კასარენო ერვინი** დაამარცხა და პირველ-მეშვიდე ადგილებს იყოფს. დღეს მეოთხე ტურში ჩვენებური თეთრი ფიგურებით ლიტველ **ედუარდას როზენტალისს** დაუპირისპირდება.

## მიონეს მოინელა

დრეზდენის საერთაშორისო ტურნირზე რამდენიმე ქვეყნის 154 მოჭადრაკე მონაწილეობს. უმრავლესობას, ცხადია, მასპინძლები წარმოადგენენ. ამიტომაც ქართველი დიდოსტატი **დავით ჯოჯუა** ზედიზედ სამჯერ გერმანელებს დაუპირისპირდა და იძულებული გახადა ისინი, საათები გაეჩერებინათ. გუშინ **ჰანს მიონეს** სძლია. ჯოჯუას მსგავსად, 3-3 ქულა კიდევ 30 მოჭადრაკეს აქვს. მათგან მრავლად არიან დაბალი კოეფიციენტის მქონენი. მომდევნო ორ ტურში მათი რაოდენობა საკმაოდ გაიცხრილება. მაგალითად, ჩვენებური დღეს შავი ფიგურებით შეხვდება, ასევე, სამქულიან გერმანელს — **ვოლფგანგ გროდეს**, რომლის რეიტინგია 2119 (ჯოჯუასი — 2530). არა გვგონია, დათოს მეტოქის დამარცხება გაუჭირდეს, თუმცა ჭადრაკი ჭადრაკია და... ერთი სიტყვით, ვნახოთ!

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ გივი ბაქრაძესთან

# საბრძოლო განწყობით

**დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. პირველ ტურში ქართველთა მეტოქე უნგრეთის ნაკრები იქნება. მიხეილ ბერუაშვილის გუნდი შეჯიბრებისთვის სათანადოდ მოემზადა და ავსტრიაშიც იმედიანი განწყობით გაემგზავრა. ამაში სასტარტო გამთამაშებლის გივი ბაქრაძის ინტერვიუც დაგარწმუნებთ.**

- გუნდში საბრძოლო განწყობაა. კარგად მოვემზადეთ და წარმატების იმედიც გვაქვს. რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ევროპის ჩემპიონატის საგზური მოვიპოვოთ.

**- პირველ ჯგუფურ ეტაპზე შვედეთთან, უნგრეთთან და ისრაელთან მოგიწევთ პაექრობა...**

- ჯგუფიდან სამი გუნდი გადის. ჩემპიონობისთვის ბრძოლას მხოლოდ ბოლოადგილოსანი გამოეთიშება. ამიტომ მინიმუმ ერთი მატჩის მოგება მომდევნო ეტაპზე გაგვიყვანს. თუმცა საბოლოო წარმატებისთვის ეს საკმარისი არ იქნება. პირველ ეტაპზეც მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ და შემდეგაც. 10 დღეში 8 თამაში მოგვიწევს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ექნება გამძლეობის ფაქტორსაც. ვინც ბოლომდე გაუძლებს, წარმატებასაც ის მიაღწევს.

**- მოწინააღმდეგეებს არ იცნობთ?**

- შვედეთის ნაკრების სამ კალათბურთელს ვიცნობ. კარგი მოთამაშეები არიან. თუმცა მათზე უკეთესები ჩვენც გვყავს. უნგრეთის 20-წლამდელთა გუნდში ერთი ლიდერია. მისი თამაშიც მინახავს. ისრაელის ნაკრებს არ ვიცნობ, მაგრამ ფაქტია, რომ ჯგუფის ფავორიტი სწორედ ის იქნება.

**- საქართველოს ნაკრების შემადგენლობაზე რას იტყვი?**

- ჩვენი გუნდის დადებით მხარედ თანაბრად დაბალანსება უნდა მივიჩნიოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შემადგენლობის ნახევარი 1991 წელსაა დაბადებული, სხვებზე ერთი წლით უმცროსია. თუმცა გამოუცდელობა ბრძოლისუნარიანობით უნდა გადავფაროთ. თუ ეს მოვახერხეთ, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა რეალური იქნება.



**- გასული სეზონი ფინურ „კორიკობრატში“ გაატარე. მომავალი გუნდი ხომ არ შეგირჩევია?**

- ფინეთის უმაღლესი ლიგიდან რამდენიმე წინადადება მაქვს, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებას არ ვჩქარობ. სატრანსფერო საქმეებს შესარჩევი ტურნირის დასრულების შემდეგ მივხედავ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ნაკრების ახალი სპონსორი

# მეტოქეები მერიოტში

საქართველოს ნაკრებს ახალი ტექნიკური სპონსორი ჰყავს - სასტუმრო „თბილისი მერიოტი“. ჩვენს ეროვნულ გუნდს ივლის-აგვისტოში გადატვირთული საშინაო გრაფიკი აქვს – თბილისში 7 ქვეყნის ეროვნული ნაკრებები უნდა ჩამოვიდნენ. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, რომელი სასტუმრო იქნება ჩვენი ნაკრების მეტოქეთა მასპინძელი. ეს საპასუხისმგებლო საქმე ქალაქის ერთ–ერთმა საუკეთესო სასტუმრომ ითავა. კალათბურთის ფედერაციასა და სასტუმროს ხელმძღვანელობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს ნაკრებს და მის მეტოქეებს სწორედ „თბილისი მერიოტი“ უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მეტოქე

# საქართველო–უკრაინა რუსთავში ჩატარდება

ორშაბათს საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა თანამემამულე 20-წლამდელებთან ითამაშა და იმავე საღამოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გააცილა. ახალგაზრდების წასვლის მიუხედავად, ჭაბუკები სპარინგმატჩების გარეშე მაინც არ დარჩებიან - გუშინ კიევიდან უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრები ჩამოფრინდა და სასტუმრო „სიმპათიაში“ დაბინავდა.

უკრაინელი 18–წლამდელები, ქართველი თანატოლებისგან განსხვავებით, რანგით მაღალ, A დივიზიონში არიან და ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელიც 22 ივლისიდან 1 აგვისტომდე ლიტვაში გაიმართება. ქართველი 18–წლამდელები კი ზუსტად ამ პერიოდში ისრაელში B დივიზიონში ითამაშებენ.

საქართველო და უკრაინა 3 საკონტროლო მატჩს გამართავენ - 14, 15 და 16 ივლისს. სამივე მატჩი რუსთავის „ქიმიკოსთა“ დარბაზში გაიმართება და სამივე 18 საათზე დაიწყება.

გუშინვე, 17 საათზე, უკრაინის ნაკრებმა კალათბურთის აკადემიის დარბაზში ივარჯიშა.

**უკრაინის U18 ნაკრები**

| № | მოთამაშე | სმ | დ. თ. |
|---|---|---|---|
| 4 | პაველ კრუტოუსი | 195 | 09.04.92 |
| 10 | ალექს. ბრასლავსკი | 178 | 07.08.92 |
| 11 | ალექს. პროკოპენკო | 188 | 01.05.92 |
| 12 | ბოგდან ფრიკე | 190 | 16.05.92 |
| 13 | ვიაჩესლავ ბოზროვი | 201 | 19.09.92 |
| 20 | მაქსიმ ლუცენკო | 186 | 30.01.93 |
| 23 | დიმიტრი მარჩენკო | 202 | 17.01.92 |
| 32 | კლიმ არტამონოვი | 176 | 05.11.93 |
| 33 | ალექს. ბელიკოვი | 200 | 31.05.92 |
| 34 | ალექსეი ლენი | 210 | 16.06.93 |
| 39 | ალექსანდრ მიშულა | 187 | 18.04.92 |
| 44 | რომან ვირასტიუკი | 202 | 19.04.92 |
| 50 | ვიაჩესლ. მოტორჩუკი | 204 | 09.02.92 |

მთავარი მწვრთნელი: დენის ჟურავლიოვი

**ვაჟა სიმონიშვილი**



საქართველოს ნაკრების მეტოქე

# ბულგარეთმა მინსკის ტურნირი მოიგო

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის C ჯგუფის წარმომადგენელთა შორის ყველაზე ადრე ბულგარელები შეიკრიბნენ. ლოგიკურიცაა, რომ სხვებზე მეტი საკონტროლო შეხვედრა სწორედ მათ ჩაატარეს. რუმინელებთან ორ საშინაო გამარჯვებას (პირველი - 96:73, მეორე - 89:73) **როსენ ბარჩოვსკის** განვრთნილმა გუნდმა ბელარუსის საერთაშორისო ტურნირის მოგება მიაყოლა.

შეჯიბრებაში მასპინძელთა და ბულგარელთა გარდა A დივიზიონის წარმომადგენლები, უკრაინა და ისრაელი მონაწილეობდნენ. პირველ ტურში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ბელარუსი-ისრაელი, ბულგარეთი-უკრაინა. მასპინძლებმა ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვეს - ებრაელები ოვერტაიმში 80:71 დაამარცხეს. ბულგარეთისა და უკრაინის შეხვედრა შედარებით ქულამწირი გამოდგა და ქართველთა მეტოქის ხუთქულიანი გამარჯვებით დასრულდა - 65:60.

ამ შეხვედრის სრული სტატისტიკა მთავარ ბულგარულ საკალათბურთო საიტზე გამოქვეყნდა. მატჩის ოქმს შემოკლებით გთავაზობთ:

**უკრაინა–ბულგარეთი 60:65**

25:17, 14:12, 16:19, 5:17

უკრაინა: აგაფონოვი (12ქ, 9მ), ფესენკო (9ქ, 8მ, 4პ), ლუკაშოვი, გლებოვი (7ქ), პუსტოზვონოვი (7ქ); ზაბირჩენკო (3ქ), კრივიჩი (20ქ), კორნიენკო (2ქ), ზაიცევი, ონუფრიევი.

ბულგარეთი: კალუეი (17ქ, 5ჩ), კ. ივანოვი (7ქ), ვიდენოვი (6ქ, 3პ), დ. ივანოვი (9ქ), ვრბანოვი (8ქ, 5მ); კოსტოვი, ზ. გეორგიევი (13ქ), ს. გეორგიევი (3ქ), ჰოუმანი (8 წთ), ველიკოვი (2ქ), ნიკოლოვი.

უკრაინელებთან ორმა ნატურალიზებულმა ამერიკელმა ითამაშა, **ერლ კალუეიმ** და **ჯარედ ჰოუმენმა**. პირველი ბულგარელთა №1 გამთამაშებლად იქცა და, ალბათ, ოფიციალურ მატჩებშიც არაფერი შეიცვლება. რაც შეეხება ჰოუმენს, იგი 206 სმ სიმაღლის ცენტრია და როსენ ბარჩოვსკის ეიმედებოდა, რომ ჯარედი გუნდის წინა ხაზს გააძლიერებდა, თუმცა ჯერჯერობით ჰოუმენი ვერც მოხსნებში ყოჩაღობს, ვერც სროლის სიზუსტით გამოირჩევა - უკრაინასთან ბურთი ერთხელაც არ მოუხსნია, ხოლო 4 ორქულიანიდან ყველა ააცილა. შესაბამისად, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბულგარეთმა უკრაინელებთან მოხსნებში 23:32 წააგო. წინასწარ ძნელი სათქმელია, საქართველოს ნაკრებთან მატჩის განაცხადში მწვრთნელი ჰოუმენს შეიყვანს თუ კალუეის, მაგრამ ფაქტია, რომ წინა ხაზში ბულგარეთს ჰოუმენიანად უნდა ვაჯობოთ. ამ კალათბურთელთან დაკავშირებით გუშინ საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა: იგი მომავალ სეზონში იტალიური „ვირტუსის“ ღირსებას დაიცავს. შეხსენება არ გჭირდებათ, რომ **ვიქტორ სანიკიძეც** „ვირტუსის“ ღირსებას იცავს.

ბულგარელთა მეტოქე უკრაინის ნაკრები 22 ივლისს თბილისში გვეწვევა და საერთაშორისო ტურნირის მესამე ტურში (25 ივლისს) ჩვენს ნაკრებს დაუპირისპირდება.

წინა დღეს (24-ში) კი ქართველები ბელარუსს ეთამაშებიან. „თეთრმა რუსებმა“ მინსკის საერთაშორისო ტურნირის მეორე ტურში ბულგარელებთან ვერაფერი გააწყვეს - 64:76.

ამ შეხვედრის სრული ოქმი ინტერნეტსივრცეში ვერსად მოვიძიეთ, ამიტომ მხოლოდ საუკეთესოების ჩამოთვლით შემოვიფარგლებით. ბულგარელთა ბომბარდირი **ფილიპ ვიდენოვი** გახდა, რომელმაც 18 ქულა ჩააგდო. ამ კომპონენტში მეორე იყო ერლ კალუეი - 13 ქულა. ერთით ნაკლები მოუგროვდა **დეიან ივანოვს**. ბელარუსები განსაკუთრებით **ნიკოლაი ვრბანოვს** დაუჩაგრავს, რომელმაც ათივე ქულა გადამწყვეტ მომენტში ჩაუგდო.

მეორე ტურში უკრაინამ ისრაელთან წააგო - 65:73.

შეჯიბრების გამარჯვებულის ვინაობა ბულგარეთისა და ისრაელის მესამე ტურის შეხვედრაში უნდა გარკვეულიყო. ებრაელებს დიდი სხვაობით გამარჯვება სჭირდებოდათ, თუმცა მხოლოდ მხოლოდ სამქულიან უპირატესობას გამორჩნენ - 72:69.

მატჩი საინტერესო გამოდგა: პირველი პერიოდის შემდეგ ისრაელი 23:17-ს იგებდა, დიდ შესვენებაზე 10-ქულიანი ფორით გავიდა (44:34), ხოლო მესამე პერიოდის წინ 65:42 დაწინაურდა. უკრაინასთან მატჩის მსგავსად, ბულგარეთმა მეოთხე პერიოდი მაღალ დონეზე ჩაატარა, მართალია, ისრაელთან გამარჯვება ველარ შეძლო, მაგრამ სამქულიანი ჩამორჩენა ტურნირის მოსაგებად ეყო. ისრაელთან შეხვედრაშიც ფილიპ ვიდენოვი გამოირჩა - 17 ქულას მოუყარა თავი. დეიან ივანოვმა 11 ქულა ჩააგდო. შეხვედრის ბომბარდირი გახდა ისრაელის ნაკრების ფორვარდი **იოთამ ჰალპერინი** (22 ქულა), რომელიც სლოვენიის „ოლიმპიაში“ **მანუჩარ მარკოიშვილის** გვერდით თამაშობდა.

ხუთმატჩიანი მარაგით ბულგარეთი იტალიის ოთხთა ტურნირზე მიემგზავრება. ფლორენციაში გასამართი შეჯიბრება 16 ივლისს დაიწყება. მასში მასპინძლები, ბულგარელები, პოლონელები და მაკედონიელები ითამაშებენ. 16 ივნისს ბულგარეთი პოლონეთს „დაეჭიდება“, 17-ში - მაკედონიას, 18-ში - იტალიას.

ფლორენციიდან დაბრუნებული ბულგარელები მზადებას სოფიაში განაგრძობენ და ოფიციალური მატჩების წინ გენერალურ რეპეტიციას ჩეხეთთან თამაშით გაივლიან. მატჩი სოფიის არენა „უნივერსიადაზე“ 25 ივლისს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ საქართველო ბულგარეთს 14 აგვისტოს ეწვევა, ხოლო განმეორებითი მატჩი 29 აგვისტოს გაიმართება.

ბოლოს საინტერესო გამოკითხვის შედეგს გაგაცნობთ. ერთ-ერთ ბულგარულ საიტზე დასმულია შეკითხვა: მოხვდება თუ არა ბულგარეთი ევრობასკეტი-2011-ზე?

ამ კითხვას 696-მა კაცმა უპასუხა. 284 ადამიანი ფიქრობს, რომ ბულგარელები ევრობასკეტზე პირველი ადგილით გავლენ; 53-ის აზრით, მათი ნაკრები ევროპაზე დამატებითი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით მოხვდება; 76 მიიჩნევს, რომ საკვალიფიკაციო ტურნირზე ჩაფლავდება; 72 გამოკითხულის აზრით გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპზეც ვერ მოხვდება; 16-ის აზრით, ევრობასკეტზე იმ შემთხვევაში გავა, თუ **ტოდორ სტოიკოვი** ითამაშებს; 20 კაცი ფიქრობს, რომ ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესია და შესარჩევზე წარმატების იმედიც არ აქვს; 82-ს ჰგონია, რომ ახალგაზრდები პოტენციალს სრულად გამოავლენენ და ბულგარეთს ევრობასკეტზე გაიყვანენ; 93 გამოკითხული ეთანხმება იმ აზრს, რომ ჯგუფის ფავორიტები ბელგია და პოლონეთი არიან და ბულგარეთი მათ ვერ აჯობებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ჩოგბურთი

# ტატიშვილის შანსი

საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (156) WTA-ს ტურნირ პრაღის ღია პირველობაზე გამოდის, სადაც მერვედფინალშია გასული. დიდი იყო შანსი, რომ 220-ათასიანი ტურნირის მეორე წრეში ქართველის მეტოქე მსოფლიოს 48-ე ჩოგანი **ხისელა დულკო** (არგენტინა) ყოფილიყო, მაგრამ დულკომ ბოლო წამს უარი თქვა თამაშზე და მის ნაცვლად „იღბლიანი დამარცხებულის“ სტატუსით ბადეში მოხვედრილმა ჩეხმა **ევა ჰრდინოვამ** რუსი **ანა ლაპუშჩენკოვა** დაამარცხა - 7:5, 6:0. ჰრდინოვა 26 წლისაა და დღეისათვის მსოფლიოს 303-ე ჩოგანია. ასე რომ, ანას მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი მიეცა. დღეს ცენტრალურ კორტ „კოლოზეუმზე“ სწორედ ტატიშვილისა და ჰრდინოვას თამაშით გაიხსნება მეორე წრე.

ფრანგულ კონტრექსვილში (50 ათასი დოლარი) მოასპარეზე **მაკა ჩახნაშვილმა** (202) პირველივე წრეში წააგო მე-8 ნომრად განთესილ ფრანგ **ოლივია სანჩესთან** (142) - 3:6, 4:6. მატჩი საათსა და 10 წუთს გაგრძელდა. ჩვენებურმა 6 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო მისმა მეტოქემ - არც ერთი. მაკა კონტრექსვილს დაემშვიდობა, რადგან წყვილთა თანრიგში მონაწილეობა არ მიუღია. ბელგიურ ცვევეგემში (25 ათასი დოლარი) **მანანა შაფაქიძე** (404) მე-5 ნომრად განთესილ ფრანგ **ანაის ლორენდონს** (226) ეთამაშება. წყვილებში მანანა ავსტრალიელ **ალისონ შემონთან** დუეტში (716) ითამაშებს.

ამერიკის ქალაქ აპტოსში ჩელენჯერის ტურნირის (75 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (637) მე-5 ნომრად განთესილ უკრაინელ **სერგეი ბუბკასთან** წააგო - 6:1, 2:6, 3:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

ფინალის წინათქმა

# შარშანდელივით: ლელო-ლოკომოტივი

დღეს ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე საქართველოს თასის ფინალში ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი, თბილისის „ლელო“ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, თბილისის „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდება.

წლევანდელი თასის გათამაშების ფინალი შარშანდლის გამეორება გამოდგა. მაშინაც ფინალში უკვე გაჩემპიონებული „ლელო“ მესამეადგილოსან „ლოკომოტივს“ შეხვდა და დრამატულ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით დაამარცხა. წლეულს რკინიგზელები რევანშის ალებას შეეცდებიან, მით უფრო, რომ მატჩს, მეტოქისგან განსხვავებით, ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებიან.

თუმცა, სანამ გუნდების შემადგენლობებსა და შანსებზე ვიტყოდით, გავიხსენოთ, როგორი გზა განვლეს ფინალამდე. „ლოკომოტივმა“ ფინალს მეტოქესთან შედარებით იოლად უწია. რკინიგზელებმა ჯერ პირველლიგელი თბილისის „ივერია“ დაამარცხეს - 45:29, მერე კი მეოთხედფინალში „აკადემიას“ სძლიეს - 23:3.

დიდი ჯაფა „ლოკომოტივს“ არც ნახევარფინალში დასდგომია. ორმატჩიან სერიაში „ბათუმი XV“-თან რკინიგზელებმა ორჯერვე მოიგეს, შინ - 24:15, სტუმრად - 29:17.

ბევრად რთული გზა განვლო თასის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში „ლელომ“. მერვედფინალში პირველი ლიგის ლიდერთან, გორის „თსუ\ლომებთან“ ლელოელებმა გაჭირვებით მოიგეს - 15:12. მეოთხედფინალში კი შედარებით იოლად დაამარცხეს უმაღლესლიგელი თბილისის „არმაზი“ - 30:12.

აი, ნახევარფინალში კი „ლელოს“ ორი ურთულესი ბრძოლის გადატანამ მოუნია. ბოლო ხანს მომძლავრებულ, ამბიციამოძალებულ და საქართველოს ჩემპიონატში გალიდერებულ ქუთაისის „აიას“ წინააღმდეგობის დასაძლევად ლელოელებს მაქსიმალური ძალისხმევის გაღება დასჭირდათ. პირველ მატჩში სტუმრად, ვანში თბილისელმა მორაგბეებმა 25:21 მოიგეს, განმეორებით მატჩში კი 19:12 გაიმარჯვეს.



როგორც უკვე ვთქვით, „ლოკომოტივი“ ფინალში თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს და, თუ გაიმარჯვებს, საქართველოს თასს მეცხრედ მოიპოვებს.

„ლელოს“, რომელმაც საქართველოს თასი ზედიზედ ორჯერ 2008-09 წლებში მოიპოვა, ტრავმის გამო რამდენიმე მორაგბე დააკლდება: **სანდრო თოდუა, გიორგი კაჭარავა, ლაშა ხმალაძე** და **ვიქტორ კოლელიშვილი** გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან. „ლელო“ დატოვეს და საფრანგეთში გადაბარგდნენ პირველხაზელები **ირაკლი მირცხულავა** და **გიორგი მენაბდიშვილი.**

მიუხედავად ამისა, გუნდი სხვებისგან სწორედ გრძელი სათადარიგოთა სკამით გამოირჩეოდა და, ვფიქრობთ, საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობითაც ძალუძს თასის შენარჩუნება.

თასის ფინალში „ლელოსა“ და „ლოკომოტივს“ ერთმანეთთან ოთხჯერ უთამაშიათ, 2005-06 წლებში გამარჯვება რკინიგზელებს დარჩათ. 2008-09 წლებში კი „ლელომ“ იყოჩაღა.

აღსანიშნავია, რომ წლეულს ფინალში გამარჯვებული ახალ თასს აღმართავს, რომლის ესკიზის ავტორია კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი **ნიკოლოზ რურუა.** მოოქრული ბრინჯაოს მორაგბის ფიგურა, რომელმაც ლელო ნახტომში გაიტანა, სკულპტურულად ვეტერანმა მორაგბემ, მოქანდაკე **გია ჯაფარიძემ** შექმნა.

თასის სიმაღლე დაახლოებით 70 სანტიმეტრია და დიაბაზის ტიპის ქვის კვარცხლბეკის სიმძიმის გამო 10 კილოგრამამდე იწონის.

თამაში „ლოკომოტივის“ სტადიონზე 20 საათზე დაიწყება.

**საქართველოს თასი. ფინალი**

**ლოკომოტივი-ლელო**

ლოკომოტივი: **15. ვახტანგ კავთიძე, 14. შალვა შიოშვილი, 13. ალექსანდრე ქავთარაძე, 12. გიორგი კობახიძე, 11. დავით ჟამუტაშვილი, 10. ბობა კვინიხიძე, 9. ირაკლი ლვინჯილია.**

*1. პაპუნა ელოშვილი, 2. ლევან გენებაშვილი, 3. გიორგი ვეფხვაძე, 4. გიორგი ოზგებაშვილი, 5. ბაჩუკი გუჯარაიძე, 6. გივი ბერიშვილი, 7. ზვიად მაისურაძე, 8. გიგა ნიშნიანიძე*

ლელო: **15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. გოდერძი ჯოგლიძე, 13. გიგა კორკელია, 12. ნონო ანდღულაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. გიორგი ლომინაძე, 9. ბექა თოფურია**

*1. გიორგი სანიკიძე, 2. ირაკლი ჭყონია, 3. მიხეილ სუჯაშვილი, 4. ზურაბ ხორბალაძე, 5. დავით ჯალალონია, 6. ვასილ კვერნაძე, 7. ბექა სარდანაშვილი, 8. ლაშა აზალაძე*

ლეგიონერები

# მონპელიეში არეულობაა, თუმცა საშიში არაფერია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მონპელიე“ ყველაზე ქართული ფრანგული კლუბია. აქ დღეისთვის ხუთი ქართველი ირიცხება. **მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე, გიორგი ჟღენტი, გოდერძი შველიძე** და **მიხეილ ნარიაშვილი** ამჟამად გუნდთან ერთად სანვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან და ახალი სეზონისთვის ემზადებიან.

ამასობაში კი ქართველთა კლუბის ხელმძღვანელობაში ცვლილებები განხორციელდა. ლანგედოკ რუსილონის რეგიონის პრეზიდენტ **ჟორჟ ფრეშის** დაჟინებული მოთხოვნით, კლუბის სამეთვალყურეო საბჭომ პრეზიდენტობიდან გადააყენა **ტიერი პერესი,** რომელსაც ქართველ მორაგბეებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ქართული რაგბის 50 წლის იუბილეზეც თბილისში იმყოფებოდა.

ტიერი პერესის გადაწყვეტილებით, წლეულს გუნდის მწვრთნელად დაინიშნა ლეგენდარული ფრანგი მორაგბე **ფაბიენ გალტიე,** რომელსაც პარიზულ „სტად ფრანსეს“ მწვრთნელობის სერიოზული წარმატებები ჰქონდა. პარიზული კლუბიდან წასვლის შემდეგ გალტიე ტელეკომენტატორად მუშაობდა და სამწვრთნელო კარიერას სწორედ პერესის დაჟინებული თხოვნით დაუბრუნდა.

გალტიე საქმიანობას უკვე შეუდგა და ახლახან გამართა პირველი პრესკონფერენციაც, რომელზეც ასისტენტ **ერიკ ბეშუსთან** და გუნდის კაპიტან **ფლურენსე უერდრაოგოსთან** ერთად გამოცხადდა.

გთავაზობთ ამონარიდს ამ პრესკონფერენციიდან, რომელიც ფრანგულმა სარაგბო ვებსაიტმა www.lesiterugby.com გაავრცელა.

**- „მონპელიეში“ პირველი ვარჯიშები გამართეთ. როგორია თქვენი შთაბეჭდილება?**

- ჯერჯერობით მოთამაშეებს ვეცნობი. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ახალი თავგადასავალი იწყება. გუნდისგან მომავალ სეზონში წარმატებებს ელიან. ამიტომ ყველა დიდი ინტერესით გვაკვირდება. ეს სასიამოვნოცაა, მაგრამ ზოგჯერ დისკომფორტსაც გვიქმნის.

**- „მონპელიეში“ შარშანაც გეპატიჟებოდნენ...**

- დიახ, მაგრამ უკვე გაფორმებული მქონდა ხელშეკრულება ტელევიზიასთან. ამიტომ „მონპელიეში“ მუშაობას ვერაფრით შევძლებდი.

**- რა მიზნებს ისახავთ ამ გუნდში?**

- რაც შეიძლება მაღალი შედეგების მიღწევას. მოთხოვნებს, ზოგადად, საზღვარი არ აქვს.




**- რამდენად მოქმედებს გუნდის განწყობაზე ის ორომტრიალი, რომელიც ახლახან კლუბში დატრიალდა. მხედველობაში გვაქვს ჟორჟ ფრეშის დემარში კლუბის ან უკვე ყოფილი პრეზიდენტის ტიერი პერესის წინააღმდეგ.**

- ჩემი და ერიკ ბეშუს მოვალეობაა, გუნდი ახალი სეზონისთვის მოვამზადოთ. თუმცა არც პერესს ვივიწყებთ. კონტრაქტი მასთან გავაფორმე. „მონპელიეში“ ტიერიმ მომიყვანა. ცხადია, მომხდარმა გარკვეული სირთულეები შექმნა, მაგრამ, რაც უფრო გიჭირს, მით უფრო ძლიერი უნდა იყო.

**- მზად ხართ, შეხვდეთ ჟორჟ ფრეშს?**

- სიამოვნებით შევხვდები, თუ ეს მსოფლიოს შვებას მოუტანს.

**- „მონპელიეს“ ინფრასტრუქტურა, ფინანსური პირობები საგრძნობლად განსხვავდება თქვენი უწინდელი გუნდის, „სტად ფრანსეს“ პირობებისგან...**

- დიახ, ასეა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. წარმატება ფუფუნებას არ მოაქვს. ყველაფერი ადამიანებზე, მათ ინტელექტსა და მონდომებაზეა დამოკიდებული.

**- საკმაოდ რთული კალენდარი გაქვთ. პირველ ხუთ ტურში დივიზიონის საუკეთესო კლუბებთან მოგიწევთ თამაში...**

- ამ ფაქტში პრობლემას ვერ ვხედავ. პირიქით, დასაწყისშივე ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრებში გამოჩნდება ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დავინახავთ, რა გვექნება სასწრაფოდ გამოსასწორებელი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ჩვენი მიზანი სატურნირო ცხრილში რაც შეიძლება მაღლა აცოცებაა.

სამი ერი



ბრაიან ჰაბანა ბენ ფრენკსმა შებოჭა

# დე ფილიერსს ბიჭების სჯერა

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელმა **პიტერ დე ფილიერსმა** ველინგთონში ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან სამი ერის მორიგი მატჩისთვის „ბოკეს“ შემადგენლობაში ორი იძულებითი ცვლილება განახორციელა.

დისკვალიფიცირებული მეორეხაზელის **ბაკის ბოთას** ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს **დენი როსუ,** რომელმაც წლეულს ზე 14-ის გათამაშებაში „ბლუ ბულზის“ რიგებში შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და, ვფიქრობთ, დროა, დე ფილიერსი მას მეტი ნდობით მოეკიდოს. როსუ დიდი ხანია, იმედის მომცემ მორაგბედ ითვლება და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, მარადპერსპექტიულ მორაგბედ დარჩეს. ახლა ბოთამ თავისი უჭკუობით დენის შანსი მისცა, რომ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდროს.

მეორე ცვლილება დე ფილიერსმა პირველ ხაზში განახორციელა. ტრავმირებულ შერკინების ბურჯ **იანი დუ პლესის** ნაცვლად **სი ჯეი ფან დერ ლინდე** ითამაშებს.

*„ნაკრების ამ შემადგენლობას თვალდახუჭული ვენდობი. მართალია, გასულ უქმეებზე ისინი არ დაფრინავდნენ, მაგრამ ცუდადაც არ გამოიყურებოდნენ. უბრალოდ, ახალი ზელანდიის ნაკრებმა ითამაშა ბრწყინვალედ.*

*ეს მორაგბეები გაცილებით უკეთესნი არიან, ვიდრე ოქლენდის ავადსახსენებელ მატჩში გამოჩნდნენ. ვფიქრობ, ამჯერად ისინი სათანადოდ გაირჯებიან. როცა ტაიგერ ვუდსს წარუმატებელი დღე აქვს, ეს არ ნიშნავს, რომ ის მსოფლიოს პირველი მეგოლფე არ არის. მას, უბრალოდ, ცუდი დღე ჰქონდა. ასე დაგვემართა ჩვენც და ამას შაბათს ველინგთონში დავამტკიცებთ“* - თქვა სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავკაცმა.

სამხრეთ აფრიკა: **15. ზან კირშნერი, 14. იან დე ფილიერსი, 13. ჟაკ ფური, 12. ვინანდ ულიფიე, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. რიკი იანუარი. 1. ხუთრო სტენკამპი, 2. ჯონ სმიტი, 3. სი ჯეი ფან დერ ლინდე, 4. დენი როსუ, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. სხალკ ბურხერი, 7. ფრანსუა ლავი, 8. პიერ სპისი.**

*16. ჩილიბოი რელეპელე, 17. ბი ჯეი ბოთა, 18. ანდრეას ბეკერი, 19. რაიან კანკოვსკი, 20. რუან პინარი, 21. ბუჩ ჯეიმზი, 22. ხიო ეპლონი*

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა


ფორმულა 1

# არ უნდა დაბრუნებულიყო

ფორმულა 1-ში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ჯეკი სტიუარტმა კიოლნის გაზეთ Express-ს ინტერვიუ მისცა, რომელშიც მიხაელ შუმახერის დიდ სპორტში დაბრუნებას შეცდომას უწოდებს. ლეგენდარული შოტლანდიელის აზრით, გერმანელი კარიერას მიმდინარე სეზონის შემდეგ დაასრულებს.

**- შეძლო თუ არა სეზონის პირველ ნახევარში მიხაელ შუმახერმა ახალგაზრდა პილოტებთან - ჰემილტონთან და ფეტელთან ტოლსწორად ბრძოლა?**



- ის თანაგუნდელ ნიკო როსბერგსაც ვერ ეწევა - ნიკო რეგულარულად უსწრებს მიხაელს და უფრო ახლოა გრან-პრის მოპოვებასთან.

**- თქვენი აზრით, მისი დრო გავიდა?**

- მერჩივნა, შუმახერი საერთოდ არ დაბრუნებულიყო. რატომ გააკეთა ეს? მან უკვე ყველაფერს მიაღწია და ახლა მხოლოდ კარგავს ძველ დიდებას. ვფიქრობ, თავის დროზე შუმი ძალიან ადრე წავიდა და სავსებით შეეძლო ერთიორი წელი „ფერარიში" დარჩენილიყო. სამწლიანი პაუზის შემდეგ კი ძალიან რთულია დაბრუნება. ასეთი რამ ხომ არავის გაუკეთებია?!

**- ნიკი ლაუდა?**

- ნიკი სულ სხვა დროს გამოდიოდა, როცა უფრო მნიშვნელოვანი პილოტის ნიჭი იყო და არა ძრავის სიმძლავრე. ახლა შუმახერი დაბრუნდა - იმიტომ, რომ მის გულს ასე უნდოდა. მაგრამ რთულ სიტუაციაში მოხვდა და ახლა კრიტიკას უნდა მიეჩვიოს.

**- შეძლებს შუმი მომავალ წელს შედეგების მომატებას?**

- კითხვა სხვანაირად უნდა დავსვათ: ექნება თუ არა კიდევ ერთი წელი? ჩემი აზრით, ის ამ სეზონის დასრულების შემდეგ წავა სპორტიდან.

**- მაგრამ მიხაელი ყველა ინტერვიუში 2011 წელზე ლაპარაკობს...**

- ეს ასეა, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, საკუთარ თავს რას ეუბნება?! მის დარჩენას მხოლოდ მაშინ დავიჯერებ, როცა 2011 წლის პირველ რბოლაში სასტარტო ბილიკზე ვიხილავ.

ამბები

ფორმულა 1

## რენოს პეტროვი მოაბეზრდა

ბრიტანეთის გრან-პრის შემდეგ „რენოს" შეფმა **ერიკ ბუიემ** ჟურნალისტებთან საუბარში პირდაპირ მიანიშნა, რომ უკმაყოფილოა ამ სეზონში რუსი **ვიტალი პეტროვის** გამოსვლით. ბუიეს თქმით, გუნდს ძლიერი მეორე პილოტი სჭირდება. მანვე ისიც განაცხადა, რომ ახალგაზრდა ავტომრბოლებს გაუჭირდებათ ფრანგულ საჯინიბოში მოხვედრა.

*„თუ ჩემპიონატის მოგება გვინდა, მაშინ ისეთი მეორე პილოტი უნდა გავიჩინოთ, რომელიც რეგულარულად დააგროვებს ქულებს. ჩვენი კარი ღიაა სხვა მრბოლელებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ფორმულა 1-ში გამოსვლის გამოცდილება აქვთ, მოიგეს რბოლები და ჩემპიონის ტიტულები. ახალგაზრდა პილოტებს გაუჭირდებათ იმის დამტკიცება, რომ ღირსეულნი არიან გუნდში ადგილის დასაკავებლად"*, - ამბობს ბუიე.

ოლიმპიზმი

## აფრიკას ოლიმპიადა მოუნდა

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შემდეგ სამხრეთ აფრიკას ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ამბიცია გაუჩნდა. ამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გიდეონ სემმა** გამოაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 2020 ან 2024 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე შეიტანს განაცხადს.

ამ საკითხს ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი სულ მალე განიხილავს სამხრეთ აფრიკის მთავრობასთან. სპორტულმა სტრუქტურებმა უკვე მოიწონეს ეს იდეა და ახლა ჯერი სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლებზეა. აღსანიშნავია, რომ კეიპტაუნი 2004 წელს აცხადებდა პრეტენზიას ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაზე.

მძლეოსნობა

## ბოლტს ლონდონი არ მოსწონს

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა** უარი განაცხადა „ბრილიანტის ლიგის" ლონდონურ ეტაპში მონაწილეობაზე. როგორც იამაკელი სპრინტერი ამბობს, ამის მიზეზი მაღალი ბრიტანული გადასახადებია.

ინგლისურმა გაზეთმა „დეილი მეილმა" დაითვალა, რომ თუ ბოლტი მონაწილეობას მიიღებს ერთ ბრიტანულ ეტაპში და ხუთჯერ გამოვა ამ ქვეყნის საზღვრებს გარეთ, მთლიანი ჰონორარის ერთ მეექვსედს ინგლისური გადასახადების დაფარვაში დახარჯავს.

*„ლონდონში არ გავირბენ*, - განაცხადა ბოლტმა პარიზში გამართულ პრესკონფერენციაზე. - *ამ ქალაქში უფრო მეტ ფულს დავკარგავ, ვიდრე გამოვიმუშავებ. სწორედ ასე მითხრა ჩემმა აგენტმა"*.

ბოლტი საფრანგეთის დედაქალაქში „ბრილიანტის" ლიგის მეცხრე ეტაპისთვის ემზადება. სტარტი პარასკევისთვის არის დანიშნული.

ჰოკეი

## ბეტმენს ხელფასი დაუთვალეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის საგადასახადო დეკლარაციების მიხედვით, 2008 წლის 1 ივლისიდან 2009 წლის 30 ივნისამდე NHL-ის კომისარმა **გერი ბეტმენმა** ერთი წლის განმავლობაში 7.23 მილიონი გამოიმუშავა, რაც ორჯერ მეტია იმ თანხაზე, რომელიც ბეტმენმა 2004-05 წლების ლოკაუტის დროს მიიღო.

ამ დროის განმავლობაში NHL-ში შემოსავლები 2.2 მილიარდიდან 2,6 მილიარდამდე გაიზარდა.

ბეტმენი კვლავინდებურად ნაკლებს გამოიმუშავებს, ვიდრე წამყვანი ამერიკული ლიგების სხვა შეფები. მაგალითად, ბეისბოლის ლიგის - MLB-ის კომისარის **ბად სელიგის** წლიური ხელფასი 18.35 მილიონი დოლარს შეადგენს.



# რედ ბულში ისევ ხანძარია

ბრიტანეთის გრან-პრის შემდეგ კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა „რედ ბული" და მისი 33 წლის ავსტრალიელი პილოტი **მარკ უებერი**. საერთო აზრით, მისი გამარჯვება ბრწყინვალე აღმოჩნდა, მით უმეტეს იმ ისტორიის შემდეგ, რაც კვირას გამართულ რბოლას უძღოდა წინ.

მხედველობაში გვაქვს ე. წ. „წინა ანტიფრთის" ისტორია, რომელმაც მთელი ფორმულა 1-ის სამყარო გააოგნა. ავსტრიულმა საჯინიბომ კიდევ ერთხელ ღიად დაანახვა ყველას, რომელ პილოტს ანიჭებს უპირატესობას. კვირას ავსტრიელთა ბოქსები ორ ნაწილად იყო გაყოფილი. უებერის ინჟინრებმა და მექანიკოსებმა აშკარად ღია პროტესტი გამოხატეს გუნდის ხელმძღვანელობის მიმართ, როცა ავსტრალიელის მანქანიდან ახალი წინა ანტიფრთა მოხსნეს და ის **სებასტიან ფეტელის** მანქანას დაუყენეს. მარკის გამარჯვების შემდეგ, მისმა მექანიკოსებმა ბოლიდიდან ძველი ანტიფრთა მოხსნეს და ცხვირწინ დაუქნიეს ფეტელის ავტოფარეხის ინჟინრებს.

ბრიტანული გაზეთების უმრავლესობამ დაწვრილებით მოუყვა მკითხველებს „რედ ბულის" ბანაკში მომხდარი ამბები.

რბოლის წინ უებერი ისე იყო მომხდარის გამო გაოგნებული და გაბრაზებული, რომ საუზმეს არ მიეკარა. *„ის ისეთი სახით დაჰყურებდა კერძს, რომ მზად იყო, თეფში კედელზე მიემსხვრია*, - ჰყვება მარკის მამა - **ალან უებერი**. - *სწორედ იმ მომენტში ტელევიზორში მარტინ ბრანდლი აჩვენეს (ფორმულა 1-ის ექსპილოტი, BBC-ის ერთ-ერთი კომენტატორი), რომელმაც თქვა: „პირველ მოსახვევში დიდი ამბები დატრიალდება! არ გამოტოვოთ!" მარკმა თავი ასწია და თქვა: „სწორი ნათქვამია, სტარტზე მართლაც დიდი ამბები მოხდება!". შემეშინდა - გავიფიქრე, ცხელ გულზე რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს-მეთქი. მაგრამ ახლა უზომოდ ამაყი ვარ ჩემი შვილის გამო - მან ემოციები მოთოკა, სტარტზე ხისტად, მაგრამ ცივი გონებით იმოქმედა და თავისი ჯგუფის დახმარებით მოიგო ეს რბოლა!"*

სტარტზე უებერი ბრიტანული ავტოსპორტის ლეგენდამ, სერ **სტირლინგ მოსმა** დაარიგა. 80 წლის ყოფილმა პილოტმა მოგვიანებით BBC-ის განუცხადა: *„მარკს უნდა ეჩვენებინა ბოსებისთვის: მიეცით ყველაფერი საუკეთესო ფეტელს, მე მაინც მოვიგებ რბოლას. მეც ზუსტად ასე მოვიქცეოდი, როგორც ეს მარკმა გააკეთა"*.

მაშ ასე, მეორედ ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში „რედ ბულის" ხელმძღვანელობას ურთიერთობების გარკვევამ მოუწია ავსტრალიელ **მარკ უებერთან**. პირველ შემთხვევაში „საქმის გარჩევა" მილტონ კეინსში მოხდა - თურქეთის გრან-პრიზე უებერსა და ფეტელს შორის ავარიის შემდეგ. მაშინ ცხელ კვალზე გუნდის შეფობამ მომხდარში სწორედ ავსტრალიელი დაადანაშაულა. მართალია, ავსტრიულმა საჯინიბომ პრესაში და გუნდის შიგნით ხანძარი ჩააქრო, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „რედ ბულის" ბოსი **კრისტიან ჰორნერი** შეცდომებზე ვერ სწავლობს, რადგან ის, რაც სილვერსტოუნში მოხდა, ასე იოლად დავიწყებას ვერ მიეცემა და სეზონის ბოლომდე ეს გუნდი მუდმივად ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში იქნება.

როგორც ჩანს, ჰორნერს გულზე მოხვდა უებერის სიტყვები იმაზე, რომ პილოტმა ნაადრევად იცოდა, როგორ მოექცეოდა გუნდი და ამიტომაც არ გააახანგრძლივა კონტრაქტი. მაგრამ მომავალ ურთიერთობებზე საუბრის ინიციატორად არა ჰორნერი, არამედ უებერი მოგვევლინა. ბოსი დაჰპირდა თავის პილოტს ურთიერთობის დარეგულირებას და განაცხადა, რომ თუ ორი კვირის შემდეგ გერმანიაში გუნდი ანალოგიური არჩევანის წინაშე დადგება, გადაწყვეტილებას სხვა კრიტერიუმით მიიღებს: *„რადგან ამ მომენტში საერთო ჩათვლაში მარკი სებასტიანზე წინ დგას, გადაწყვეტილებას მის სასარგებლოდ მივიღებთ"*.

ჰორნერმა ისიც თქვა: რომ საზოგადოების ნეგატიური რეაქციის მიუხედავად, ის არაფერს ნანობს: *„ხანდახან გიხდება არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღება"*.

უებერის სიტყვებს მეორე პილოტისა და კონტრაქტის შესახებ ჰორნერმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: *„ყველამ ვიცით, რომ მარკი აფორიზმების ოსტატია. მისი კომენტარები ცხელ გულზე გაკეთდა, ამიტომაც დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებ. დიახ, ის გაბრაზებულია, მაგრამ ჩვენ ხომ ერთი ანტიფრთა გვქონდა და მას ორ ნაწილად ვერ გავხერხავდი. მარკის მიერ გაფორმებულ კონტრაქტში ერთი სიტყვაც არ წერია მეორე პილოტის სტატუსზე. უებერმა იცის, რამდენს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მხარი დავუჭიროთ მას, წინ წავიდეს და ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს. მეეჭვება, მან ამ ყველაფერზე უარი თქვას"*.

### ფერარი გათვალეს?

რაოდენ სასაცილოც უნდა მოგეჩვენოთ, „სკუდერიას" შეფი **სტეფანო დომენიკალი** სწორედ ასეთ ვერსიას ანიჭებს უპირატესობას. იტალიელები უდიდეს ენერგიას ხარჯავენ ბოლიდის დასახვეწად, თანაც პარასკევისა და შაბათის შედეგების გათვალისწინებით, აშკარად სწორი მიმართულებით მიდიან, მაგრამ როგორც კი რბოლა იწყება, იტალიელებს მთელი შრომა წყალში ეყრებათ.

ბრიტანეთის გრან-პრი **ფერნანდო ალონსომ** მესამე ადგილიდან დაიწყო, **ფელიპე მასამ** - მეშვიდედან. „ფერარი" გამარჯვებას თუ არა, ქულათა მარაგის სოლიდურ შევსებას ვარაუდობდა, სანაცვლოდ კი პირველად ამ სეზონში უქულოდ დაასრულა რბოლა.

*„დარწმუნებული ვარ, ვილაცამ გაგვთვალა*, - განაცხადა დომენიკალიმ. - *ყველაფერი ცუდი, რაც კი შეიძლება რომელიმე გუნდს დაემართოს, სწორედ „ფერარის" გადახდა თავს. რა თქმა უნდა, განაწყენებულები ვართ, მაგრამ სინანულის დრო არ არის. თავი ხელში უნდა ავიყვანოთ, ყურადღება მოვიკრიბოთ და ისე გავაგრძელოთ მუშაობა, როგორც ჩვენ გვახასიათებს. ინგლისიდან უქულოდ მივდივართ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მანქანას საჭირო პოტენციალი აქვს და გვყავს ისეთი პილოტები, რომლებიც მაღალ დონეზე დაგვაბრუნებენ"*.

### ალონსო აღარ ბრაზობს

ზედიზედ მეორე რბოლაა, რაც პელოტონის ყველაზე უიღბლო პილოტი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო გახდა - ის ამჯერადაც რბოლის დირექტორატის გადაწყვეტილების გამო დაზარალდა.

შეგახსენებთ, რომ ვალენსიაში ესპანელი დაემორჩილა წესებს, არ გაასწრო პეისკარს და საბოლოოდ მერვე ადგილზე აღმოჩნდა, ლუის ჰემილტონმა კი პირიქით, წესი დაარღვია და რბოლა მეორე პოზიციაზე დაასრულა - ეს იმის გამო მოხდა, რომ რბოლის სტიუარდებს 20 წრე დასჭირდათ ბრიტანელისთვის სასჯელის გამოსატანად. ამ დროისთვის კი ლუისის პოზიციებს ვერანაირი ჯარიმა ველარ შეარყევდა.

სილვერსტოუნში სტიუარდებმა თავად ალონსო დასაჯეს - იმისთვის, რომ **რობერტ კუბიცასთან** ბრძოლისას მოსახვევი მოჭრა და „რენოს" პილოტის წინ აღმოჩნდა. სხვათა შორის, სასჯელის გამოტანის მომენტში, პოლონელ პილოტს რბოლა უკვე დასრულებული ჰქონდა.

*„საშინელი სტარტი გამომივიდა*, - განაცხადა ფინიშის შემდეგ ალონსომ. - *გადაცემის კოლოფთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა და კინაღამ მეშვიდე ადგილამდე დავეშვი. საბოლოოდ, უფრო ნელ კუბიცასა და ნიკო როსბერგს შორის აღმოვჩნდი"*. პიტსტოპის შემდეგ ესპანელი ისევ პოლონელის გვერდით დადგა, რომელმაც ფერნანდოს მოსახვევის მოჭრა აიძულა. *„სხვაგან ვერც წავიდოდი. იქ რომ ბარიერი ყოფილიყო, ავარიას ვერ გადავურჩებოდი, მაშინ, ალბათ, არავინ დამადანაშაულებდა მოსახვევის მოჭრისთვის"*, - ასეთ კომენტარს აკეთებს ესპანელი პილოტი.

ამ ეპიზოდის შემდეგ ესპანელმა გუნდს რადიოთი ჰკითხა - გაეტარებინა თუ არა კუბიცა? *„სანამ გუნდიდან პასუხი მოვიდა, მე უკვე ერთ პილოტს გავუსწარი, თანაც კუბიცამ სიჩქარე დააგდო და მალე რბოლა დატოვა. სტიუარდების გადაწყვეტილებას არ ვაპროტესტებ. ბოლოს და ბოლოს, ისინი მსაჯები არიან და ყოველთვის მართალს ამბობენ"*, - ამბობს ალონსო.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჩათვლის ლიდერთან ალონსოს 47 ქულა აშორებს, ესპანელი დანებებას არ აპირებს. *„მხოლოდ სეზონის ნახევარია გასული, ამიტომაც დაკარგულის ასანაზღაურებლად დრო საკმარისად მაქვს*, - თქვა ალონსომ. - *უბრალოდ, ახლა უნდა ვეცადო სხვებზე უკეთ გავაკეთო ჩემი საქმე"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

ტურ დე ფრანსი 2010

# დიდი ბრძოლა დაიწყო

მართალია, ტურ დე ფრანსის მორიგი სამთო ეტაპი მთაში ფინიშს არ ითვალისწინებდა, მაგრამ გუშინ მაინც ძალიან საინტერესო ბრძოლა ვიხილეთ. რაც მთავარია, საბოლოოდ გაეერკვიეთ წლევანდელი ტურის ფავორიტებში - თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, გამარჯვებას ესპანელი **ალბერტო კონტადორი** ან ლუქსემბურგელი **ანდი შლეკი** დაისაკუთრებს.

მთავარი მოვლენები ლა მადლენის მთაზე განვითარდა. ეს იყო 30-კილომეტრიანი აღმართი, რომელიც ბევრი ფავორიტისთვის გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა. აღმართზე ახალი ასულები იყვნენ, როცა პელოტონს გამოეთიშნენ ყვითელი მაისურის მფლობელი **კეიდელ ევანსი** და 2008 წლის ტურის ჩემპიონი, ესპანელი **კარლოს სასტრე**. ავსტრალიელი ევანსი პრაქტიკულად დადგა ტრასაზე და საბოლოოდ დაკარგა კონტროლი ძირითად ჯგუფთან, ფინიშზე კი ლიდერებთან რვა წუთზე მეტი დაკარგა.

მანამდე იყო 12 ველომრბოლის გაქცევა, რომელთაგანაც მხოლოდ ხუთმა გაძლო, თუმცა მათგან გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერობაზე პრეტენზიას არავინ აცხადებდა.

თავდაპირველად პირველ როლებზე „საქსობანკი“ გამოვიდა, შემდეგ კი ინიციატივა „ასტანამ“ ჩაიგდო ხელში, რომელიც საკადრო ცვლილებების მიუხედავად, ტურში უძლიერესი გუნდად უნდა ჩავთვალოთ. ბრწყინვალე გარღვევა განახორციელა **დანიელ ნავარომ**, რომელიც სხვა გუნდში კაპიტნობაზე განაცხადებდა პრეტენზიას. როცა ხიხონელმა უკან მოიხედა, მას მხოლოდ თანაგუნდელი კონტადორი და შლეკი მისდევდნენ. ვალმოხდილი ნავარო გვერდზე გადგა და ორ უძლიერეს ველომრბოლს ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევის საშუალება მისცა. ამ დუეტთან ბრძოლაში ჩართვა სცადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **სამუელ სანჩესმა**.

ნავაროს შემდეგ ყველა გააკვირვა შლეკმა. მისი რამდენიმე აჩქარების შემდეგ სანჩესი ჩამორჩა, თუმცა კონტადორი მაინც არ მოშორდა ლუქსემბურგელს. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით მოქმედი ჩემპიონი არც ისე მხნედ გამოიყურება, მაგრამ წინ პირენეის მთები და დროზე განცალკევებით რბოლაა, სადაც კონტადორი განსაკუთრებით ძლიერია.

მანამდე კი ლიდერებმა ფინიშამდე ერთად იარეს და შემდეგი ეტაპებისთვის გადადეს ურთიერთობის გარკვევა. როგორც ჩანს, უახლოეს წლებში ჩვენ ახალი დიადი დაპირისპირება გველის - კონტადორი შლეკის წინააღმდეგ. არც ერთს 30 წლამდე არ მიუღწევია და ორივე ძალიან ძლიერია.

გენერალურმა კლასიფიკაციამ კი სავსებით ლოგიკური სახე მიიღო. შლეკი ყვითელი მაისურის ახალი მფლობელი შეიქმნა და კონტადორს ჯერჯერობით 41 წამს უგებს. დანარჩენ ველომრბოლებს, რომლებიც თითქმის სამ წუთს აგებენ ამ დუეტთან, მხოლოდ მესამე ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა.



### IX ეტაპი

#### მორზინი-სენტ ჟან დე მორიენი (204 კმ)

1. **სანდი კასარი** (საფ, Franceise des Jeux) - 5.38,10; 2. **ლუის ლეონ სანჩესი** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო; 3. **დამიანო კუნეგო** (იტა, Lampre) - იგივე დრო; 4. **კრისტოფ მორო** (საფ, Caisse d'Epargne) - +0,02; 5. **ანტონი შარტო** (საფ, Bbox Telecom) - იგივე დრო; 6. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - იგივე დრო; 7. **ანდი შლეკი** (შვეიც, Team SaxoBank) - იგივე დრო; 8. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - 0,52... 10. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, Radioshack) - +02,07; 11. **რობერტ გესინკი** (ლუქს, Rabobank) - იგივე დრო... 13. **დენის მენშოვი** (რუს, Rabobank) - +02,10... 15. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +02,50... 18. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, RadioShack) - იგივე დრო; 19. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Liquigas-Doimo) - +03,48; 20. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - იგივე დრო... 27. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +04,55... 42. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +08,09...

#### საერთო ჩათვლა

1. **ანდი შლეკი** (ლუქს, Team SaxoBank) - 43.35,41; 2. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - +0,41; 3. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +2,45; 4. **დენის მენშოვი** (რუს, Rabobank) - +2,58; 5. **იურგენ ვან დენ ბროკი** (ბელ, Omega Pharma-Lotto) - +3,31; 6. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RadioShack) - +3,59; 7. **რობერტ გესინკი** (ლუქს, Rabobank) - +4,22... 10. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +5,09; 11. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Liquigas-Doimo) - +5,11... 13. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - +6,31; 14. **მაიკლ როჯერსი** (ავსტრა, HTC – Columbia) - +7,04; 15. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +7,13; 16. **ბრედლი ვიგინსი** (ბრიტ, Sky) - +7,18... 18. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +7,47...

კალათბურთი

# მხოლოდ ორი ოლიმპიელით

ამერიკის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ჯერი კოლანჯელომ** განაცხადა, რომ თურქეთში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე მის გუნდში 2008 წლის არც ერთი ოლიმპიური ჩემპიონი არ იქნება.

*„ამით გამო სულაც არ ვარ იმედგაცრუებული. რეალისტი გახლავართ. ვფიქრობ, მოინახებიან გუნდები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ოლიმპიელების გარეშე ჩვენი შემადგენლობა სუსტი იქნება, მაგრამ ვფიქრობ, ამერიკის ნაკრების შეუფასებლობა კარგ არაფერს მოუტანს ჩვენს კონკურენტებს. ამას ყველა დაინახავს. მშვიდად ვარ, რადგან ბევრ კარგ კალათბურთელს უნდა ნაკრებში თამაში. და საინტერესო იქნება ამ ზაფხულს მათზე დაკვირვება“*, - ამბობს კოლანჯელო ESPN-თან კომენტარისას.

თუმცა აშშ-ის ნაკრებში ორი ოლიმპიელი მაინც ითამაშებს - ესენი არიან **ამარე სტაუდმაიერი** და **ლამარ ოდომი**, რომლებიც 2004 წელს ათენის თამაშებში მონაწილეობდნენ, თუმცა იქ ოქროს მედლის მოპოვება ვერ შეძლეს.

ამ დუეტის გარდა, მთავარი მწვრთნელი **მაიკ კრჟიჟევსკი** ნაკრების კანდიდატებად შემდეგ მოთამაშეებს მოიაზრებს: **კევინ დურანტი, დევიდ ლი, ჩონსი ბილაპსი, რუდი გეი, დენი გრეინჯერი, ბრუკ ლოპესი, ანდრე იგუოდალა, დერიკ როუზი, რასელ უესტბრუკი, რაჟონ რონდო, ტაირიკ ევანსი, სტივენ კარი, ლამარკუს ოლდრიჯი, ერიკ გორდონი, ო ჯეი მაიო, ჯეფ გრინი, კევინ ლავი, ჯერალდ უოლასი, რობინ ლოპესი, ერიკ გორდონი** და **ელ ჯეფერსონი**.

პირველ შეკრებას ამერიკელები 19-23 ივლისს ლას ვეგასში გაივლიან.

ამბები

კალათბურთი

## ორლანდომ რიჩარდსონი დაიმატა

„ორლანდო მეჯიქმა“ ახალი სეზონისთვის მნიშვნელოვანი შევსება მიიღო, კერძოდ აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთმა ფავორიტმა მრავალწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ფორვარდ **კვენტინ რიჩარდსონთან**. კონტრაქტის ფინანსური დეტალები და ვადა არ დაზუსტებულა.

რიჩარდსონმა გასული სეზონი „მაიამი ჰიტში“ გაატარა, სადაც საშუალოდ 9.8 ქულა და 3.8 მოხსნა მიითვალა.

ეს გარიგება იმას ნიშნავს, რომ „მეჯიქს“ დატოვებს ფორვარდი **მეტ ბარნსი**. გარდა ამისა, „ორლანდო“, ალბათ, არ ეცდება **ჯეი ჯეი რედიკის** შენარჩუნებას, რომელსაც „ჩიკაგო ბულზმა“ სამწლიანი კონტრაქტი (20 მილიონი) შესთავაზა.

## ფიშერი ლეიკერსში დარჩა, ჰასლემი მაიამიში

როგორც იქნა მოგვარდა „ლეიკერსის“ ვეტერანი გამთამაშებლის **დერეკ ფიშერის** ტრანსფერის საკითხი. NBA-ის ხუთგზის ჩემპიონი „მაიამიში“ გადასვლაზე ფიქრობდა და სხვა კლუბებთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ საბოლოოდ კალიფორნიულ კლუბში დარჩენა ამჯობინა.

*„ლეიკერსში“ კარიერის გაგრძელება გადავწყვიტე*, - განაცხადა ფიშერმა. - *კობისთან და ჩემს ფანებთან ვრჩები. რა თქმა უნდა, ეს არც ისე მომგებიანი კონტრაქტია, მაგრამ მაინც ძვირფასია ჩემთვის. ახლა ჩემს კლუბთან ერთად მეექვსე ჩემპიონობაზე ვფიქრობ“.*

ფიშერმა „ლეიკერსთან“ ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი.

„მაიამი ჰიტმა“ შეინარჩუნა ფორვარდი **უდონის ჰასლემი**. ახალი კონტრაქტის დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა. თავად კალათბურთელმა აღიარა, რომ უარი თქვა „დალას მავერიქსისა“ და „დენვერ ნაგეტსის“ შეთავაზებებზე. ეს კლუბები ჰასლემს უფრო მაღალ ხელფასს სთავაზობდნენ.

„მაიამი“ კონტრაქტის გაფორმების შესახებ დღეს გამოაცხადებს ოფიციალურად. კალათბურთელი შარშანდელ სეზონში საშუალოდ 10.1 ქულასა და 8.1 მოხსნას აგროვებდა.

## გილბერტი 100 ათასით დაისაჯა

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ „კლივლენდის“ მფლობელის **დენ გილბერტის** დასჯა გადაწყვიტა. მან ფანებისადმი სატელევიზიო მიმართვაში **ლებრონ ჯეიმსის** „მაიამიში“ გადასვლას მხდალი ადამიანის საქციელი უწოდა.

NBA-ის გადაწყვეტილებით, „კავალიერზის“ მფლობელი ამ სიტყვებისთვის 100 ათას დოლარს გადაიხდის.

## ფინალი ტურინში არ იქნება

მომავალ წელს ევროლიგის „ოთხთა ფინალი“ ტურინში არ გაიმართება. როგორც ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი წერს, პიემონტის რეგიონის ახალ ხელმძღვანელობას არ შეუძლია მომავალ წელს ასეთი მსხვილი ტურნირის მასპინძლობა. სავარაუდოდ, ეს იტალიური ქალაქი „ოთხთა ფინალს“ რამდენიმე წლის შემდეგ მიიღებს.

ევროლიგის გადამწყვეტი მატჩების ჩატარების ადგილი უახლოეს პერიოდში გაირკვევა. სავარაუდოდ, ეს იქნება ლონდონი, სადაც „ოთხთა ფინალის“ ორგანიზება 2012 წლისთვის იყო დაგეგმილი.

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ჩემპიონთა ლიგა

| II საკვ. რაუნდი. II მატჩები | |
|---|---|
| ინტერი (ბ)-ლეხი | 0:1 |
| ბილკირკარა-ჟილინა | 1:0 |
| მეტალურგსი-სპარტა | 0:3 |
| ზალცბურგი-ტორსჰავნი | 5:0 |
| ლევადია-დებრეცენი | 1:1 |
| აიკ-ჟონესი | 1:0 |
| ლიტეძსი-რუდარი | 1:0 |
| ომონია-რენოვა | 3:0 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ჟელეზნიჩარი | 5:0 |
| დინამო (ზ)-კოპერი | 5:1 |
| ბოჰემიანსი-ტნს | 1:0 |

#### ავსტრია

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ალტახი-ჰარტბერგი | 4:0 |
| ლუშტენაუ-ვენა | 0:4 |
| სტ. ანდრა-გრატკორნი | 4:1 |
| გრიოდიგი-აუსტრია (ლ) | 3:2 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| სლიგო-უნივერსიტი | 2:1 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| მერვუ-კორკი | 2:4 |

#### რუსეთის თასი

| 1/16 ფინალი | |
|---|---|
| ლუჩ ენერგია-ტერეკი | 4:0 |
| კამაზ-ალანია | 0:0 პენ. 2:4 |
| მორდოვია-დინამო (მ) | 1:2 |
| ავანგარდი-სიბირი | 2:2 დ.დ. 2:5 |
| შინიკი-კრილია | 2:1 |
| დინამო (ს-პ)-ზენიტი | 1:3 |
| სალიუტი-როსტოვი | 0:4 |
| გაზპრომი-რუბინი | 1:0 |
| მეტალურგი-სპარტაკი | 0:1 |
| ვოლგა-ნალჩიკი | 5:0 |

### ჩოგბურთი

| ATP. ბაშტადი | |
|---|---|
| მატიო-კუევასი | 6:7, 6:7 |
| გოლუბევი-მ. გონსალესი | 6:3, 6:2 |
| რობერი-დასნიერესი | 6:4, 6:1 |
| ნიემინენი-ლინდელი | 4:6, 6:0, 6:4 |
| გრანოლერსი-სეპი | 4:6, 2:6 |
| ისტომინი-სკუგორი | 6:7, 6:7 |
| რობრედო-პრსიეჟნი | 7:6, 6:3 |
| იანოვიჩი-ელეშკოვიჩი | 3:6, 4:6 |

| ATP. შტუტგარტი | |
|---|---|
| ფაუ-კრივოი | 6:2, 6:3 |
| გარსია ლოპესი-ნავარო | 4:6, 6:3, 6:2 |
| გროილი-ბერერი | 7:6, 6:4 |
| ჩელა-შვანკი | 6:2, 7:5 |
| კოლშრაიბერი-ფ. მაიერი | 4:6, 2:6 |
| შარდი-ხიმენო ტრავერო | 5:7, 7:6, 3:6 |
| ანდუხარი-კნიტელი | 4:6, 6:4, 6:3 |
| სებალიოსი-ა. ბეკი | 6:4, 7:5 |
| მონტანიესი-პეტცშნერი | 2:6, 7:5, 6:2 |
| სიმონი-ბრაუნი | 6:3, 3:6, 7:6 |

| WTA. პალერმო | |
|---|---|
| ვორაკოვა-კოსტანიჩი | 6:0, 6:3 |
| გორჯესი-კარეგარო | 6:3, 6:2 |
| პარა სანტონხა-პესკარიჩი | 5:7, 3:6 |
| რეზაი-ჰალეპი | 7:5, 4:6, 6:2 |
| ბრიანტი-რუსი | 7:6, 6:2 |
| პივოვაროვა-ოლარუ | 4:6, 3:6 |
| კამერინი-დენტონი | 2:6, 3:6 |
| ლაგოსტერა-გრიონეფელ. | 6:4, 3:6, 6:1 |
| ოპრანდი-შპრემი | 6:1, 6:0 |
| პარმენტიე-ლუჩიჩი | 5:7, 6:0, 6:7 |
| პენეტა-ვიორლი | 6:3, 6:1 |
| ერანი-კორიტცევა | 6:2, 6:3 |

| WTA. პრაღა | |
|---|---|
| ბენეშოვა-იუგიჩი | 6:4, 6:7, 6:2 |
| კასტანიო-ს. ზახვალოვა | 7:6, 6:2 |
| ბაშჩინსკი-ნიკულესკუ | 3:6, 5:7 |
| დულგერუ-გარბინი | 6:4, 4:6, 6:2 |
| ჩაკვეტაძე-პერვაკი | 2:6, 3:6 |
| ჰრადეცკა-ფოგელი | 7:6, 6:2 |
| ბ. ზახვალოვა-პლავაჩკოვა | 6:2, 6:4 |
| დულკო-ლაპუშჩენკოვა | 7:5, 6:0 |
| შავაი-უნგური | 6:4, 6:3 |
| საფაროვა-სევასტოვა | 6:4, 7:5 |
| შნიდერი-დიასი | 6:7, 6:4, 6:1 |
| მედინა გარიგესი-პლიშკოვა | 6:1, 6:3 |

TV პროგრამა

### 14 ივლისი. ოთხშაბათი

#### I არხი

18:00 რაგბი. საქართველოს თასი. ფინალი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

06:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-რეალი.
08:25 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ.
10:15 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
12:00 ახალი ამბები.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ევერტონი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
15:55 ახალი ამბები.
16:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ფიორენტინა.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ფულჰემი-შახტარი.
19:55 90 წუთი - სპეციალური გამოშვება.
21:40 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ინტერი.
23:25 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
01:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. პორტუ-არსენალი.
03:05 გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. პანათინაიკოსი-რომა.
04:50 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მილანი-მანჩესტერ იუნ.

#### EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-კოსტა რიკა. გერმანია.
12:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი. მორზინ ავორიაზი-სენ ჟან დე მორიენი.
13:25 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
13:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-ნიგერია. გერმანია (LIVE).
15:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი. შამბერი-გაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. შვეიცარია-ს. კორეა. გერმანია.
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. აშშ-განა. გერმანია (LIVE).
20:45 ევროგოლი- საფეხბურთო მიმოხილვა.
20:55 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. აშშ-განა. გერმანია (LIVE).
22:05 მულტისპორტი.
22:10 ცხენოსნობა. ერთა თასი. შვედეთი.
23:10 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:15 გოლფი. PGA-ის ტური ტური.
00:15 გოლფ-კლუბი.
00:20 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
00:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:25 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
01:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-ნიგერია. გერმანია.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
03:25 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.

ბეისბოლი

# იანკიზმა მფლობელი დაკარგა

გუშინ ამერიკაში გარდაიცვალა ბეისბოლის გუნდის - „ნიუ იორკ იანკიზის“ მფლობელი **ჯორჯ სტეინბრენერი**. ბიზნესმენი, რომელსაც 4 ივლისს 80 წელი შეუსრულდა, გულის შეტევით ტამპას ერთ-ერთ კლინიკაში მიიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

სტეინბრენერმა სპორტულ სამყაროს იმით დაამახსოვრა თავი, რომ 1973 წელს ისედაც ძლიერი გუნდის შეძენის შემდეგ, „იანკიზი“ ლეგენდარულ კოლექტივად აქცია. 37-წლიანი მმართველობის პერიოდში გუნდის ფასი 100-ჯერ გაიზარდა და 900 მილიონს მიაღწია.

ამერიკის მთავრობამ ორჯერ - 1974 და 1990 წლებში ჩამოაშორა გუნდს მისი მფლობელი. პირველ შემთხვევაში მიზეზი **რიჩარდ ნიქსონის** წინასაარჩევნო კამპანიის არალეგალური დაფინანსება იყო, მეორედ კი ერთ-ერთ მოთამაშესთან კონფლიქტი.

1973 წლიდან მოყოლებული, სტეინბრენერის გუნდმა შვიდჯერ მოიგო მსოფლიოს სერია - ჩრდილოამერიკული ბეისბოლის ლიგის მთავარი ტურნირი (სულ „იანკიზის“ ანგარიშზე 27 გამარჯვებაა, რაც ჩრდილოამერიკულ კლუბებს შორის სარეკორდო მაჩვენებელია).

გუნდში სტეინბრენერმა ძალიან მალე მიიღო მეტსახელი - „ბოსი“ მმართველობის მკაცრი სტილის გამო. რთული ხასიათისა და სპორტსმენებთან თუ მწვრთნელებთან მუდმივი ჩხუბის მიუხედავად, მან რამდენიმე ძლიერი მოთამაშის გადაბირებით მნიშვნელოვნად გააძლიერა გუნდი. ამისთვის ის თანხებს არ იშურებდა.

ბეისბოლის გარდა, სტეინბრენერი ამერიკული ფეხბურთითა და ცხენოსნობით იყო გატაცებული. 1989-96 წლებში ის ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე იყო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა







# ერთი ტიტული არ დამაკმაყოფილებს

**ლებრონ ჯეიმსის** გადაწყვეტილებამ საკალათბურთო სამყარო ორ ნაწილად გახლიჩა. ერთნი მხარს უჭერენ „მეფეს" და ამბობენ, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მეორენი კი პირფერობის გამო აკრიტიკებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, საბოლოო შეფასების დრო არ დამდგარა, ამიტომაც ამ ეტაპზე უბრალოდ მომხდარის გააზრებაა შესაძლებელი. გთავაზობთ ბოლო ორი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის ინტერვიუს ტელეარხ ESPN-თან, რომელშიც ლებრონი საჩემპიონო გეგმებსა და მომავალი კარიერის კონტურებზე ლაპარაკობს.

**- რამდენად რთული იყო თქვენთვის ამ არჩევანის გაკეთება?**

- ეს ყველაფერი უჩვეულოდ მძიმე იყო, რადგან ვიცოდი, რომ მილიონობით ადამიანის ყურადღება ჩემკენ იყო მიპყრობილი. განსაკუთრებით ეს კლივლენდის მოსახლეობას ეხებოდა, რომელმაც ჩემთვის ბევრი რამ გააკეთა და ისიც იცოდა, რამდენად დიდი იყო ჩემი წვლილი „კლივლენდის" ისტორიაში. პირველ რიგში, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მთელ გუნდს. გული მწყდება, აქედან წასვლა რომ მიწევს, დამაკლდება ის განსაკუთრებული ურთიერთობები, რომელიც ჩემსა და მთელ კლივლენდს შორის დამყარდა.

**- რამდენიმე კვირის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ „კლივლენდმა" თავის ზღვარს მიაღწია. კერძოდ, რა აკლია ამ გუნდს?**

- „კლივლენდისთვის" არასრულფასოვნება არ შემინიშნავს. როგორც უკვე ვთქვი, პატივს ვცემ ამ გუნდს, აგრეთვე ყველაფერ იმას, რაც მათ ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის გააკეთეს. შვიდი წლის განმავლობაში ვცდილობდი გუნდისა და ქალაქისთვის მადლიერების გამოხატვას - მოედანზე შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაჩვენებდი. რაც შეეხება „მაიამიში" გადასვლას, ეს ახალი გამოწვევაა როგორც ადამიანისთვის, ასევე მოთამაშისთვის.

**- მთელი სპორტული კარიერის განმავლობაში შესანიშნავი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ საკალათბურთო საზოგადოებასთან. და ახლა, პირველად გიწევთ თქვენი მისამართით ნეგატიური განცხადებების მოსმენა. რა გრძნობა გეუფლებათ?**

- ვიცი, რომ „კლივლენდის" ფანები ვერ გამიგებენ, რადგან მათი რეაქცია ემოციებზეა დაყრდნობილი. და მაინც, მინდა შევახსენო, რომ მათ საკუთარი ცხოვრების, ნიჭისა და ენერგიის შვიდი წელი შევწირე. შევეცადე „კლივლენდი" აქამდე არარსებულ ტრიუმფამდე მიმეყვანა, ამ გუნდთან ერთად გავიზარდე და კალათბურთელად ჩამოვყალიბდი, ამიტომაც არ მსიამოვნებს მათ მიერ მონიჭებული მოღალატის იარლიყი.

**- ვილაპარაკოთ სხვა გუნდებზე, სადაც კარიერის გაგრძელების შანსი გქონდათ. სერიოზულად განიხილავდით თუ არა „ნიქსის" წინადადებას და რამდენად გხიბლავდათ ნიუ იორკში ცხოვრების პერსპექტივა?**

- მომწონს არა მარტო ნიუ იორკი, არამედ ბევრი სხვა ქალაქი, ამიტომაც ექვს გუნდს შორის გავაკეთე არჩევანი. ლამაზი ქალაქებია ლოს ანჯელესი, ნიუ ჯერსი, მაიამი, ნიუ იორკი, ჩიკაგო და კლივლენდი. ბოლო მომენტამდე ვერც ერთ გუნდს ვერ ვანიჭებდი უპირატესობას და ეს არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ეს პროცესი ასეთი მძიმე გამოვიდა. საბოლოოდ, მთავარი ფაქტორი გახდა ჩემპიონობის მოგების პერსპექტივა, კრისთან და დუეინთან მეგობრული ურთიერთობა, აგრეთვე ჩემი ოჯახისთვის კარგი პირობები.

**- საიდუმლო არ არის, რომ „ჩიკაგოში" დერიკ როუზისა და ჟოაკიმ ნოას სათამაშო სტილი მოგწონთ. წარმოიდგენდით თქვენს თავს მათთან ერთ გუნდში?**

- ორივენი ძალიან ნიჭიერები არიან. დერიკი ერთ-ერთი საუკეთესოა თავის ამპლუაში, არადა, ის მხოლოდ 21 წლისაა! რაც შეეხება ნოას, ასეთი მოთამაშის შეცვლა უბრალოდ შეუძლებელია. მაგრამ ახლა ჩემი გუნდი „მაიამია", ამიტომაც ამ ბიჭებთან ერთად მოედნის საპირისპირო მხარეს თუ ვიქნები.

**- „ჰიტის" გენერალური მენეჯერი პატ რაილი - ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული ფიგურაა თანამედროვე სპორტში. მოგვიყევით მასთან შეხვედრის შესახებ.**

- ის ბრწყინვალე ადამიანია. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი „მაიამის" მთელ ორგანიზაციას - მიკი და ნიკ არისონებს, ერიკ სპოელსტრასა და რაილის გაწეული მასპინძლობისთვის. რაც შეეხება რაილის, ეს არის ადამიანი, რომელიც მთელი კარიერის განმავლობაში ტიტულებს იგებდა. მას გამარჯვებულის დნმ აქვს და მასზე უკეთ არავის შეუძლია საჩემპიონო გუნდების შექმნა. ამიტომაც ერთზე მეტი ტიტულის მოგების იმედი მაქვს.

**- საქმის კურსში იქნებით იმის შესახებ, რომ თქვენს ახალ გუნდს, შესაძლოა, შემადგენლობის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნას. თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის, რომ „ჰიტმა" უკვე ამ სეზონში განაცხადოს პრეტენზია ჩემპიონობაზე?**

- ეს კითხვა გენერალურ მენეჯერ რაილის, მთავარ მწვრთნელ სპოელსტრასა და მფლობელ მიკი არისონს უნდა დაუსვათ. მაგრამ თუ გავიხსენებთ „ბოსტონში" დიდი სამეულის" გაერთიანებას, შემიძლია ვთქვა, რომ მაშინაც მსგავსი სიტუაცია იყო. პოლ პირსის, რეი ალენისა და კევინ გარნეტის გარდა, „კელტებში" არ იყვნენ მაღალი კლასის მოთამაშეები. მაშინ რაჯონ რონდოსა და კენდრიკ პერკინსზე ფსონს არავინ ჩადიოდა. ამიერიდან, ჩემი, კრისისა და დუეინის მოვალეობებში არა მხოლოდ ქულების დაგროვება, არამედ ჩვენ გარშემო დანარჩენი გუნდის გაერთიანება შედის.

**- დუეინ უეიდმა და კრის ბოშმა განაცხადეს, რომ ფინანსურად ნაკლებად მომგებიანი კონტრაქტების გაფორმება მოუწიათ - მათ ეს გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე გააკეთეს. ხომ არ შეგიძლიათ თქვენი ახალი კონტრაქტის ზოგიერთი დეტალი გაგვანდოთ?**

- ჯერ ბოლომდე არაფერია შეთანხმებული. ვფიქრობ, ჩემი აგენტი ლეონ როუზი იზრუნებს ამაზე. მაგრამ ახლა ცხადია, რომ ყველა ჩვენგანს მოუწევს ფინანსურ დათმობებზე წასვლა იმისთვის, რომ ერთ გუნდში თამაშის საშუალება მოგვეცეს. იმედი გვაქვს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ამას და გამოთავისუფლებულ თანხას კვალიფიციური მოთამაშეების შეძენას მოახმარს, რომლებიც მიზნის მიღწევაში დაგვეხმარებიან.

**- გასაგებია, რომ ჩემპიონობას უმიზნებთ, მაგრამ თავად თქვით, რომ ამის მიღწევა რთული ინება. პირადად თქვენ რას ელით მომავალი სეზონისგან?**

- ჩემი აზრით, არაფერი შეცვლილა და მიმაჩნია, რომ დუეინი და კრისიც დამეთანხმებიან: მიზანი იგივეა, რაც გასულ წელს - ტიტულის მოგება. რას ველოდები? მოკლე პასუხს მოგცემთ: გამარჯვებასა და პროგრესს.

**- ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიას კარგად იცნობთ, მასში კი ბევრი ლაპარაკია იმის შესახებ, რომ დიდებას ტიტულის გარეშე ვერ მიაღწევ. როგორ იმოქმედა ამან თქვენს გადაწყვეტილებაზე?**

- ისტორიის ცოდნა მნიშვნელოვანია. თუ 80-90-იან წლებს გადავხედავთ, დავაკვირდებით „ლეიკერსს", „დეტროიტს", „ჩიკაგოს", „ბოსტონს", ცხადი გახდება, რომ შეუძლებელია ტიტულის მოგება მხოლოდ ერთი ვარსკვლავით. მეჯიქს ქარიმი ჰყავდა, ბერდს - პერიში, ჯონსონი და მაკჰეილი. ცალსახად ჯორდანი დიადი მოთამაშეა, მაგრამ მის გვერდით პიპენი, კუკოჩი და როდმანი იყვნენ. გვარების ჩამოთვლა უსასრულოდ შემიძლია, მაგრამ მარტივად ვიტყვი - შენ შეიძლება სუპერვარსკვლავი იყო, მაგრამ ჩემპიონობას მაინც გუნდი იგებს.

**- ლებრონ, ჩვენ გვაქვს ვიდეო, რომელშიც „კლივლენდის" ფანები თქვენს მაისურებს წვავენ. ამაზე რას ფიქრობთ?**

- ჩემთვის რთულია ასეთი საქციელის ახსნა. ყველანაირად ავირიდებ თავიდან ემოციური გადაწყვეტილების მიღებას. ცივი გონებით ავირჩიე ის, რაც ლებრონ ჯეიმსისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა. სიტუაციას მეორე მხრიდან შევხედოთ: მეც არ მომწონდა „კლივლენდის" ხელმძღვანელობის ზოგიერთი გადაწყვეტილება, მაგრამ არ გავქცეულვარ და კლუბის ოფისი არ გადამიწვავს. ეს ბიზნესია და იმის მიუხედავად, გამიგებენ თუ არა „კლივლენდის" ფანები, ჩემი გზის გაგრძელებას ვაპირებ.

**- როგორი დამოკიდებულება გაქვთ იმასთან, რომ მეექვსე ნომერი, რომელიც ახალ კლუბში აირჩიეთ, მარიო ჩელმერსს ეკუთვნის?**

- მარიოს დავურეკავ და რამეს მოვიფიქრებთ.

**- დუეინ უეიდთან ერთ გუნდში ითამაშებთ. ეგოისტი მოთამაშეები არ ხართ, ორივენი ლიგის სამ საუკეთესო მოთამაშეს შორის შედიხართ... მთავარი კითხვა: რამდენად შეიცვლება თქვენი თამაში? ვიხილავთ თუ არა იმავე უეიდსა და ჯეიმსს, რომლებსაც მიეჩვია მაყურებელი?**

- ერთადერთი, რაც შეიცვლება - არის დაგროვილი ქულების რაოდენობა და, ალბათ, მოედანზე გატარებული დროის რაოდენობა. ამით ჩვენი თამაშის სტილი არ დაზარალდება, უბრალოდ ერთ გუნდში ვითამაშებთ და თვითმიზანი არ იქნება თითოეულ მატჩში 30 ქულის დაგროვება. ეს არა მარტო მე და დუეინს, არამედ კრის ბოშსაც ეხება. არც მისი თამაში შეიცვლება კარდინალურად.

**- მატჩის დასრულებამდე შვიდი წამია დარჩენილი, ანგარიში თანაბარია. ვინ შეასრულებს გადამწყვეტ ტყორცნას?**

- ამას მწვრთნელი გადაწყვეტს. ერიკ სპოელსტრა - კარგი სპეციალისტია. დარწმუნებული ვარ, საჭირო მომენტში სწორ გადაწყვეტილებას მივიღებთ. ვინც უნდა შეასრულოს ეს ტყორცნა, ჩააგდებს თუ აცილებს ბურთს - სხვები მას მხარს დაუჭერენ. თუ გადამწყვეტ შეტევაში ჩემი პარტნიორი უკეთეს სიტუაციაში იქნება, აუცილებლად გადავაწოდებ ბურთს - იქნება ეს დუეინ უეიდი, კრის ბოში, მარიო ჩალმერსი თუ ჯოელ ენტონი.

**გია თვალაბეიშვილი**

9 ივლისიდან




**რუსეთის დაზვერვის მორიგი მარცხი**

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თერთმეტი ეჭვმიტანილი დააკავა. ეს შემთხვევა სპეცსამსახურების ისტორიასა და პრაქტიკაში უნიკალურია სამი გარემოების გამო...

ამჟამად დასტურდება ის ვარაუდი, რომ ეს ჯაშუშური ოპერაცია რუსეთის საგარეო დაზვერვის გრძელვადიანი პროექტი იყო და ითვალისწინებდა აგენტების ღრმად ჩანერგვის მიზნით ჯაშუშური ოჯახური წყვილების შექმნას ამერიკის ტერიტორიაზე.

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- მილიონერების მფრინავი სათამაშოები
- ნივთიერებები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო...
- როგორ ესროლა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტა... საბჭოთა კავშირს
- ირანი საზღვაო ომისთვის ემზადება

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის